მოსკოვი დიპლომატიურ ნისლში გაეხვია A3 | მონადირე B6 | კვირის TV პროგრამა B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 28 ნოემბერი, 2003 წელი. №309 (521) — ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

დღეს საქართველოს პარლამენტმა ერთ-ერთი საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. საქმე ეხება საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან იმ ცვლილებებს, რომელმაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო პროცედურები უნდა დაარეგულიროს.

A2

ეკონომიკა

არსებობს სახელმწიფო ქონების სასწრაფო წესით გასხვისების საფრთხე

დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ 2003 წელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სერიოზული გარღვევით სრულდება. წლის ბოლომდე ცენტრალურ ბიუჯეტში 300 მილიონზე ცოტა მეტი ლარია მოსაზიდი. ეკონომიკური ექსპერტების ვარაუდით, ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი გარღვევა 200 მილიონი ლარი იქნება. საბიუჯეტო შემოსავლებს შორის ყველაზე დიდი დანაკლისია სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მობილიზებული თანხების გრაფაში.

A4

უცხოეთი

უკრაინის ოპოზიციამ პროტესტი განაახლა

გუშინ უკრაინის ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა. საკანონმდებლო ორგანოს - უმაღლესი რადას შენობის წინ რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. აქვე იყვნენ მაღაროელთა პროფკავშირებიც.

A5

საზოგადოება

ერთი საათით ადრე განათლების სამინისტროს ეზოში

...ხოლო ერთი საათის შემდეგ, ვაკეში, ხელისუფლებამ კანონის დაცვის გარანტობა სახელმწიფო უნივერსიტეტში დაადასტურა.

A6

სამართალი

არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა პროკურატურამ უნდა თქვას

თუ საქართველო ტრადიციულ გზას გაჰყვება და დამნაშავეები არ დაისჯებიან, არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანა უახლოეს მომავალში იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ასე რომ, ახლა თავისი სიტყვა სამართალდამცველებმა უნდა თქვან.

A7

ამინდი

თბილისი	12	
ქუთაისი	17	
ბათუმი	19	
სოხუმი	15	
ფოთი	18	
თელავი	11	
ზუგდიდი	18	
გორი	9	
ახმეტა	10	
ჭიათურა	12	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1575
ევრო	2.5525
გირვანქა სტერლ.	3.6699
რუბლი	0.0726

ჟვანია, ბარამიძე და ნოღაიდელი "რევოლუციური ფრონტის" წინა ხაზზე გადიან

გიორგი ასანიშვილი

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ "ბურჯანაძე-დემოკრატების" დევიზი იყო: "რევოლუციური ცვლილებები რევოლუციის გარეშე". მართალია, ბურჯანაძე-ჟვანიას გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლა რევოლუციის გარეშე ვერ მოახერხა, მაგრამ დევიზის პირველი ნაწილი ისევ ძალაში რჩება - სწორედაც რომ რევოლუციური ცვლილებებია განსახორციელებელი იმ ურთულეს უბნებზე, რომლებიც ზურაბ ჟვანიამ, ზურაბ ნოღაიდელმა და გიორგი ბარამიძემ გუშინ ჩაიბარეს. საქართველოს პარლამენტმა ისინი, შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობებზე ერთხმად დაამტკიცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ზაურ ბოლაშვილის ფოტო

ზურაბ ჟვანიას პირველი გამოსვლა სახელმწიფო მინისტრის რანგში.

„უნივერსიტეტში შეჭრას ველარავინ გაბედავს"

რექტორი უნივერსიტეტში დაბრუნდა

ნანა ქადაგიშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, უნივერსიტეტის ეზოსა და ქუჩაში მოწყობილი აქციებით მიზანს მიაღწიეს, როინ მეტრეველი თანამდებობაზე დაბრუნდა. იგივეს აპირებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი ნუგზარ ფოფხაძეც. "უნივერსიტეტი ხელშეუხებელია და 10 პრეზიდენტიც ვერ მოგახვევთ თავზე საკუთარ ნებას. ამიერიდან ვერავინ გაბედავს უნივერსიტეტში შეჭრას," – შეჰპირდა აქციის მონაწილეებს მიხეილ სააკაშვილი.

გაგრძელება A6 გვერდზე

სააკაშვილმა უნივერსიტეტის ავტონომიის გარანტიით სიტუაცია სწრაფად განმუხტა.

ჩვენ ახლა შევდექით სახელმწიფოდ შედგომის გზაზე

მაია ჭალაგანიძე

სკეპტიკოსები 2003 წლის მოვლენების 90-იან წლებთან შედარებას, საბედნიეროდ, მოეშვნენ. რევოლუციის დღეებში არავის მოსდიოდა აზრად, რომ ერთადერთი, რაც ამ პერიოდებს საერთო ჰქონდათ, ცუდი ხელისუფლებები იყო. ისინი, ვინც თოფის გასროლას წინასწარმეტყველებდა, დღეს ძველმოდურ რევანშისტულ მეთოდს ირჩევს. როგორც ჩანს, აჭარიდან დახმარების იმედი აღარ აქვთ და "გენიალური" გზა მოიფიქრეს - სტუდენტების დაპირისპირება. სხვათა შორის, იმ ძალებში ზოგიერთი ყოფილი "ეროვნულიც" არის, მაგრამ რატომღაც აღარ ახსოვს, რა ძალაა სტუდენტობა და რა ორმაგი ძალისხმევა სჭირდება მათ გახლეჩვას. ჰო. რა ძალაა სტუდენტობა და რა შანსები აქვთ ამ ძალებს. საუბრობს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.

გაგრძელება B1 გვერდზე

ზაურ ბოლაშვილის ფოტო

შოთა ნადირაშვილი.

„ბრძოლის ველზე" - პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, თავგანწირვით

ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის განწყობა

საქვეყნოდ ცნობილია – გია ბარამიძე მინისტრის პოსტის დაკავებას განსაკუთრებული სიფრთხილით უდგება. როცა, მის პოლიტიკურ კარიერაში პირველად, შემოსავლების სამინისტროს სათავეში ჩადგომა შესთავაზეს, მან გარკვეული გარანტიები მოითხოვა, რომელთა არდაკმაყოფილების შემდეგ, არც მინისტრობას დახარბებია. გუშინ, როცა გია ბარამიძეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ამტკიცებდნენ, მას გარანტიები არ გახსენებია – ის არ დათანხმებია მინისტრის სავარძელში მშვიდად მოკალათებას. როგორც თავად განაცხადა, ის საბრძოლველად წავიდა.

სოფიკო ჩხაიძე

"ბრძოლის ველზე" – შინაგან საქმეთა სამინისტროში – ისტორიაში პირველად, არა პოლიციელმა, არამედ პოლიტიკური ხელმძღვანელის სტატუსის მქონე მინისტრმა შეაბიჯა. ერთადერთი ძალოვანი, ვინც მას ამ შენობაში აუღელვებლად ელოდა, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია გახლდათ.

გაგრძელება A2 გვერდზე

კანცელარიაში მობინადრეები იცვლებიან

სახელმწიფო კანცელარიაში "ბინადრები" იცვლებიან. ნინო ბურჯანაძის შემდეგ გუშინ კანცელარიაში მივიდა ახლადარჩეული სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელიც მოქმედ პრეზიდენტთან ენერგეტიკის საკითხებზე, კრიმინოგენულ ვითრებასა და "გაჭირვებული" ბიუჯეტის შესახებ მოითათბირებდა.

ლელა მჭედლიძე

ნინო ბურჯანაძე ავთანდილ ჯორბენაძის აპარტამენტებში განთავსდება, შევარდნაძის კაბინეტს კი, მისი თქმით, ახლადარჩეული პრეზიდენტი დაიკავებს. სად "დაბანაკდება" ჟვანია, ჯერჯერობით, უცნობია.

სახელმწიფო კანცელარიაში თავისუფალი ოთახები ნამდვილად უხვადაა. გუშინ მის ყოფილ ბინადრებს ჯერ კიდევ გაჰქონდათ პირადი ნივთები, ზოგს - ხელჩანთებით, ზოგსაც - კანცელარიაში მომუშავე პერსონალის დახმარებით, ურიკებით. პირადი ნივთები სხავადასხვა სახის იყო - ჭურჭელი, წიგნები, სურათები და თეთრეულიც კი. მოქმედი პრეზიდენტის კანცელარიაში მისვლამდე, დაცვის სამსახურის წევრებმა, კინოლოგიური სამსახურის დახმარებით, კანცელარიის დერეფნები და ლიფტები შეამოწმეს.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ბურჯანაძემ პირველი შეხვედრა ენერგეტიკის დარგის ქართველ ხელმძღვანელებსა და უცხოელ

გაგრძელება A8 გვერდზე

ზურაბ ნოღაიდელი ისევ ფინანსთა მინისტრია

1999 წლის მოწვევის პარლამენტმა 144 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ, ფინანსთა მინისტრად დაამტკიცა ზურაბ ნოღაიდელი.

ზურაბ ნოღაიდელმა დამტკიცების შემდეგ განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტი შემოსავლების მობილიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის მოგვარება, მისი პროგრამის აღდგენა და საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია იქნება.

"მე ბევრს ვერ დაგპირდებით, თუმცა გეტყვით ერთს, რომ იგივე მინისტრი ვიქნები, რაც წელიწადნახევრის წინ ვიყავი და საქმეს ბოლომდე მივიყვან," - აღნიშნა ზურაბ ნოღაიდელმა.

ექსფინანსთა მინიტრის მოღვაწეობას თუ გავიხსენებთ, მისი მთავარი დამსახურება ხარჯვის პოლიტიკის სწორად წარმართვა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის დროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ბევრის აზრით, არც თუ ბოლომდე რეალისტურად იყო დაგეგმილი, რაც მისი გარღვევის ერთ-ერთი წინაპირობა გახლდათ, თავად ოპონენტებიც ვერ უკარგავენ ნოღაიდელს მთავარ ღირსებას - ბიუჯეტის შემოსავლების 300-მილიონიანი გარღვევის პირობებშიც კი ხერხდებოდა დაცული მუხლების, მათ შორის - ხელფასებისა და პენსიების, ლტოლვილთა დახმარებების და სხვა სოციალური ხარჯების დაფინანსება. ამის წინაპირობა კი ხაზინაში დამყარებული წესრიგი გახლდათ.

ჩანს, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ნოღაიდელს, როცა გუშინ "ძველებურად" მუშაობის პირობას დებდა. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს - ნოღაიდელის მინიტრობის პერიოდში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების მობილიზების ფუნქცია ჩამოშორებული ჰქონდა და ამ ფუნქციას შემოსავლების სამინისტრო ასრულებდა. დღეს კი ნოღაიდელს, ხარჯებთან ერთად, შემოსავლებზეც მოუწევს პასუხისმგებლობის აღება, რაც გაცილებით რთულად გადასაჭრელი პრობლემა გახლავთ.

24 საათი

შევარდნაძე ბრძნობს, რომ ის დასავლეთმა გაყიდა

საქართველოს დამხობილმა პრეზიდენტმა, გამწარებულმა და გატეხილმა ადამიანმა ედუარდ შევარდნაძემ, გუშინ გაზეთ "დეილი ტელეგრაფს" განუცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მან მსოფლიო ბირთვული კატასტროფისგან გადაარჩინა და ბოლო მოუღო ცივ ომს, დასავლეთმა ის მაინც გაყიდა.

თავის რეზიდენციაში, რომელიც გორაკზე დგას და თბილისს გადაჰყურებს, ადამიანმა, რომელიც ერთ დროს მსოფლიოში ერთ-ერთი პატივსაცემი პოლიტიკოსი იყო, განაცხადა, რომ ის მიატოვეს.

"ცივი ომი რომ არ შეჩერებულიყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა. ჩვენ გადავარჩინეთ მსოფლიო. მე არ ვამბობ, რომ ეს მე მარტომ გავაკეთე, მაგრამ მე ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობდი. ევროპაში 40 ათასი საბჭოთა ტანკი და ასიათასობით ავტომატი იყო. 24 საათის განმავლობაში მათ შეეძლოთ საფრანგეთის ატლანტიკურ სანაპირომდე მიეღწიათ, თუმცა ჩვენ ამაზე არ წავედით, მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი "ცხელი თავი" ბერლინში ძალის გამოყენებას და პოლონეთში მოძრაობა "სოლიდარობის" დაშლას გვირჩევდა," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა
B1 ნომრის სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონადირე | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

„ბრძოლის ველზე" - პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, თავგანწირვით

პირველი გვერდიდან

იგი ახალ კოლეგას სოლიდარობის ნიშნად დაუდგა გვერდით – სამოქალაქო პირს სამართალდამცველ სტრუქტურაში თავი უცხოდ რომ არ ეგრძნო. ახალი მინისტრი რადიკალური სიახლეების მოლოდინით შეშფოთებულ სამინისტროს კოლეგიის წევრებსა და პოლიციის უფროსებს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა ჩატარებული ამ შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე კი ზურაბ ჟვანიამ გია ბარამიძე ჟურნალისტებს უკვე შინაგან საქმეთა მინისტრის რანგში წარუდგინა.

“დღეს, პრაქტიკულად, დაიწყო გარკვეული გადახალისებები მთავრობის შემადგენლობაში. ჩვენ ამ ეტაპზე არ ვგეგმავთ მინისტრების მთელი შემადგენლობის შეცვლას. ჩვენი ამოცანაა, მიღებულ იქნას ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს გარდამავალ პერიოდში – საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ 40 დღეში ვითარების სტაბილიზაციას”, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა, რომლის აზრითაც, 260 მილიონით გარღვეული ბიუჯეტის პრობლემის მოგვარებასთან ერთად, ქვეყანაში ამჟამად უმთავრესი - კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზებაა.

“ჩვენ არ დავუშვებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით ისარგებლონ გარკვეულმა დანაშაულებრივმა ელემენტებმა და მოსახლეობას დამატებითი პრობლემები შეუქმნან”, - თქვა გუშინ ზურაბ ჟვანიამ და ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობისთვის ნათქვამი სიტყვები გაუმეორა: **“ჩვენ არ ვაპირებთ არავისთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, მაგრამ ნურავის შეექმნება იმის ილუზია, რომ ჩვენ სუსტი ხელისუფლება ვართ, რომელიც მშვიდად უყურებს, როგორ ეცდება ვიღაც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას – ქვეყნისთვის პრობლემების შექმნას. გია ბარამიძის დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე არის იმის გამოხატულება, რომ ჩვენ ამ სტრუქტურას ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ”**, - ამბობს ზურაბ ჟვანია და ხაზს უსვამს, რომ ამ თანამდებობაზე გია ბარამიძის კანდიდატურის წაყენება მისი, ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი გადაწყვეტილებაა.

“ბუნებრივია, შინაგან საქმეთა სამინისტროში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში. თუმცა, ამჯერად ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მოხდეს სიტუაციის სტაბილიზაცია და ქვეყანა მოემზადოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ გია ბარამიძე ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანია ამ პოსტზე. ის არის ადამიანი, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას,

გია ბარამიძე - პირველი პოლიტიკური ფიგურა შსს-ში - ზურაბ ჟვანიამ და ვალერი ხაბურძანიამ წარადგინეს.

მეორე მხრივ, სადაც კი ჩვენს ქვეყანას უჭირდა, მას არასოდეს დაუხევია უკან. მე ვგულისხმობ ბრძოლას აფხაზეთში. იგი მშვენივრად იცნობს საქართველოს სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობას და შეძლებს, რომ სულითა და გულით გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი პოლიცია იდგეს ფეხზე, რომ ჩვენი პოლიცია იყოს ძლიერი და გრძნობდეს თავს საზოგადოების განუყოფელ ნაწილად. ამ ნაბიჯის გადადგმით ჩვენ შორს მიმავალ შედეგებს **ველოდებით”**, - ამ სიტყვებით სახელმწიფო მინისტრმა წარმატება უსურვა წლების მანძილზე მის გვერდით მდგომ თანამოაზრეს. ამგვარ ნდობასა და მხარდაჭერას ახალი შინაგან საქმეთა მინისტრიც შემართებით პასუხობს:

“შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ძალიან მოკლედ მიმოვიხილეთ უახლოესი მომავლის სამოქმედო გეგმა, ვთქვით, რომ საჭიროა ქვეყანაში იყოს სტაბილიზაცია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს კრიმინოგენული ფონი. უმოკლეს ვადაში უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები, სამინისტროს რეფორმირების გეგმა, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით გართულებული ვითარებაა. დანარჩენი მოქმედებების თაობაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება ქვეყანაში არსებული კორუფციის და დამნაშავეობის, ნარკომანებისა და ნარკოტიკების ვაჭრობის წინააღმდეგ, ქურდული ტრადიციების წინააღმდეგ, ამის თაობაზე სისტემატურად გავრცელდება ინფორმაცია. ამასთანავე, თხოვნა გვაქვს ქვეყნის ხელისუფლების, პირადად ბატონი ზურაბის მიმართ, რომ მოხდეს ჩვენი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა შემდგომ ჩვენც შესაბამისად მოვთხოვოთ პასუხი თითოეულს და არ დავუშვათ სტრუქტურაში იმ დონის კორუფცია, რაც ადრე იყო. არა ერთი ხელის დაკვრით, არამედ ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მყარად შევეცადოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გახდეს სუფთა სტრუქტურა, რომელსაც არა მარტო იურიდიული, არამედ მორალური უფლებაც ექნება, ებრძოლოს დამნაშავეობასა და კორუფციას”, - ასეთი გახლდათ ახალი მინისტრის ახალ ქვეშევრდომებთან შეხვედრის შემდეგ ნათქვამი სიტყვა.

და ბოლოს, რა კრიტერიუმებით შეარჩევს გია ბარამიძე თანამებრძოლებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ანუ რა საკადრო პოლიტიკას გაატარებს იგი?

“რა თქმა უნდა, ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია, მოვა დრო და ამ კაბინეტს მეც დავტოვებ. ახლა კი შემიძლია ვთქვა – კი, საკადრო ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება, ოღონდ ახლა არა. ახლა მთავარია, რომ დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან. ყველას აქვს საშუალება, რომ პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, თავგანწირვით დაუმტკიცოს ერთგულება არა მინისტრს, არამედ ქვეყანას, საზოგადოებას. ყველას მოეთხოვება ამ პრინციპებიდან გამომდინარე. ვინც გაუძლებს, დარჩება, ვინც არა - დავემშვიდობებით”, - ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია.

ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

დღეს საქართველოს პარლამენტმა ერთ-ერთი საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. საქმე ეხება საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან იმ ცვლილებებს, რომელმაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო პროცედურები უნდა დაარეგულიროს.

ამასთან, დღის წესრიგში დგას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც. საქმე ეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც პოლიტიკურ სპექტრს და, პირველ რიგში, ახალ ხელისუფლებას დღეს მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციებიდან წევრების გამოწვევის საშუალებას მისცემს.

ბუნებრივია, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მთელ ვერტიკალზე საარჩევნო ადმინისტრაციების რეფორმირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, არსებობს მთელი რიგი მექანიზმები, რომელიც ამ მოკლე პერიოდში იმის საშუალებას მაინც იძლევა, რომ ყველა დონის საარჩევნო კომისიები არაკომპეტენტური და კორუმპირებული წევრებისაგან გათავისუფლდეს.

საკმაოდ ბუნდოვანი სურათია შექმნილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მისი დღევანდელი თავმჯდომარე, ყოფილი ომბუდსმენი ნანა დევდარიანი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს. ამასობაში, გენერალურმა პროკურატურამ, არასამთავრობო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნების” მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე ცესკო-სა და რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის წინააღმდეგ.

გენერალური პროკურატურის ცნობით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით არის აღძრული იმ ფაქტებზე, რომელიც საპარლამენტო არჩევნების განხორციელებისთვის ხელის შეშლას, ხმების არასწორად დათვლას, არასწორად შეჯამებასა და სიყალბეს ეხება. უკვე შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელმაც სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საარჩევნო ადმინისტრაციების იმ წარმომადგენლების ქმედებებს, რომლებმაც არასწორად დაითვალეს ამომრჩეველთა ხმები და შედეგები შეაჯამეს.

ასე რომ, თუკი დღეს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებები ვერ მიიღო, გამოდის, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ძველი, დისკრედიტებული საარჩევნო ადმინისტრაციები გამართავენ.

თუმცა, კულუარული ინფორმაციით, დღეს “გაერთიანებული დემოკრატები” და “ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლები აუცილებლად შეეცდებიან ამ ცვლილების მიღებას. თუკი ეს სქემა ამოქმედდება, მაშინ ნებისმიერ სუბიექტს, რომელსაც კომისიაში წევრის დანიშვნის უფლება აქვს, შეეძლება, არჩევნებამდე არაუგვიანეს შვიდი დღისა, გამოიწვიოს საკუთარი წევრი და იგი სხვა წარმომადგენლით შეცვალოს.

აქედან გამომდინარე, ავტომატურად შეიცვლება ძალთა ბალანსი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს ავტომატურად მიენიჭება იმ წევრების გამოწვევის უფლება, რომლებიც თავის დროზე კომისიაში ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ წარგზავნა.

არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, პარლამენტი საარჩევნო კოდექსში კიდევ ერთ ცვლილებასაც გეგმავს, რომლის თანახმად, აწ უკვე ყოფილ მმართველ პარტიას ცესკო-ში ორ ადგილს გამოუყოფენ, თუმცა ეს ვერსია ოფიციალურად არც ერთმა პოლიტიკოსმა არ დაადასტურა.

24 საათი

ბარამიძეს აკვირვებს „ტრადიციონალისტთა" ლიდერის გადაწყვეტილება

1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია “გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი გიორგი ბარამიძე გაკვირვებას გამოთქვამს “ტრადიციონალისტთა" ლიდერის აკაკი ასათიანის გადაწყვეტილების გამო - “ბურჯანაძე - დემოკრატების" საარჩევნო ბლოკი დატოვოს.

“ასათიანმა მათთან ერთად მოახდინა რევოლუცია და ახლა ნამდვილად არ არის დრო, ვინმემ დისონანსი შეიტანოს ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდში. ქვეყნისათვის ეს რთული პერიოდი მაქსიმალურად მშვიდად უნდა გავიაროთ," - განაცხადა ბარამიძემ, რომელსაც ვერ გაუგია, რამ გაანაწყენა ასე “ტრადიციონალისტთა" ლიდერი. განცხადება “ბურჯანაძე - დემოკრატების" საარჩევნო ბლოკიდან გასვლის თაობაზე აკაკი ასათიანმა გუშინ ერთ-ერთი ტელეარხის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას გააკეთა.

ინტერ-პრესი

btc

SCP South Caucasus Pipeline

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (HIV) და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების თაობაზე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP) პროექტები

ოპერატორი - კომპანია BP

გამოცემის თარიღი: **2003 წლის 26 ნოემბერი**
დახურვის თარიღი და დრო: **2003 წლის 19 დეკემბერი, 16:00 საათი (თბილისის დროით)**

კომპანია BP, როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და შპს "სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის" (SCP) სახელით მოქმედი ოპერატორი კომპანია, იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს განაცხადების წარმოსადგენად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში HIV და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების პროგრამის განხორციელებას.

ეს პროგრამა მიზნად ისახავს HIV და სხვა ვენერიული ინფექციების გავრცელების საფრთხის შემცირებას, მილსადენების მშენებლობაზე მომუშავე მუშახელისა და მშენებლობის მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას შორის, რაც ადამიანების პირადი ცხოვრების წესის შეცვლის ხელშეწყობის და დამცავი საშუალებების მოხმარებისაკენ მოწოდების გზით უნდა განხორციელდეს.

გეგმის მიხედვით, პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული მილსადენის პროექტის პირდაპირი ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობის ჯგუფებზე;
- ტრეინინგები სქესობრივი დაავადებების თავიდან აცილების საკითხებზე, მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებული მუშახელისათვის;
- კონტაქტი ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებთან და მშენებლობის კონტრაქტორის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან.

BP მიესალმება ალიანსების შექმნას საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის, ამ პროგრამის სისრულეში მოყვანის მიზნით.

სატენდერო წინადადების წარმოდგენა შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ:

- არა-კომერციული, კერძო მოხალისე ორგანიზაციები (PVO) და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომელთაც ოფიციალური რეგისტრაცია და საქართველოში საქმიანობის წარმოების ნებართვა გააჩნია.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ფირმები, რომლებიც მზად არიან, იმუშაონ "ფაქტიური ღირებულების" პრინციპზე დაყრდნობით (ანაზღაურებაზე / მოგებაზე უარის თქმის პირობებში).
- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოში საქმიანობისთვის რეგისტრაცია არ გააჩნია, მაგრამ მოქმედებს ადგილობრივ ორგანიზაციასთან პარტნიორული ხელშეკრულების / ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის ჩარჩოებში.
- ზემოხსენებული ორგანიზაციების ნებისმიერი კომბინაცია - პარტნიორული ხელშეკრულების/ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის საფუძველზე.

ლიდერ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობის დემონსტრირების უნარი, როგორიცაა:

- დადასტურებული გამოცდილება, რომელიც მოიცავს საქართველოს მოსახლეობაში HIV და ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების სამუშაოს შესრულებას, ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის პირობებში.
- საერთაშორისო აუდიტორიისათვის ტრეინინგის ჩატარების დადასტურებული გამოცდილება.
- საქართველოს ჯანდაცვის ხელმძღვანელ ორგანოებთან მუშაობის გამოცდილება.
- დასაბუთებული გამოცდილება გრანტის ტიპის ისეთი პროექტების ან მისი ეკვივალენტური ინიციატივების მენეჯმენტის და/ან განხორციელების სფეროში, რომლის ბიუჯეტი მთელი პროექტის განმავლობაში მინიმუმ 50 000 აშშ დოლარს შეადგენს.
- სამუშაოს მთელი მოცულობის ისეთი ფორმით შესრულების უნარი, როცა მოცემულ საქმიანობაში ჩართული თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არის დაცული.
- რეგიზორებადი ანგარიშების აღრიცხვის წარმოების უნარი.

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადა არის 2003 წლის 19 დეკემბერი, თბილისის დროით 16:00 საათი. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ "სატენდერო წინადადებების მოწვევის" (RFP) დოკუმენტაციის სრული კომპლექტი 2003 წლის 26 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე, მისამართზე:

BP-ს პროექტის ოფისი
საქართველო, თბილისი, 380094
საბურთალოს ქუჩა N38

"მოწვევის" დოკუმენტაციის გაცნობა 19 დეკემბრამდე ასევე შესაძლებელი იქნება ინტერნეტ-მისამართზე: www.caspiandevelopmentandexport.com

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და თავად "სატენდერო წინადადებების მოწვევის" დოკუმენტაციაც ქვეყნდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე. წერილობითი განმარტების მიღების თხოვნები მიიღება 2003 წლის 8 დეკემბრის 16 საათამდე (თბილისის დროით), ხოლო საპასუხო განმარტებები გამოიცემა 2003 წლის 12 დეკემბერს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ეუთო-ს შეფასებით, აჭარის მთავრობა არჩევნების ერთ-ერთი მთავარი გამყალბებელია

მერი კახიანი
ვენიდან

"სადავოდ ქცეულ არჩევნების შედეგებს უმეტეს წილად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაყალბებული არჩევნებისკენ მივყევართ. აქაურმა ხელისუფლებამ ბოლო მომენტში გამოაქვეყნა აშკარად საეჭვო შედეგები, რომელმაც შევარდნაძის ბლოკს - "ახალი საქართველოსათვის" - გაამარჯვებინა. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, თითქოს არანაირი მძიმე დარღვევები არ ყოფილიყო დაფიქსირებული, ეუთოს 400 დამკვირვებელს თვალში ნაცარი შეაყარა," - განაცხადა ეუთოს ჰოლანდიელმა ელჩმა დან ევერტსმა.

ჰოლანდიის მთავრობის განცხადების თანახმად, ეუთო-ს სურს, რომ საქართველოს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის 5 მილიონი ევროთი დაეხმაროს. ამის შესახებ წინადადება დაყენებული იქნება მაასტრიხტში, მომავალ კვირაში დაგეგმილ 55 წევრი ქვეყნის კონფერენციაზე, რომელზეც მოელიან საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს.

"2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარი გაყალბებანი, რომელიც საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით," - ამბობს ეუთო-ს თავმჯდომარე იააპ დე ჰოოპ სხეფერი.

ორი სიტყვით

ქუთაისი. პრეზიდენტის ყოფილმა სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში თემურ შაშიაშვილმა საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, კენჭი იყაროს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში და ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციები დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულომ უახლოეს დღეებში საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი უნდა განიხილოს. საკრებულოს თავმჯდომარის ახალი კანდიდატურის ვინაობა, ჯერჯეროbით, უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კვლავ დააყენა გალის რაიონში აფხაზების მიერ დამატებითი ძალების შეყვანის საკითხი, თუმცა აფხაზურმა მხარემ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გუშინ მოსკოვში ჩავიდნენ. როგორც იუწყებიან, მათ განზრახული აქვთ, რუსეთის დედაქალაქში მყოფ აჭარის და სამხრეთ ოსეთის ლიდერებთან ასლან აბაშიძესთან და ედუარდ კოკოითთან კონსულტაციები გამართონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. აჭარაში საკადრო ცვლილებების ტალღა გრძელდება. ასლან აბაშიძემ საგადასახადო-საბაჟო სამსახურები გააერთიანა და ჯემალ გოგიტიძეს ჩააბარა. მოსახლეობაში გამოცხადებულია სრული მობილიზაცია. არიგებენ "აკს"-ის სისტემის ავტომატურ ახალთახალ იარაღს. გარდა ამისა, გრძელდება ზეწოლა მასმედიაზე. გუშინ აჭარის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ფრანგული რადიოს სამი კორესპონდენტი სამი საათის განმავლობაში დააკავეს ჩოლოქის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, შემდეგ კი მხოლოდ აჭარის უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების ზედამხედველობით შეუშვეს აჭარაში. "ფაქტობრივად, საქმე არ გაგვაკეთებინეს, – ხალხის ნაცვლად, კითხვებზე პასუხებს უშიშროების თანამშრომელი იძლეოდა," – განაცხადეს კორესპონდენტებმა აჭარის საზღვრების დატოვების შემდეგ. **24 საათი**

ჟვანია, ბარამიძე და ნოღაიდელი "რევოლუციური ფრონტის" წინა ხაზზე გადიან

ახლად დანიშნული ფინანსთა მინისტრი დარბაზიდანვე შეუდგა მუშაობას.

პირველი გვერდიდან

"ვარდების რევოლუციის" დასრულების შემდეგ ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურასა და სასწავლო დაწესებულებებში მდგომარეობა დაიძაბა. ამის მიზეზი ის არის, რომ დროებით ხელისუფლებას, მისთვის სასურველი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად, საკანონმდებლო ბერკეტები არ გააჩნია. კერძოდ, მოქმედ პრეზიდენტს კონსტიტუცია არ აძლევს უფლებას, სახელგატეხილი მოხელეები და ჩინოვნიკები ერთი ხელის მოსმით დაითხოვოს სამსახურებიდან. ეს უკანასკნელნი კარგად სარგებლობენ ამით და, თანამდებობების შენარჩუნების მიზნით, დაძაბულობის კერების შექმნას ცდილობენ.

ხელოვნურად გამწვავებულ სიტუაციას კარგად აუღეს ალღო გაკოტრებულმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც უმალ მოისხეს ადამიანის უფლებათა დამცველებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლთა მანტია და "უსამართლოდ დაჩაგრულებს" გვერდში ამოუდგნენ. არადა, ეს პოლიტიკოსები ჰუმანიზმსა და სამართლიანობის დაცვაში ადრე არასდროს ყოფილან შემჩნეულნი.

ასეთ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია, საკვანძო თანამდებობებზე რაც შეიძლება მალე მოხდეს ძველი კადრების ახალი ძალებით ჩანაცვლება, რათა მათ დროულად დაიწყონ საშუალო და ქვედა სახელისუფლებო რგოლებში შესაბამისი საკადრო ცვლილებების განხორციელება.

ალბათ, სწორია, რომ ეს პროცესი ყველაზე სტრატეგიული უზნებიდან - შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებიდან - დაიწყო.

"შსს არის ყველაზე მეტად კორუმპირებული სტრუქტურა. აქ ღრმად აქვს გადგმული ფესვები კლანურობას და ნიჰილიზმს. აუცილებლად უნდა შეიცვალოს ის პატრონყმული დამოკიდებულება, რომელიც ამ სამინისტროში არსებობს," - აცხადებს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი, რომელიც აღნიშნავს, რომ ახალ კადრებს სამი კრიტერიუმის - პატრიოტობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი - მიხედვით შეარჩევს.

თავის მხრივ, ახალი სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ მისთვის თავიდან კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ამ თანამდებობაზე მისვლის საკითხი, ვინაიდან ამით უარი უნდა ეთქვა საპარლამენტო საქმიანობაზე, მაგრამ რადგან ქვეყნის ბიუჯეტი და ეკონომიკა კოლაფსურ მდგომარეობაშია, გადაწყვიტა, ამ ფრონტზე ხანძრის ჩაქრობაზე ეფიქრა.

პარლამენტის მიერ სახელმწიფო მინისტრად დამტკიცების შემდეგ, ზურაბ ჟვანიამ კომენტარი გაუკეთა მავანთა მცდელობას, რომ სიტუაცია ქვეყანაში ხელოვნურად დაიძაბოს.

"არ დავუშვებთ იმას, რომ ვიღაცეები ვითარების არევას შეეცადონ. ნურავის შეექმნება ილუზია, რომ ჩვენი მცდელობა, მშვიდობიან ჩარჩოებში მოვაქციოთ პროცესები, ჩვენივე სისუსტის ნიშანია. თანამშრომლობის შეთავაზება ჩვენს სისუსტეს ნამდვილად არ ნიშნავს," - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ახლო მომავალში ზურაბ ჟვანია აპირებს, აჭარის ხელისუფლებასთან გართულებული ურთიერთობების დარეგულირების მცდელობა იქნება.

"მზად ვარ, როგორც კი ასლან აბაშიძე მოსკოვიდან ბათუმში დაბრუნდება, ვეწვიო მას და ყველა საკითხზე დაველაპარაკო," - აღნიშნავს ჟვანია.

არადა, ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობების გარკვევა მართლაც საჩქარო საქმეა, რადგან, რაც დრო გადის, ზოგიერთი პოლიტიკოსი მეტი გულმოდგინებით იწყებს აჭარის თემით სპეკულირებას.

"აჭარა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. არსებობს საქართველოს კიდევ უფრო დაქუცმაცების საფრთხე: ერთი გადატრიალების დროს დავკარგეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ახლა ვკარგავთ აჭარას," - აცხადებს ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე მხოლოდ სასხვათაშორისოდ "შეიარა", რადგან მის პარტიას მოქმედი საკანონმდებლო ორგანოსთვის ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. აღსანიშნავია, რომ რჩეულიშვილი ასეთ განცხადებას იმ დროს აკეთებს, როდესაც ცნობილი ხდება, რომ ასლან აბაშიძე თავად გამოთქვამს ცენტრთან "კონტაქტზე გამოსვლის" სურვილს.

სხვათა შორის, რჩეულიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრად გიორგი ბარამიძის დანიშვნის წინააღმდეგაც გაილაშქრა და ეს იმით ახსნა, რომ ამით ეს უწყება ხელისუფლებაში მოსული ოპოზიციისთვის რევანშის აღების იარაღი გახდება. სინამდვილეში, სოციალისტური პარტიის თავკაცს, ეტყობა, იმ მრავალრიცხოვანი საქმების გამომზეურებისა უფრო ეშინია, რომლებიც შსს-ში დიდი ხნის წინ დაკონსერვდა და კორუფციულ გარიგებებსა თუ უკანონო პრივატიზაციას შეეხება.

რჩეულიშვილის გარდა, შევარდნაძის "გვარდიიდან" გუშინ ძალზე აქტიურობდნენ, აგრეთვე, გურამ შარაძე და მანანა გიგინეიშვილი. მათი გამოსვლები უფრო მაპროვოცირებელი ხასიათისა იყო და დანარჩენი დეპუტატების "აყოლიებას" ისახავდა მიზნად. ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: შარაძესა და გიგინეიშვილს არა თუ მათი პოლიტიკური ოპონენტები, არამედ ისინიც კი არ აჰყვნენ, ვინც სულ ახლახან მათთან ერთად იყვნენ სახელისუფლებო ბლოკში.

ამ ბლოკის არსებობა დღეს თითქმის აღარავის ახსოვს. ვერავინ იტყვის, ის, საერთოდ, კიდევ არსებობს თუ არა. მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ბლოკის ყველაზე "კაშკაშა ვარსკვლავმა" - პრეზიდენტმა შევარდნაძემ - პოლიტიკური კარიერა დაასრულა, მისი მონა-მორჩილები სიტუაციაში გარკვევას ცდილობენ და ახალი პატრონის საძებნელად აქეთ-იქეთ აცეცებენ თვალებს.

ასე იყო პარლამენტის გუშინდელ სხდომაზეც: ახალ თანამდებობებზე ზურაბ ჟვანიას, ზურაბ ნოღაიდელის და გიორგი ბარამიძის დანიშვნისას, სწორედ ის ხალხი ხვდებოდა აპლოდისმენტებით, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ მინისტრობიდან თუ საპარლამენტო ხელისუფლებიდან მათ "დაცურებას" მისცა ხმა.

საჩხერეში რუმინელმა ოფიცრებმა ორკვირიანი სწავლება ჩაატარეს

გუშინ საჩხერის ბატალიონში მოეწყო წვრთნების ჩვენება, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, ჯარების სარდალი კობა კობალაძე, პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი და რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჯარისკაცებმა სამთო წვრთნების ფარგლებში "ასეულის შეტევა", "ტერორისტის ლიკვიდაცია" და "მძევლების გათავისუფლება" გაითამაშეს.

მინისტრმა თევზაძემ დადებითად შეაფასა წვრთნები, რომელიც რუმინეთ-საქართველოს ერთობლივი პროგრამით განხორციელდა. საჩხერეში თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების ბესიკ ქუთათელაძის სახელობის მე-16 ცალკეულ სამთო მსროლელთა ბატალიონში ორკვირიანი ტექნიკური სწავლება ჩაატარეს რუმინელმა ოფიცრებმა, სერჟანტებმა, კაპრალებმა - სულ 24-მა კაცმა.

ინტერ-პრესი

მოსკოვი დიპლომატიურ ნისლში გახვია

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მინისტრ ივანოვს აბაშიძის, კოკოევისა და ხაჯინბას მოლაპარაკებების საერთო მაგიდასთან დასმა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან მოსკოვურმა სქელმა ნისლმა შეუშალა ხელი. აფხაზეთის პრემიერი ადლერის აეროპორტში დაყოვნდა და მოსკოვში მხოლოდ გვიან საღამოს ჩაფრინდა. ამასობაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკვე მოახერხა ედუარდ კოკოევთან "გასაუბრება", ასლან აბაშიძე კი მოსკოვში პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, საკუთარი რეგიონის ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების მოგვარებას შეუდგა.

სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ქართველ ჟურნალისტებს სთხოვა, კონსულტაციების პროცესში ნუ დაძაბავენ სიტუაციას, ხელი შეუწყონ ნორმალურ პროცესს.

"ჩვენი მიზანია, პოლიტიკური პრობლემებიდან თანდათან ეკონომიკური საკითხების მოგვარებაზე გადავერთოთ," - თქვა კოკოევმა. **"ქართულ მხარესთან დიალოგი უმალ აღდგება, როგორც კი თბილისში ლეგიტიმური ხელისუფლება იქნება,"** - დასძინა მან.

მინისტრ ივანოვთან შეხვედრამდე მოსაცდელ ოთახში ედუარდ კოკოევი ვალერი ლოშჩინინს შეხვდა. ლოშჩინინი კოკოევს ხაზგასმულად მეგობრულად და გულითადად გადაეხვია. შემდეგ შემოვიდა იგორ ივანოვი, რომელიც აშკარად უხალისოდ გამოიყურებოდა. ივანოვი აშკარად ჩქარობდა. **"ბრიფინგი არ იქნება. განცხადებას სამინისტროს საიტზე ნახავთ,"** - ასეთი სიტყვებით გამოგვაცილა ივანოვის კაბინეტიდან ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა ალექსანდრ იაკოვენკომ. შეკითხვაზე, თუ რატომ იმართება იგორ ივანოვის მხოლოდ ორმხრივი შეხვედრები საქართველოს ავტონომიის ლიდერებთან, პასუხი ვერ მივიღეთ.

მოსკოვში საღამოს ჩაფრინდნენ სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა. საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციები 28 ნოემბერს განახლდება.

აბაშიძე კი ქართველ ჟურნალისტებს აშკარად ემალება. **"ბატონი ასლანი მეურნე კაცია და იგი მოსკოვის ხელისუფლებას ხვდება აჭარის სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად,"** - გვითხრა აჭარის წარმომადგენელმა. მისი კომენტარით, ტრადიციული შეხვედრები იური ლუჟკოვთან და მოსკოვის მთავარ არქიტექტორთან იმაზე მიანიშნებს, რომ ბათუმში მალე მოსკოვი მორიგ მშენებლობას წამოიწყებს.

REUTERS
აბაშიძე ივანოვს ამჯერად მოსკოვში შეხვდა.

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

გარემოს გლობალური ფონდის გრანტი N 021598
პროექტი N 050911

მოწვევა
ინტერესის გამოსახატად
არქიტექტურულ კონკურსში მონაწილეობაზე

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის და ვიზიტორთა ცენტის მშენებლობის პროექტირება

საქართველოს მთავრობამ მოიპოვა მსოფლიო ბანკის დაფინანსება "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განსახორციელებლად და აპირებს გამოიყენოს სახსრების ნაწილი საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, არქიტექტურული კონკურსის საფუძველზე.

საკონკურსოდ გამოტანილი სამუშაოები ითვალისწინებს კოლხეთის ეროვნული პარკის არსებული ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის არქიტექტურულ პროექტირებას.

ეროვნული პარკი წარმოადგენს რამსარის საერთაშორისო სტატუსის მქონე ჭარბტენიან ტერიტორიას და მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კოლხეთის დაბლობზე, ადმინისტრაციით ქალაქ ფოთში (იხ. www.KNP.ge).

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ საინფორმაციო პაკეტი, რომელიც დაადასტურებს მათ შესაძლებლობებს წარმატებით შეასრულონ აღნიშნული საპროექტო სამუშაო (საპრეზენტაციო ბროშურები, შესრულებული პროექტების აღწერა, ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიზებული პროექტირების გამოცდილება, სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და პერსონალის არსებობა და მათი კურიკულუმ ვიტა, ადრე შესრულებული მსგავსი ხასიათის საპროექტო სამუშაოს სრულფასოვანი ნიმუში და სხვა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შერჩეული ორგანიზაციები მოწვეულნი იქნებიან ესკიზური პროექტირების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო გამარჯვებული ესკიზური პროექტის ავტორი ორგანიზაცია მოწვეული იქნება სრულფასოვანი არქიტექტურული პროექტის შესასრულებლად.

შერჩევა იწარმოებს მსოფლიო ბანკის პროცედურების მიხედვით: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება" (უახლესი გამოცემა).

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია იურიდიულად რეგისტრირებულმა საპროექტო ორგანიზაციებმა 2003 წლის 31 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ს.ზ.ი.მ. ცენტრი, თბილისი, ფალიაშვილის 87, მე-2 სართული, ტელ./ფაქსი 25-20-50, ელექტრონული ფოსტა PHASiS@ICZM.org.ge, ინტერნეტის გვერდი www.ICZM.org.ge, საიდანაც შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება.

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

მოწვევა ინტერესის გამოსახატად საკონსულტაციო მომსახურებაზე:

"ბაქტერიოლოგიური და საზღვაო მონიტორინგის ლაბორატორიების რეკონსტრუქციის საინჟინრო-არქიტექტურული პროექტირება (ბათუმი, ფოთი)"

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი, როგორც მსოფლიო ბანკის დაფინანსებული „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განმახორციელებელი ორგანიზაცია, იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნულ საკონსულტაციო მომსახურებაზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს მათ შესაძლებლობებს წარმატებით შეასრულონ აღნიშნული საპროექტო სამუშაო (ბროშურები, ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოების აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა, ადრე შესრულებული ანალოგიური საპროექტო სამუშაოს ნიმუში და სხვა).

დაინტერესებულ კონსულტანტებს დეტალური ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით შეუძლიათ მიიღონ. ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე. დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 10 დეკემბერი.

ს.ზ.ი.მ. ცენტრი
მამუკა გველავა, დირექტორი
თბილისი, ფალიაშვილის 87, მე-2 სართული,
ტელეფონი: 25-20-50,
მობილური: 899 546616
ფაქსი: +1 (419) 791-6651,
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge,
ელ. ფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge

ჯართად გაყიდული მილსადენიდან ნავთობი დაიღვარა

წუხელ გორის რაიონის სოფელ ფლავში ნავთობი დაიღვარა. ნავთობის დაღვრის შედეგად ადგილზე გაჩნდა ხანძარი, რომლის ლოკალიზება მეორე დღისთვის მოხერხდა. როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციიდან გვაცნობეს, ეს მილსადენი კორპორაციის კუთვნილება არ არის. გაირკვა, რომ ნავთობის დაღვრა სწორედ იმ ნავთობპროდუქტსადენიდან მოხდა, რომლის სკანდალური აორთქლების თაობაზეც "24 საათი" ამ ორიოდე კვირის წინ წერდა.

მაია ურუშაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ხაშური-ბათუმის ნავთობპროდუქტსადენი, რომელიც 1976 წელს წელიწადში 6 მილიონი ტონა ბენზინისა თუ დიზელის საწვავის ბათუმში გადასატვირთად აიგო, მიწიდან ამოყარეს და ჯართად გაყიდეს. ცნობისათვის, ამ მილსადენის ოპერირებით დაინტერესებული იყო ამერიკული "შევრონი", რომელიც დღეს ნავთობის ტრანზიტს საქართველოზე მხოლოდ რკინიგზის საშუალებით ახორციელებს. სტრატეგიული დანიშნულების ობიექტთა ნუსხაში შეტანილი 243-კილომეტრიანი ნავთობპროდუქტსადენიდან მილების ამოყრა-გატანის პროცესი ახლაც გრძელდება. არსებობს ინფორმაცია, რომ მიწიდან ამოყრილი მილები საბერძნეთში გააქვთ და მათი გამოყენებით ამჟამად იქ ახალი ნავთობპროდუქტსადენის მშენებლობა მიმდინარეობს.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მილსადენის აღდგენა თავისუფლად შეიძლებოდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ 2 მილიონ 700 ათასი ლარის ღირებულების მილსადენი, რომელიც ნულოვან აუქციონზე 167 ათას ლარად სულ ახლახან გაიყიდა, თავის დროზე შეგნებულად არ აღადგინეს. მილსადენის გაყიდვა მოხდა ქონების მართვის მაშინდელ მინისტრთან შეთანხმებით, ამ მილსადენის ოპერატორი კომპანია "საქნავთობპროდუქტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვახტანგ კიკნაძის მიერ. "საქნავთობპროდუქტში" მიიჩნევენ, რომ ამ მილსადენის გაყიდვის გეგმა კიკნაძეს დიდი ხანია ჰქონდა და ამიტომაც "საქნავთობპროდუქტის" გაკოტრებას მიზანმიმართულად ცდილობდა, რათა მერე მისი ლიკვიდაცია მოეხდინა და ამ გზით დანაშაულის კვალი წაეშალა.

თუმცა, დემონტაჟისა და ჯართად გაყიდვის პროცესში მყოფმა მილსადენმა თავისი არსებობა ამჯერად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თავადვე შეახსენა. თითქმის დაშლილი მილსადენის მცირე მონაკვეთში ვინ იცის, რამდენი ხნის ჩარჩენილი ნავთობი აღმოჩნდა. დემონტაჟის პროცესში მისმა დაღვრამ და წვამ ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურება გამოიწვია. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ავარია მილსადენის უსაფრთხოების წესების დაცვის იგნორირებამ გამოიწვია. ავარიის შედეგად გამოწვეული ზარალის ოდენობა უცნობია. უცნობია ისიც, თუ ვის დაეკისრება ამ ზარალის ანაზღაურება.

საერთაშორისო თანამეგობრობა ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას იწყებს

მსოფლიო-სასურსათო პროგრამა ხელს აწერს საქართველოსთან ურთიერთგაგების ხელშეკრულებას

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP) ოფიციალურად მოაწერს ხელს ურთიერთგაგების ხელშეკრულებას საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რათა გაგრძელდეს მსოფლიო-სასურსათო პროგრამის დახმარება საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. კონტრაქტს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე და მსოფლიო-სასურსათო პროგრამის საქართველოს ოფისის დირექტორი ქალბატონი პიპა ბრედფორდი "შერატონ მეტეხი პალასში" მოაწერენ ხელს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ძალების მოსვლის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციასთან გაფორმებული პირველი ხელშეკრულება სწორედ სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა, რადგან ეს ის სფერო გახლავთ, რომელსაც პროექტების ეფექტური მიმდინარეობისა თუ ქვეყნისათვის დარგის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო უცხოური ორგანიზაციები ყველაზე მეტად სწყალობდნენ. დღეს ხელმოწერილი კონტრაქტის მიხედვით, გაერო-ს მსოფლიო-სასურსათო პროგრამა 2003 წლის ივლისიდან 2006 წლის ივნისამდე - სამი წლის განმავლობაში 50 493 ტონა სურსათს გაუნაწილებს 209 500 სოციალურად დაუცველ ადამიანს საქართველოში. ოპერაციის მთლიანი ბიუჯეტი კი 23 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პიპა ბრედფორდის თქმით, **"ოპერაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ის, რომ ჰუმანიტარული დახმარებისა და პროექტის - "სურსათი სამუშაოსათვის" განხორციელებით მსოფლიო-სასურსათო პროგრამამ თავისი წვლილი შეიტანოს გარდამავალ ეტაპზე ეროვნული აღმშენებლობის პროცესში, რაც გრძელვადიანი სტრუქტურული რეფორმების გატარების პერიოდში ხელს შეუწყობს ადამიანური და სამეწარმეო კაპიტალის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას."** მისივე შეფასებით, ეს არის მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში მსოფლიო-სასურსათო პროგრამის მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხება თვითონ პროექტს, იგი ითვალისწინებს იმ სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენას ან შექმნას, რომელიც შემდგომში შენარჩუნებული და გამოყენებული იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების საკეთილდღეოდ საქართველოს ექვს სამიზნე რეგიონში; ჰუმანიტარულ დახმარებას ხანდაზმულთათვის და მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის (რომელთა უმრავლესობა ქალებია), რომელთაც სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ არაადეკვატური სახელმწიფო პენსიების გარდა და ჩეჩენი ლტოლვილებისათვის საარსებო სასურსათო მინიმუმის უზრუნველყოფას. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილის დავით შერვაშიძის განცხადებით, მსოფლიო-სასურსათო პროგრამის აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შეირჩა საქართველოს ყველაზე შეჭირვებული რაიონები - რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. მისივე თქმით, პროექტში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა ანაზღაურებას საკვები პროდუქტებით მიიღებს, რომელთა შესყიდვაც შეძლებისდაგვარად ადგილზევე განხორციელდება. მსოფლიო-სასურსათო პროგრამაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ღონისძიება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით წარიმართება. WFP-ის პარტნიორები კი იქნებიან World Vision International (WVI), Accion Contra el Hambre (ACH) და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია "აფხაზინტერკონტი".

მოკლედ

რუსეთის საგადასახადო სამსახურები "გაზპრომს" მოგებას დაუთვლიან

რუსეთის დაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის სამინისტროს დაბეგვრის დეპარტამენტი "გაზპრომის" მოგებას დაითვლის. დეპარტამენტის ეჭვს იწვევს "გაზპრომი" და რკინიგზა. "გაზპრომით" დაეჭვება გამოიწვია მისი ხელმძღვანელის ხმამაღალმა განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ 2003 წლის პირველ ნახევარში ენერგოგიგანტის მოგება მაქსიმალური იყო. დაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის სამინისტროს ინფორმაციით, "გაზპრომს" მოგების გადასახადის სახით არც ისეთი შთამბეჭდავი თანხები აქვს გადახდილი.

ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქუჩა ევროპაში მოსკოვის "მანეჟნაიაა"

მოსკოვის "მანეჟნაიამ" ევროპის უძვირესი ქუჩების ათეულში მეათე ადგილი დაიკავა. რეიტინგი სავაჭრო ფართობის კვადრატულ მეტრზე წლიური იჯარის ღირებულების მიხედვით შედგა. "მანეჟნაიაზე" ეს თანხა 2612 ევროს შეადგენს. რეიტინგში პირველ ადგილს პარიზის "ელისეს მინდვრები" იკავებს, სადაც ერთი კვადრატული მეტრი 6287 ევრო ღირს. მეორე ადგილზე ლონდონის ოქსფორდ-სტრიტია (4405 ევრო), მესამეზე – პარიზის ფობურ სენ-ონორეს ქუჩა.

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული მონაცემები 27 ნოემბრისათვის

მლნ. ლარებში

დასახელება	წლიური პროგნოზი	შესრულება	%	26 ნოემბერი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1125.45	811.29	72%	2.58
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	580.28	70%	1.80
საგადასახადო შემოსავლები	659.8	505.44	77%	1.79
სოციალური ფონდი	240.25	195.41	81%	0.75
საგზაო ფონდი	49.5	35.80	72%	0.03
[illegible]	239.79	185.64	77%	-0.38

გარანტირებული გაზი თბილისელებისთვის

მაია ურუშაძე

დედაქალაქის უწყვეტი გაზმომარაგების ბედი დღეს იმ თანხებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, რომელიც საკრებულომ პედაგოგებისათვის დარიგებული ვაუჩერების განაღდებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული გაზის საფასურად უნდა გადაიხადოს. თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც დედაქალაქის ბიუჯეტმა "ახალ მენეჯმენტთან" ხელშეკრულების გაფორმებისას იკისრა, 15 მილიონ ლარს შეადგენს. ხელშეკრულების თანახმად, ამდენივე უნდა გამოყოს ცენტრალურმა ბიუჯეტმაც, რომელსაც ამ დროისათვის ხაზინაში ერთი თეთრიც კი არ მოეპოვება.

"ჩვენ დღესვე გადავცემთ "თბილგაზს" იმ პედაგოგების სიებს, რომელთაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, გაზის ვაუჩერები დაურიგდათ. ეს ვაუჩერები უნდა განაღდდეს. ამისათვის გამოყოფილი თანხა თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებულია. ჩვენ არ შევუქმნით პრობლემებს "თბილგაზს", რომ სოციალურად დაუცველი ფენების შეღავათები დააფინანსოს, თავის მხრივ კი, "თბილგაზმა" უნდა გაამკაცროს ავარიებზე კონტროლი და გადასახადები უნდა აკრიფოს," – განაცხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა "თბილგაზის" მმართველებთან – "ახალ მენეჯმენტთან" გუშინ გამართულ შეხვედრაზე.

სხვათა შორის, ბოლო 12 წლის მანძილზე "თბილგაზის" ხელმძღვანელებმა პირველად მიიღეს მადლობა. როგორც ბექაურმა განმარტა, **"გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდისა და იმისათვის, რომ თბილისს გაზის გარეშე დარჩენა არ ემუქრება."**

"24 საათი" უკვე წერდა, რომ "თბილგაზი" ახალი მრიცხველების დამონტაჟებას გეგმავს. ერთ კვირაში "თბილგაზი" კომპანია "ელსტერის" წარმოების მრიცხველებს მიიღებს და საკუთარი ხარჯებით დაამონტაჟებს. **"ჩვენი სამი ასეთი მრიცხველი საექსპერიმენტოდ უკვე დავამონტაჟეთ და ამოღების 86-პროცენტიანი შედეგი მივიღეთ,"** – განაცხადა "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან ფურცელაძემ. იგი უკმაყოფილოა, რომ "თბილგაზის" ორჯერად თხოვნას, დროულად შეიმუშაონ დავალიანების გადახდის გრაფიკები, მხოლოდ 4-5 საწარმო გამოეხმაურა. **"დედაქალაქში გაზის დატაცებას დიდი მასშტაბები აქვს. ჩვენ იძულებულნი ვართ, მივიღოთ სასტიკი ზომები და გაუფორმებელი ობიექტები, უბრალოდ, ჩავჭრათ,"** – განაცხადა ფურცელაძემ. მისი ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი დავალიანება მსხვილ საწარმოებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე მოდის.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საკრებულო "თბილგაზს" პრობლემებს არ შეუქმნის.

არსებობს სახელმწიფო ქონების სასწრაფო წესით გასხვისების საფრთხე

დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ 2003 წელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სერიოზული გარღვევით სრულდება. წლის ბოლომდე ცენტრალურ ბიუჯეტში 300 მილიონზე ცოტა მეტი ლარია მოსაზიდი. ეკონომიკური ექსპერტების ვარუდით, ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი გარღვევა 200 მილიონი ლარი იქნება. საბიუჯეტო შემოსავლებს შორის ყველაზე დიდი დანაკლისია სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მობილიზებული თანხების გრაფაში. უკანასკნელი მონაცემებით, ამ კუთხით შესრულებულია წლიური პროგნოზის მხოლოდ 50 პროცენტი.

ეთერ მამულაშვილი

შეძლებს თუ არა ფინანსთა სამინისტრო წლის ბოლომდე დარჩენილ დროში პრივატიზებიდან კიდევ 20 მილიონის მობილიზებას, ამის პროგნოზი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე რთული არ უნდა იყოს.

აშკარაა, რომ დღეს ამისთვის არავის სცალია. არადა, წელს გასაყიდად დარჩენილი ობიექტების რიცხვი ასამდე აღწევს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან ბიუჯეტში შემოსული თანხები დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ არის მიჩნეული.

დღეს უკვე ბიუჯეტის დეფიციტი ბევრად მეტია, ვიდრე პრივატიზაციიდან მისაღები თანხა. "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" რწმუნებით, საერთო დეფიციტის როდენობა ოქტომბრის ჩათვლით 270 მილიონს აჭარბებს.

2003 წლის ბიუჯეტის ავტორები წელს სახელმწიფო საკუთრების გაყიდვიდან ორმოცი მილიონი ლარის შემოსვლას ვარაუდობდნენ. ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს 1 ნოემბრის მონაცემებით, გაყიდულია მხოლოდ 57 სახელმწიფო ობიექტი (წელს გასაყიდად გამზადებული იყო 143 ობიექტი), საიდანაც ქვეყნის მთავარ ხაზინაში 20.955.880 ლარი შევიდა. აქედან ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 17.829.287 ლარი, დანარჩენი კი ადგილობრივ ბიუჯეტში.

თუკი პრივატიზაციიდან შემოსული თანხების გასული წლის მაჩვენებელს გადავხედავთ, მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ რვა მილიონი ლარის მობილიზება გახდა შესაძლებელი.

ეკონომიკური ექსპერტები ჯერ კიდევ წლის დასაწყისში აცხადებდნენ, რომ პრივატიზაციის კუთხით დაგეგმილი 40-მილიონიანი პროგნოზი და მთელი 2003 წლის ბიუჯეტი არარეალური იყო.

ის 20 მილიონი, რისი მობილიზებაც დღემდე მოხერხდა, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის დამსახურებაა. წელს სახელმწიფომ ამ საწარმოს აქციათა 51 პროცენტი ერთ-ერთ ავსტრიულ კომპანიას დაახლოებით 15 მილიონ ლარად მიჰყიდა.

სხვათაშორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქათველოში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მთავრობას ცალსახად მოსთხოვა, რომ დაჩქარებულიყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი და ბიუჯეტში ამ კუთხით მომხადრიყო თანხების მაქსიმალური მობილიზაცია.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრი კახა დამენია მიიჩნევს, რომ დღეს პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. **"ეს ლოგიკურიც არის, რადგან დღითი დღე უარესდება საინვესტიციო გარემო საქართველოში. იმ ნორმალური საწარმოების პრივატიზაცია კი, რომელთა გაყიდვა დღეს კიდევ შეიძლება, ჭიანურდება",** - აღნიშნა დამენიამ "24 საათთან" საუბრის დროს.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე ეკონომიკის ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო ქონების მართვას. ისინი მიიჩნევენ, რომ ქვეყნისათვის გარდამავალ პერიოდში დროებითმა ხელისუფლებამ განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა აიყვანოს სახელმწიფო საკუთრება, რათა არ მოხდეს მისი უკანონო პრივატიზება და ამ ქონების ჩალის ფასად გასხვისება, რაც, ბუნებრივია, კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა იქნება უკვე მილიონებით გარღვეული ბიუჯეტისთვის. **"არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ამ დღეებში მოხდეს სახელმწიფო ქონების დაჩქარებული ტემპებით ჩამოწერა და შემდეგ მისი გაჩუქება. იმ პირობებში, როდესაც თანამდებობის პირებს არ აქვთ ამ თანამდებობაზე დარჩენის გარანტია და დროც შეზღუდული აქვთ, შესაძლოა, მათ ეს სათავისოდ გამოიყენონ,"** - გვითხრა ეკონომიკის ექსპერტმა ლადო პაპავამ.

არადა, 2003 წელს საპრივატიზაციოდ გამზადებული სახელმწიფო ქონების შთამბეჭდავი ნუსხა ერთობ მიმზიდველია ნებისმიერი საქმოსნისთვის. დღეისათვის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ასამდე ობიექტიდან უმრავლესობა სხვადასხვა ფუნქციის მცირე საწარმოებია, რომელთა აქციების 100 პროცენტს სახელმწიფო ფლობს. წელს გასაყიდად არის გამოტანილი რამდენიმე სამედიცინო მომსახურების ობიექტი და მათი ქონება, წყნეთის და ოქროყანის აგარაკები, სახელმწიფო დაწესებულებების უფუნქციოდ დარჩენილი შენობები, ათასობით კვადრატული მეტრის არასაცხოვრებელი ფართი და კიდევ "ათასი წვრილმანი".

ძველი სატელეფონო სადგურები ციფრულ სისტემაზე გადადის

იმ ავტომატურ სატელეფონო სადგურებს, რომლებიც აქამდე ძველ სისტემაზე მუშაობდნენ, ფუნქციონირების ე.წ. ციფრულ სისტემაზე გადაიყვანენ. ცვლილება ძირითადად თბილისის საბურთალოს რაიონის სატელეფონო მომსახურების 34, 35, 37, 38, და 39 ატს-ებს შეეხება. ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი კი, რომელიც აღნიშნული აბონენტებისათვის დღემდე სამი ლარი იყო, ოთხ ლარამდე გაიზრდება. გადართვის ღირებულების ერთიანი ტარიფის საფასური 50 ლარია. კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დაპარტამენტის უფროსის ლია მუხაშავრიას განცხადებით, აბონენტთა გადასვლა ახალ ქსელების მომსახურებაზე ხარისხისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება (შესაძლებელი გახდება ინტერნეტით მომსახურებაც) და მხოლოდ ნებაყოფლობით, აბონენტის სურვილის შესაბამისად მოხდება. მისივე ინფორმაციით, გადართვები უკვე მიმდინარეობს. 50-ლარიანი საფასურის გადახდა ეტაპობრივადაც არის შესაძლებელი.

24 საათი

ევრაზიის ფონდი

წარმომადგენლობა საქართველოში

ევრაზიის ფონდი აცხადებს ვაკანსიას მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების სფეროში პროგრამის კოორდინატორის თანამდებობაზე

მოვალეობები:
1. ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში შემოსული საგრანტო განცხადების განხილვა.
2. გაცემული გრანტების შეფასება და მონიტორინგი.
3. მმართველობისა და თვითმმართველობის სფეროში საგრანტო სტრატეგიის შემუშავება და კვლევის ჩატარება.
4. ევრაზიის ფონდის სახელით მონაწილეობა მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- მაგისტრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში ან მმართველობის სფეროში.
- მინიმუმ ორი წლის მუშაობის გამოცდილება მმართველობასა და თვითმმართველობის საკითხებზე.
- საქართველოში მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების ისტორიისა და მიმართულებების ცოდნა.
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ცოდნა.
- კომპიუტერზე მუშაობის გამოცდილება.
- ანალიტიკური უნარ-ჩვევები.
- სტრესულ სიტუაციაში მუშაობისუნარი.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე და თანხლების წერილი ინგლისურ ენაზე ევრაზიის ფონდის წარმომადგენლობის ოფისში მისამართზე: კავსაძის 3, ან გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: brandall@eurazia.org.ge
საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 3 დეკემბერი.

ევრაზიის ფონდი დაარსდა 1993 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშესაწყობად. ამ ქვეყნებში ფონდი წარმართავს მცირე გრანტების პროგრამას არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

მოკლედ

ენერგოსექტორი აქილევსის ქუსლი

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე კანცელარიაში ენერგეტიკის დარგის ხელმძღვანელებს, უცხოელ დონორებსა და დარგში მომუშავე უცხოური ენერგოკომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვიზიტი მიზნად ისახავდა შემოდგომა-ზამთრის პერიოდისთვის სექტორში მიმდინარე და განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების გაცნობას. ნინო ბურჯანაძე შიშობს, რომ ამ ზამთარს, შესაძლებელია, მთელი საქართველოს მოსახლეობამ დენი 24-საათიანი გრაფიკით ვერ მიიღოს, "მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მოსახლეობა ელექტროენერგიით მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს". ბურჯანაძემ ევროკავშირსა და აშშ-ს - სექტორისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფა, ხოლო რუსეთს ელექტროენერგიის იმპორტის გამო დაგროვილი ვალების გადავადება სთხოვა. **24 საათი**

კოდორის ხეობის მოსახლეობა საჰაერო მარშრუტის აღდგენას ითხოვს

კოდორის ხეობის მოსახლეობა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძესა და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გიგი წერეთელს ქუთაისი-კოდორის ხეობის საჰაერო მარშრუტის აღდგენას სთხოვს, რომელსაც ზამთრის პერიოდში ვერტმფრენი ასრულებს. როგორც კოდორის ხეობის მოსახლეობა აცხადებს, სატრანსპორტო გზა, რომელიც კოდორის ხეობაზე გადის, მეწყერმა დააზიანა. მის ჩაკეტვას ხელი შეუწყო მთებზე ნაადრევად ჩამოთოვამაც და ორი თვის განმავლობაში ხეობის მოსახლეობა ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს მთლიანად მოწყდა. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე ვალუტის მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა კურსით 1 აშშ დოლარი – 2.1650 ლარი. გუშინ, შუადღისთვის, შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 2.15 ლარად ყიდულობდნენ და 2.16-ად ყიდდნენ. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. "მსოფლიო ბანკი მზადაა, ითანამშრომლოს საქართველოს ახალ მთავრობასთან, რათა ხელი შეუწყოს მოსახლეობისათვის საჭირო საარსებო მინიმუმის გაზრდას და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას," - ნათქვამია თბილისში მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ მსოფლიო ბანკი მიესალმება საქართველოს მოსახლეობისა და მთავრობის შეთანხმებას ქვეყანაში ვადამდელი საპრეზიდენტო და ხელმეორე საპარლამენტო არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ქართულ-იტალიური ერთობლივი პროგრამის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო. ორწლიანი პროექტი, რომელიც იტალიის მთავრობამ და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ დააფინანსეს, ენგურჰესისა და ჟინვალჰესის კაშხლებზე გეოფიზიკური კვლევების ჩატარებას გულისხმობდა. ახლა, როცა კაშხლების მონიტორინგი ჩატარებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოები გაიოლდება. **24 საათი**

■ ■ ■

ბაქო. აზერბაიჯანის ეროვნული ბანკი გეგმავს, რამოდენიმე თვეში მიმოქცევაში გამოუშვას ახალი კუპიურა, რომელზეც ექსპრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის პორტრეტი იქნება გამოსახული. თუ რომელ ფულად ერთეულზე მოხდება ყოფილი პრეზიდენტის პორტრეტის გამოსახვა, ჯერჯერობით, უცნობია. **24 საათი**

■ ■ ■

მოსკოვი. "გაზპრომის" თავკაცი ალექსეი მილერი ბელორუსიასთან მოლაპარაკებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ რუსული ენერგოგიგანტი ბელორუსიას გაზს "ქვეყნის მზადრი ეკონომიკური მოთხოვნილებების შესაბამისად" მიაწვდის, მაგრამ გაითვალისწინებს გადახდის მაჩვენებლებს. დღემდე "გაზპრომსა" და ბელორუსს შორის შეთანხმება არ ხერხდებოდა. საუბარი იყო ერთობლივი საწარმოს შექმნაზეც. სავარაუდოდ, ეს საწარმო ოფიციალურად შექმნილი არ არის, მაგრამ "გაზპრომი" "ბელტრანსგაზს", ალბათ, მაინც გააკონტროლებს. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. ეუთო საქართველოს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად 5 მილიონ ევროს გამოუყოფს. ამ საკითხს ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები 1-2 დეკემბრისათვის მაასტრიხში (ჰოლანდია) განიხილავენ. ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის იაპ დე ხოოპ სხეფერის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში საქართველო საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას საჭიროებს და ეუთო მზადაა, გამოყოს თანხა, რომლითაც მაღალტექნოლოგიური საარჩევნო აღჭურვილობის შეძენა გახდება შესაძლებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში იმპორტის მაჩვენებელი თანდათან იზრდება. ნოემბრის დასაწყისში იმპორტი 63 პროცენტით შემცირდა, 12-დან 18 ნოემბრამდე შემცირების მაჩვენებელი - 43 პროცენტამდე, დღეისათვის კი 30 პროცენტამდე დავიდა. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი აცხადებს, სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა, იმპორტის შემცირებასთან ერთად, საბაჟოს კუთხით ნოემბერში, სავარაუდოდ, მხოლოდ 50 პროცენტით შესრულდება. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტი დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების 100-პროცენტიან მობილიზებას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ს მსოფლიო-სასურსათო პროგრამა საქართველოში იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით "სურსათი შრომისთვის". მომავალი სამი წლის განმავლობაში პროექტი გაერო-ს ჰუმანიტარული დახმარების პარალელურად განხორციელდება სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში. ეს იქნება მსოფლიო-სასურსათო პროგრამასთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რომელიც წმინდა ჰუმანიტარული დახმარებიდან განვითარების პროექტებზე გადასვლას ითვალისწინებს. პროექტში მონაწილეობას 40 ათასი ადამიანი მიიღებს. ისინი ყოველი ნამუშევარი დღისათვის საოჯახო ულუფას მიიღებენ, რომელიც ოთხსულიან ოჯახზეა გათვლილი, ანუ სასურსათო დახმარებას სულ 160 ათასი ადამიანი მიიღებს. **მედია-ნიუსი**

უკრაინის ოპოზიციამ პროტესტი განაახლა

გუშინ უკრაინის ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა. საკანონმდებლო ორგანოს - უმაღლესი რადას შენობის წინ რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. აქვე იყვნენ მაღაროელთა პროფკავშირებიც. პარალელურად კი, უმაღლესი რადა ქვეყნის ბიუჯეტს განიხილავდა.

სხვადასხვა მონაცემებით, კიევის ცენტრში სამიდან ხუთი ათასამდე დემონსტრანტი იყო შეკრებილი. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის მომხრეებს და პროფკავშირებს სხვადასხვა მოთხოვნები ჰქონდათ.

მაღაროელები კიევში უკრაინის სხვადასხვა რეგიონებიდან ხელისუფლების ინიციატივით იყვნენ ჩამოსულები. ისინი მხარს უჭერდნენ ბიუჯეტის იმ პროექტს, რომელიც დონეცკის ოლქის ყოფილი გუბერნატორის და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იანუკოვიჩის მიერ არის შემუშავებული. ამ დოკუმენტში ქვანახშირის სექტორის განვითარებისათვის საკმაოდ მაღალი დოტაციებია გათვალისწინებული.

მაღაროელთაგან განსხვავებით, ოთხი ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციის მხარდამჭერები კი ბიუჯეტის უარყოფას ითხოვდნენ, რადგანაც მასში მინიმალური ხელფასის შემცირებაზეა საუბარი.

ოთხი ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციის მხარდამჭერები ბიუჯეტის უარყოფას ითხოვენ.

ოპოზიციურმა ფრაქციებმა მიტინგის დაწყება სესიის გახსნას დაამთხვიეს.

უკრაინის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, პრეზიდენტის მთავრობის საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა რადას პრეზიდიუმს წრე შემოარტყეს, რათა იქ ოპოზიციის წარმომადგენელთა ასვლა არ დაეშვათ. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა კი თავიანთი მოთხოვნები მეგაფონის საშუალებით წამოაყენეს.

ამის შემდეგ პარლამენტში ვითარება ნელ-ნელა დაწყნარდა და დეპუტატებმა მუშობა დაიწყეს.

ოპოზიციამ პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლა და იქ თავისი მხარდამჭერების მანიფესტაცია გამართა. ოპოზიციონერები აცხადებდნენ, რომ აქ მოსული მაღაროელები ხელისუფლების მიერ იყვნენ მოყვანილები, რათა პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციის მიტინგი არ დაეშვათ.

უკრაინის უდიდესი ოპოზიციური ბლოკის "ჩვენი უკრაინის" ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ განაცხადა, რომ სახელფასო მინიმუმის შემცირებით ხელისუფლებას 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ თანხების მობილიზება სურს.

საღამოს ოპოზიციის მიტინგმა პარლამენტის შენობიდან მთავრობის სახლისკენ გადაინაცვლა. მომიტინგეები მთავრობის და პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდნენ. **"კუჩმა – გადადექი!" "ძირს მთავრობა!"** -სკანდირებდნენ ოპოზიციის მხარდამჭერები.

ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, უმაღლესმა რადამ ბიუჯეტის პროექტი მაინც დაამტკიცა. ოპოზიცია მომავალი მასობრივი აქციებისათვის ემზადება. დღეს კიევში მრავალათასიანი დემონსტრაციაა დაგეგმილი.

შევარდნაძე გრძნობს, რომ ის დასავლეთმა გაყიდა

პირველი გვერდიდან

ახლა კი შევარდნაძე ვარაუდობს, რომ აშშ-მ მისი დამხობის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო. იმით განაწყენებულმა, რომ მისი მეგობრების მხრიდან დიდი ღალატი იყო, 75 წლის "ძლიერმა კაცმა" თავისი გულისტკივილი ხმამაღლა განაცხადა, განსაკუთრებით, აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის როლთან დაკავშირებით, რომელიც, მისი თქმით, ოპოზიციას ხელს უწყობდა მის დამხობაში, და ადგილობრივი აქტივისტების მიმართ, რომლებიც ამერიკული ფულით ფინანსირდებოდნენ. **"მე ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ერთგული ადამიანი ვიყავი. როდესაც მათ დასჭირდათ მხარდაჭერა ერაყში, მათ ჩემგან ეს მხარდაჭერა მიიღეს. თუ რა მოხდა შემდეგ, მე ამის ახსნა არ შემიძლია,"** - ამბობს ის.

შევარდნაძე იმ საგნებით არის გარემოცული, რომლებიც მას მმართველობის სამ ათეულ წელს ახსენებს. ერთ-ერთ კედელზე ჩარჩოებში ჩასმული ფოტოებია, სადაც ის გადაღებულია ჯორჯ ბუშ-უფროსთან, ჰავიერ სოლანასთან, ჟაკ შირაკთან, ჯეიმს ბეიკერთან და მომღერალ რეი ჩარლზთანაც კი.

მის ლამაზ და გაპრიალებულ მაგიდაზე კი დევს შავი ტყავის ყდაში ჩასმული წიგნაკი, სადაც აშშ-ს პრეზიდენტის სავიზიტო ბარათია მოთავსებული, რომელსაც უკანა მხარეს ფანქრით ტელეფონის ნომერი აქვს მიწერილი. მაგრამ, თავად შავი ტყავის დივანზე მჯდომი ადამიანი დაღლილად და ოდნავ მოტეხილად გამოიყურება. ის ხმადაბლა და ნელა საუბრობს.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ის შესამჩნევად დაბერდა. ქართველები ამბობენ, რომ მისი ლეგენდარული ენერგიისგან თითქმის აღარაფერია დარჩენილი. გუშინ დილით ის მანქანით სახელმწიფო კანცელარიაში გაემგზავრა, რათა თავისი კაბინეტი დაეცალა. 30 წლის მანძილზე ის ქართული პოლიტიკის საჭეთმპყრობელი იყო. სამი დღის წინ კი იძულებული გახდა, თავისი პოსტი დაეტოვებინა, როდესაც ათი-ათასობით გაბრაზებული დემონსტრანტი მის რეზიდენციას შტურმით ემუქრებოდა.

კრიზისის პიკზე, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ფალსიფიცირებამ გამოიწვია, ზოგიერთები უკვე პარალელებს აკეთებდნენ შევარდნაძესა და ბალკანელ დიქტატორებს (სლობოდან მილოშევიჩი და ნიკოლაი ჩაუშესკუ) შორის.

ამან ის აშკარად შეურაცხყო: **"ვინ დაიჯერებს მსოფლიოში, რომ შევარდნაძე მილოშევიჩი ან ჩაუშესკუა? 1989 წელს მე პირველმა მოვინახულე ბუქარესტი, როდესაც პრეზიდენტი ილიესკუ ტანკებით იყო გარშემორტყმული. მე მას ვუთხარი, რომ საბჭოთა კავშირი მის მხარეზე იყო."**

ის ამტკიცებს, რომ არასდროს განიხილავდა ძალის გამოყენების შესაძლებლობას თბილისში ოპოზიციის დემონსტრაციის დასაშლელად.

"როდესაც სახალხო მოძრაობა დაიწყო, მე საქართველოს მთლიანობის საფრთხე დავინახე და მივიღე გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. ყველაფერი მზად იყო – არმია, შინაგანი ჯარები, პოლიცია, მაგრამ მე შევხედე ხალხის უზარმაზარ მასას. მათი სახეების დანახვისას მე მივხვდი, რომ მათი დაწყნარება შეუძლებელი იყო, რომ მათ არაფრის არ ეშინოდათ და მე ვიგრძენი, რომ სისხლი დაიღვრებოდა. იმ დილით მე ვუთხარი ჩემს კოლეგებს, რომ ერთადერთი გამოსავალი ჩემი გადადგომა იყო," - განაცხადა შევარდნაძემ.

დეილი ტელეგრაფი

თურქეთის პრემიერ-მინისტრი ლონდონს აკრიტიკებს

პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია გააკრიტიკა, რომელიც, მისი თქმით, თურქეთის მთავრობას ტერაქტებთან დაკავშირებით არსებულ სადაზვერვო ინფორმაციას არ უზიარებს.

თურქეთის პრემიერის ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაფრთხილებით გამოვიდა იმის თაობაზე, რომ **"თურქეთში მომავალში ტერორისტული აქტების განხორციელება გარდაუვალია."**

დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებამ ეს განცხადება თურქეთში მომხდარი ტერაქტების სერიის შემდეგ გააკეთა. როგორც ცნობილია, რამდენიმე ტერაქტის შედეგად თურქეთში ორმოცდაათზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ერდოგანმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთმა ეს ინფორმაცია, პირველ რიგში, დაინტერესებულ მხარეს უნდა გაუზიაროს და არა მასმედიას.

"თუკი ჩვენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო პლატფორმაზე ვდგავართ, ასეთი ინფორმაცია დაინტერესებულ ქვეყანას უნდა გადაეცეს," - განაცხადა ერდოგანმა ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე. **"ხოლო თუკი ინფორმაციის წყარო ზუსტია, მაშინ მისი გამოქვეყნება მასმედიაში არ შეიძლება,"** - დასძინა მან.

ამასობაში, თურქეთში მომხდარ აფეთქებებში მონაწილეობის ბრალდება 12 ადამიანს აქვს წაყენებული. მათ შორის ორი ქალია. თურქეთის ტერაქტების სერიაზე პასუხისმგებლობა, როგორც ცნობილია, თავის თავზე აიღო დაჯგუფებამ, რომელიც "ალ-ქაიდასთან" კავშირშია ეჭვმიტანილი.

ერდოგანმა ამ ფაქტსაც გაუკეთა კომენტარი. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დანაშაული ჩაიდინეს თურქებმა, რომლებსაც საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან აქვთ კავშირები, თუმცა "ალ-ქაიდასთან" მათი კავშირი, ჯერჯერობით, დადასტურებული არ არის.

ერდოგანის თქმით, თურქეთში მომხდარ ორ ტერაქტს შორის კავშირი უდავოდ არსებობს. **"ტერორისტები, რომლებმაც თავდასხმა 15 ნოემბერს განახორციელეს, დაკავშირებულნი არიან მათთან, ვინც ტერაქტი ხუთი დღის შემდეგ მოაწყო,"** - აღნიშნა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

ერდოგანი უკმაყოფილოა.

მან ასევე გააკრიტიკა ევროპის საფეხბურთო ასოციაციის – უეფა-ს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, თურქეთის კლუბების მონაწილეობით სამი საერთაშორისო მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს.

უეფა-მ ეს გადაწყვეტილება ტერაქტების განხორციელების შიშით ახსნა. რაც შეეხება ბრიტანეთის პოზიციას ერდოგანის ბრალდებებთან დაკავშირებით, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოფიციალური ლონდონი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში თურქეთის ხელისუფლებასთან მჭიდროდ თანამშრომლობს. **"როდესაც ამის საშუალება გაგვაჩნია, ჩვენ ინფორმაციას სხვებსაც ვუზიარებთ, იმ ქვეყნების ჩათვლით, სადაც ასეთი საფრთხე არსებობს. ამდენად, ჩვენ ამ საფრთხის შემცირებას ვცდილობთ,"** - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა. ამასთანავე, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს მოუწოდებს, თურქეთში გამგზავრებისაგან თავი შეიკავონ, რადგან ტერაქტების განმეორების რისკი საკმაოდ მაღალია.

"გაზპრომის" მოგებები გაათკეცდა

ადამ მჭედლიძე

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში "გაზპრომის" მოგებები, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, ათჯერ გაიზარდა. ბუნებრივი გაზის მსოფლიოში უდიდესი მომწოდებლის მოგებამ 3,48 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსულ მონოპოლისტს უდიდესი მომავალი აქვს და მსოფლიოში ამ კომპანიას კონკურენტი კიდევ დიდი ხნით არ ეყოლება.

"გაზპრომი" წარმატებით მოღვაწეობს ევროპის მრავალ ქვეყანაში. ძველი კონტინენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებრივ გაზზე, თუნდაც იმ მიზეზით, რომ აქ რკინიგზა გადაადგილებისათვის ერთობ დიდ როლს თამაშობს. ანუ, ევროპას დიდძალი ელექტროენერგია ესაჭიროება, რომლის გამომუშავების ერთ-ერთი წყარო სწორედ გაზია. სულ მალე რუსული გიგანტი კიდევ ერთ გრანდიოზულ პროექტს ჩაუყრის საფუძველს, რომელიც დიდ ბრიტანეთამდე გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. მილი წყალქვეშ გავა, რისი გამოცდილებაც კომპანიას უკვე გააჩნია - სწორედ "გაზპრომმა" ააგო "ცისფერ ნაკადად" წოდებული მილსადენი, რომელსაც შავი ზღვის გავლით გაზი თურქეთში მიაქვს.

"გაზპრომის" წარმატება კიდევ უფრო შთამბეჭდავია იმის გათვალისწინებით, რომ თავად რუსეთში კომპანია დაბალ ფასებში ჰყიდის გაზს. გარდა ამისა, "გაზპრომის" არაერთი პროექტი წაგებაზე მუშაობს. იგივე "ცისფერი ნაკადი" მხოლოდ 10 პროცენტითაა დატვირთული. თურქული მხარე აცხადებს, რომ ამ მილსადენით მიღებული გაზი მეტისმეტად ძვირია და მისი გადახდა ქვეყანას, უბრალოდ, არ ძალუძს. "გაზპრომი" თურქულ მხარეზე დაწოლას ანხორციელებს და საკითხი საარბიტრაჟო სასამართლოშიც კი გააქვს, მაგრამ ანკარას მხარეზეა ერთ კარგი არგუმენტი. საქმე ისაა, რომ "ცისფერ ნაკადს" დიდი სკანდალები ახლდა თან. ამ პროექტს პრემიერ თანსუ ჩილერის დროს ჩაეყარა საფუძველი, რაც მისი გარემოცვის (მათ შორის, პრემიერის მეუღლის) მოქრთამვის წყალობით მოხდა. ეს ფაქტი კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი "გაზპრომის" წარმატებებს მეზობელ ქვეყნებში.

მიუხედავად ზემოხსენებული მოგებებისა, "გაზპრომის" აქციების მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზად იქცა "ეურალ ტიჯის" - უნგრეთში გაფორმებული კომპანიის მიერ მიღწეული გარიგება პოლონეთთან და "გაზპრომთან." ამ გარიგების მიხედვით, თურქმენეთიდან უკრაინის გავლით "გაზპრომის" მიერ მიწოდებულ გაზს პოლონეთში "ეურალი" გაანაწილებს. "გაზპრომისათვის," რომელიც ყველა ბაზარზე უპირობო გამარჯვებასა და მონოპოლისტობასაა დაჩვეული, ეს მართლაც რომ წარუმატებლობად შეიძლება ჩაითვალოს.

"გაზპრომის" წარმომადგენლის განცხადებით, გარიგების პირობები უკრაინის მიერ იყო ნაკარნახევი. ეს უკანასკნელი ყველანაირად ცდილობს თავისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის წინ წამოწევას. "ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, - აღნიშნა კომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სერგეი კუპრიანოვმა, - ასეთი შეთანხმება იმის საშუალებას მაინც მოგვცემს, რომ გაზის ექსპორტზე ტრანსაქციებს მონიტორინგი გავუწიოთ."

"გაზპრომის" აქციებმა მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ 2 პროცენტით აიწია.

მოკლედ

ჯორჯ ბუში ბაღდადში ჩავიდა

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მოულოდნელი ვიზიტით ერაყში ჩავიდა და ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ამერიკული დღესასწაული – მადლიერების დღე აღნიშნა. როგორც ცნობილი გახდა, მისი ვიზიტი ბოლო წუთებამდე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. პრეზიდენტმა თავისი რანჩო ტეხასში საიდუმლოდ დატოვა და ერაყში გაფრინდა, სადაც ამერიკელ სამხედროებთან ერთად, დაახლოებით, ორი საათი დაჰყო.

"მე თქვენ ამერიკის სახელით უნდა გადმოგცეთ: ჩვენ თქვენი სამსახურისათვის მადლობას გიხდით. ჩვენ თქვენით ვამაყობთ და ამერიკა ყოველთვის თქვენთან იქნება," - განუცხადა ბუშმა ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში შეკრებილ ექვსასამდე ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, პირველი ჯავშანსატანკო დივიზიის და 82-ე ავიადივიზიის ჯარისკაცებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ მათ მადლიერების დღეს თავად პრეზიდენტი მიულოცავდა. მათთვისაც ეს ვიზიტი ბოლო წუთამდე არ იყო ცნობილი.

აეროდრომზე შეკრებილ ჯარისკაცებს, თავდაპირველად, ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა მიმართა და განუცხადა, რომ პრეზიდენტის მიმართვას მათ მაღალი თანამდებობის პირი წაუკითხავდა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით კი, სწორედ ამ მომენტში ჯარისკაცების წინაშე თავად ჯორჯ ბუში წარსდგა.

"მე, უბრალოდ, თბილ ატმოსფეროში მსურდა ვახშმობა. დიდი მადლობა მოწვევისათვის. ამაზე უკეთეს საზოგადოებაში ვახშმობა მადლიერების დღეს ვერც კი წარმომიდგენია," - განაცახადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

სკანდალი სეულში

სამხრეთ კორეა საფინანსო სკანდალში გაეხვა. საქმე შემდეგშია: უკვე ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ გარკვეული პარტიები წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში და შემდგომაც არალეგალური გზით ფინანსდებოდნენ, დამფინანსებლებად კი საკმაოდ მსხვილი და განთქმული კომპანიები სახელდება. გამომძიებელთა ყურადღების ცენტრში ორი კომპანია Samsung და LG მოექცა. არსებობს ეჭვი, რომ ამ კომპანიებს ცალკე ფონდები გააჩნიათ და პარტიების ბიუჯეტში მილიონობით დოლარის გადარიცხვა სწორედ ამ ფონდებიდან ხდება. დაჭერილია რამდენიმე პოლიტიკოსი, მათ შორის - პრეზიდენტის დაახლოებული პირი ნო მუ ხენა. პრეზიდენტი რეფერენდუმს აცხადებს თავისი ადმინისტრაციის ნდობის თაობაზე, ოპოზიცია კი გამოძიების ჩასატარებლად ახალი, დამოუკიდებელი პროკურორის დანიშვნას ითხოვს, რაზეც პრეზიდენტი სასტიკ უარზეა.

ათი ქვეყანა
ერთი საბანკო ჯგუფი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

პროკრედიტ ბანკი ეკუთვნის იმ ბანკების ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ერთად ემსახურებიან 250,000 კლიენტს. ჯგუფის საერთო აქტივების ღირებულება შეადგენს 800 მილიონ აშშ დოლარს. ეს ბანკები ანაწილებენ საკრედიტო საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისაგან შემდგარ გაერთიანებულ ბაზარზე.

ყველა პროკრედიტ ბანკი იმყოფება ერთი ჯგუფის შემადგენლობაში და მასში შემავალ აქციონერებს წარმოადგენენ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკრო ინვესტიციების კომპანია.

150 ფილიალზე მეტი
250 000 კლიენტი
800 მილიონი დოლარის აქტივები

www.procreditbank.ge

ნაღველი

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ჯანყი მდივნებისა

ჭავჭავაძის პროსპექტი გადაკეტეს სტუდენტებმაო. გვიან გავიგე, თორემ აუცილებლად გავჩნდებოდი იქ. მეთხუთმეტე წელიწადია, აქცია რა არის, აქცია არ გამომიტოვებია, ღია ცის ქვეშ ღამის თევის ჩათვლით. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მიტინგი, თანაც, ძალიან ახალგაზრდული, ერთბაშად ცეკას ორ მდივანს იცავდა.

ამასაც მოვესწარით: ცეკას მდივნებს სტუდენტები იცავენ.

ისინი კი ყველანი ერთნაირები იყვნენ და ერთნაირები არიან. ერთნაირად დადიან, ერთნაირად ლაპარაკობენ, ერთნაირი გამომეტყველება აქვთ და ერთნაირადაც კი იცვამენ. მაგ ჯიშის ადამიანის გამოყვანას კარგა დიდი დრო სჭირდება – ჯერ ოქტომბრელობა უნდა გაიაროს, მერე – პიონერობა, მერე კომკავშირელი უნდა გახდეს, მერე – კომუნისტი. მაგრამ ეს ყველაფერი მცირე და უმნიშვნელო საფეხურებია. ამის შემდეგ იწყება მთავარი. უბრალო, რიგითი კომუნისტი, ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავს, ეს მხოლოდ საშუალებაა სადმე, რომელიმე ქარხანაში ან ინსტიტუტში რომელიმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსახვედრად. მთავარი იქ და მაშინ იწყება, როცა აქტიურად ერთვები პიონერულ, კომკავშირულ საქმიანობაში. როცა კომიტეტებში შეყოფ თავს, სულ ერთია, კომკავშირისა იქნება თუ პარტიის, როცა ინსტრუქტორის დამღას დაგადებენ – სულ ერთია, კომკავშირის თუ პარტიის. როცა უკვე დაღდასმული ნელ-ნელა იწყებ აბობღებას კომკავშირის რაიკომის, პარტიის რაიკომის და კიდევ ბევრი ეგეთის გავლით მაღალ მწვერვალებამდე, იქამდე, სადაც ცეკას მდივნები სხედან.

უუუჰ! მოვედით, როგორც იქნა!

ეგეთების გვერდით დგომა ჩემსავით და თქვენსავით ათასობით ბიჭისთვის ბოზობის ტოლფასი იყო. ჩვენ გვრცხვენოდა პიონერობის და ყელსახვევს ჯიბით ვატარებდით, გვრცხვენოდა კომკავშირელობის და სკოლის დამთავრებისთანავე სამუდამოდ ვივიწყებდით, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ არ გავხდებოდით ფუნქციონერები. ნამდვილად სწორად იქცევით თქვენც, როცა გწყინთ, კომკავშირელებს რომ გეძახიან. თქვენ პიონერები არ ყოფილხართ და, მართალი გითხრათ, არც თქვენი კომკავშირელობისა მწამს, მაგრამ ერთია ფიცი, ლოგიკა კი ხშირად ნაირ-ნაირ ბოლოს გამოაჩენს ხოლმე.

ნამდვილად ვიცი, რომ არანაირი ლენინისტები, სტალინისტები თქვენ არა ხართ. იმისიც მჯერა, რომ ორჯონიკიძე, ბერია, მჟავანაძე, შევარდნაძე თქვენთვის აწ უკვე გარდასული ეპოქაა, ისევე როგორც მათი ერთგული თანამებრძოლები – ცეკას მდივნები.

იცით კი, ვინ იყო ეს ხალხი? სულ მარტივად ვიტყვი: დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობელის მიერ დასმული ადგილობრივი კაცი, რომელიც მასზე მინდობილ სფეროში აკონტროლებდა, სასტიკად კრძალავდა დამპყრობელი ქვეყნისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ გამოვლინებას.

იცით, ვინ გააკრა ქრისტე ჯვარზე? რომაელ პილატეს არ გაუკრავს, ებრაელმა ცეკას მდივნებმა აწამეს. ბანდიტი ბარაბას გვერდით დასაჯეს, რათა ხალხისთვის ეთქვათ – ესეც ამ კატეგორიისაო.

ერთი მისხალი განსხვავება არ არის ებრაელების იმ სინოდსა და ჩვენს აწ უკვე ყოფილ ცენტრალურ კომიტეტს შორის. ესენიც, სინოდისა არ იყოს, საკუთარ კეთილდღეობას იცავდნენ. მაგათ ამ "მაღალ იდეალებს" შეეწირა ათასობით სიცოცხლე ოცდაერთში, ოცდაოთხში, ოცდაჩვიდმეტში, ორმოცდთექვსმეტში, ოთხმოცდაცხრაში... მაგათი მოკლულია ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, გია ჭანტურია...

საქართველოში ეგ ორგანიზაცია ფორმალურად ცამეტი წლის წინათ გაუქმდა, მაგრამ მთავარი სვეტი სულ რამდენიმე დღის წინ დაეცა. ახლა პატარ-პატარა წვრილი საყრდენებიღა დარჩა.

როცა თქვენი უნივერსიტეტის რექტორზე ან დეკანებზე ჩამოვარდება საუბარი, კონკრეტულ სახელებზე ნუ ვილაპარაკებთო, ჩვენ ჩვენი უნივერსიტეტის ღირსებას ვიცავთო. მაგრამ უნივერსიტეტი ცემენტი, აგური და თეთრად შეღებილი კედლები არ არის, უნივერსიტეტი იმ ადამიანების ერთობლიობაა, ვინც იქ ასწავლის და სწავლობს. თორემ მაგ შენობაში რომ, ვთქვათ, პოლიცია დაბინავდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება და არა უნივერსიტეტი. თანაც, თუ მაინცდამაინც კონკრეტული სახელები არ გინდათ, უნივერსიტეტის მნიშვნელობის ხაზგასმა რომ დაგჭირდებათ, რაღა მაშინ გახსენდებათ ივანე ჯავახიშვილი და აქ მოღვაწე სხვა დიდი ქართველები.

სტალინი რომ მოკვდა, შოკში ჩავარდა მთელი ქვეყანა. ეგონათ, ცა ჩამოიქცეოდა. ეს უხამსი მითი ლენინიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. რა გვეშველება, რომ შევარდნაძე წავიდეს, რა გვეშველება, რომ მეტრეველი წავიდეს, რა ეშველება ჟურნალისტიკის ფაკულტეტს, ფოფხაძე რომ წავიდეს. არც არაფერი მოხდება და სწორედაც რომ უნდა წავიდნენ, რადგან არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არც არაფერს არ წარმოადგენს. არც ლენინის შემდეგ დაიქცა ქვეყანა, არც სტალინის შემდეგ და, მით უფრო, არც შევარდნაძის შემდეგ მოუვა რამე. სხვათა შორის, შეიძლება ძალიანაც არ მოგეწონოთ ეს აზრი, მაგრამ, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ფოფხაძის წასვლა კი არა, სულაც რომ დაიხუროს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ქართულ ჟურნალისტიკას ბევრი არაფერი დააკლდება. თუ ვინმეს საპირისპიროს დამტკიცება მოუნდება, ორსაათიანი გამოცდის ჩატარებას წინ არაფერი უდგას. ისე კი, ბევრი წარმატებული ქვეყნის მსგავსად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი კი არა, ერთწლიანი კურსები უნდა არსებობდეს, სადაც ნებისმიერი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი ამ სპეციალობისთვის აუცილებელ მომზადებას გაივლიდა.

მე მაინც ვეჭვობ, რომ არ იცით, ვის იცავთ. სწორედ კონკრეტულ ადამიანებს – მეტრეველსა და ფოფხაძეს ვგულისხმობ. თქვენ დარაჯად უდგახართ ორ ცეკას მდივანს, რომელთაგან პირველი, ნამოღვაწარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან შორს დგას ივანე ჯავახიშვილისგან, მეორეზე კი ახლავე მოგახსენებთ.

თვითმფრინავის გამტაცებელთა საქმე გაგონილი გექნებათ. ისინი თქვენი ასაკის, სავსებით ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ. სხვათა შორის, საკმაოდ ნიჭიერებიც. თუმცა, ამის თქმა, ალბათ, ზედმეტიც არის – ჩლუნგი და გონებაშეზღუდული მონობას იოლად იტანს. მთელი მსხვერპლი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, ცხადია, ამ ბიჭებს აჰკიდეს და დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრეტა მიუსაჯეს ამ ბიჭების მეგობარ მღვდელსაც, რომელიც საერთოდ არ მჯდარა თვითმფრინავში.

ის კი, რაც მე მინდა გითხრათ, განაჩენის გამოტანამდე, ესე იგი, სასამართლომდე კარგა ხნით ადრე მოხდა. თქვენს შორის, ალბათ, მომავალი იურისტებიც არიან და უდანაშაულობის პრეზუმფციაზე აუცილებლად ექნებათ წარმოდგენა.

ტელევიზიის მაშინდელმა შეფმა საშინელი გადაცემა მოაწყო. ლამის ურჩხულებად წარმოადგინეს ეს ჩვეულებრივი ბიჭები. რაღა არ დააბრალეს, ფაშისტობაც კი, მაგრამ როცა ერთ-ერთი მათგანის – გეგა კობახიძის ბინის გადაღებისას კადრში სვასტიკას უჩვენებდნენ, მეორე პლანზე გაეპარათ ერთი მცირე დეტალი – ვაჟა ფშაველასა და მიკი მაუსის პორტრეტები. ალალად მითხარით, ბევრს გიკიდიათ ოთახში ლუკა რაზიკაშვილის სურათი?

აი, ამ სამარცხვინო გადაცემის მთავარი შემოქმედი ნუგზარ ფოფხაძე იყო.

ცეკას მდივნების დაცვის მიტინგზე ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ერთ-ორ სტუდენტს თვალზე ცრემლი შევნიშნე. ცრემლი, ვისიც არ უნდა იყოს და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, პატივსაცემია. მილიონების სისხლით ხელებდასვრილი სოსო რომ მოკვდა, 150 მილიონი ადამიანი ტიროდა. ის ხალხიც ალალი იყო თავის გრძნობებში, მაგრამ ახლა ხომ ნამდვილად ვიცით, რა ურჩხულსაც დასტიროდნენ!

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საცავებში შენახულია ფირი, რომელზეც კარგად ჩანს და კარგადაც ისმის, როგორ მოითხოვს მაშინდელი ცეკას მდივანი ნუგზარ ფოფხაძე რუსის ჯარის გამოყვანას მთავრობის სასახლის წინ შეგროვებული ათიათასიანი მიტინგის დასაშლელად. ნიშანდობლივია, რომ მოწოდება სწორედ იმ ენაზეა წარმოთქმული, რომელზეც უნდა ყოფილიყო – ქართულად ამის თქმა წარმოუდგენელია!

ნებისმიერი თქვენგანი, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ჩაივლით ხოლმე იმ ქუჩას, რომელიც იმღამინდელი ერთ-ერთი მსხვერპლის სახელს ატარებს. მაშინ 9 აპრილი თენდებოდა...

მე დიდხანს ვცხოვრობდი მაგ ქვეყანაში. რა ძველი გაზეთებიც არ უნდა იკითხოთ, რა ინფორმაციაც არ უნდა შეაგროვოთ, თქვენ ვერასდროს ვერ წარმოიდგენთ, რა ქვეყანა იყო ეს.

ფორმალურად 13 წლის წინათ დამთავრდა ეს ქვეყანა. სულ ოთხი დღეა, რაც ამ საშინელების უკანასკნელი სვეტი დაემხო. თუმცაღა, ჯერ კიდევ დარჩა წვრილ-წვრილი საყრდენები. მე ვერაფერს გეტყვით, ვერაფერს გირჩევთ. თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც 50 წლის წინათ ატირებულ მილიონებს ცრემლს შეუკავებდა. და, საერთოდ, არა მგონია, სადმე არსებობდეს მსგავსი რაღაცების მზამზარეული რეცეპტი, თუ არ ჩავთვლით დროსა და ფიქრს.

იფიქრეთ.

„უნივერსიტეტში შექრას ვეღარავინ გაბედავს"

რექტორი უნივერსიტეტში დაბრუნდა

პირველი გვერდიდან

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საპროტესტო აქციის ბოლო დღე სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დილის 10 საათიდან დაიწყეს. **"არ გაიხსნება არც ერთი აუდიტორია, თუკი მიშა სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე არ მოვლენ და არ განგვიცხადებენ, რომ როინ მეტრეველის დაბრუნებაში მხარს გვიჭერენ და ხმამაღლა არ დაგმობენ "კმარას" მოქმედებას. ახალ ხელისუფლებას 15 საათამდე ვაძლევთ ვადას. "კმარამ" კი 18 საათამდე ბოდიში მოუხადოს უნივერსიტეტს,"** – ასეთი იყო ხელისუფლებისადმი მიმართვის ტექსტი.

უნივერსიტეტთან.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ხელისუფლების წარმომადგენელთა მისვლამდე უნივერსიტეტის ეზოში გამოსვლები არ შეწყვეტილა. პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა აქციის მონაწილეები დილიდანვე "გაახურა": **"უწიგნური პატარა "ახვრები" წიგნიერებას ებრძვიან, მათ გენერალური პროკურორობა და პრეზიდენტობა უნდათ,"** – და მსმენელებს შეახსენა, ედუარდ შევარდნაძე ზედმეტმა დემოკრატიამ დაღუპაო.

აქციის წამყვანი სტუდენტის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, პოლიტიკური განცხადებები არ გააკეთოთ, მხოლოდ უნივერსიტეტზე ისაუბრეთო, უფროსები ემოციებს მაინც ვერ თოკავდნენ. **"უნივერსიტეტში კომუნისტების დროსაც კი არ იყო ასეთი რეპრესიები,"** – აცხადებდა ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი იზოლდა ჭილაძე. **"კაბინეტებში შევარდნას თავი დავანებოთ და გუბერნატორობის ინსტიტუტი გავაუქმოთ, მათი შენახვა თქვენს პენსიებზე ათჯერ ძვირი ჯდება,"** – ურჩევდა მსმენელებს ეკომონიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვანო გიგოშვილი. ერთ-ერთმა ლექტორმა ყოფილი პრეზიდენტიც გაიხსენა - აკანკალებულ მოხუცს წასვლა არ აცალეს, ვარდების კი არა ტრაგიკული რევოლუცია იყოო, განაცხადა. **"სისხლიანი რევოლუცია მოვუწყოთ დიქტატორებს, ლაგოდეხიდან დიდ ჭინჭრებს ჩამოვიტან და დავჭინჭროთ,"** – რჩევას იძლეოდა რუსთავის ქალთა არასამთავრობო ჯგუფის წევრი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომელი ასმათ ახალაძე კი, რატომღაც, "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტებს ადანაშაულებდა.

ვახო ბაკალიას ფოტო

ხელისუფალთაგან აქციაზე პირველად პარლამენტის განათლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე მივიდა. **"უნივერსიტეტი იმაზე მეტად ავტონომიურიც უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. რექტორის არჩევა-გადაყენება სამეცნიერო საბჭოსა და, ნაწილობრივ, სტუდენტების საქმეა. თუ თქვენ გადაწყვეტთ, ცხადია, როინ მეტრეველი უნდა დაბრუნდეს,"** – მაღლაფერიძის ამ განცხადებამ აქციის მონაწილენი მაინც არ დააკმაყოფილა, რადგან მას "კმარას" მისამართით სიტყვა "დაგმობა" არ უხსენებია. "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელს გოკა გაბაშვილს ასმათ ახალაძემ მიკროფონი ხელიდან გამოსტაცა. მწერალ ლაშა ბუღაძეს (რომელიც აქციის ერთ-ერთმა წამყვანმა პოეტ გია ბუღაძედ მონათლა) კი გამოსვლა სტვენით შეაწყვეტინეს. **"ჩვენ სიტყვის თავისუფლებას ვიცავთ,"** - აცხადებდნენ აქციის მონაწილენი, თუმცა, ერთ-ერთი მათგანი, იქ მისულ მოხუც ქალბატონ ლედი გრიგოლიას, რომელმაც ნუგზარ ფოფხაძეზე აუგის თქმა დააპირა, მიეჭრა და ლამის დაარტყა.

აქციის მონაწილენი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გამოჩენამ დააშოშმინა. **"უნივერსიტეტის თავისუფლებას ვერავინ შეეხება, მე არც რექტორის მოხსნა დამივალებია ვინმესთვის და არც თქვენს გადაწყვეტილებაში ვერევი. პირიქით, ვეძებ მეცნიერთა კადრებს სახელმწიფო აპარატში დასასაქმებლად. ყველაფერს გავაკეთებ, რომ უნივერსიტეტში ხელფასები გაიზარდოს და წარჩინებულმა სტუდენტებმა საზღვარგარეთ წასვლაც შეძლონ,"** – უნივერსიტეტის ეზოში განცხადების გაკეთების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა რექტორის კაბინეტში გადაინაცვლა. რამდენიმე წუთში იქ როინ მეტრეველიც მივიდა. მოლაპარაკება, რომელზეც ჟურნალისტები არ დაუშვეს, აქციის მონაწილეთა სასარგებლოდ დასრულდა. სტუდენტები და ლექტორები ერთმანეთს რექტორის დაბრუნებას ულოცავდნენ.

რაც შეეხება "კმარას", მათ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ პრეზიდენტის არჩევნებამდე თავს შეიკავებენ, არჩევნების შემდეგ კი ბრძოლას სამართლებრივი გზით გააგრძელებენ.

ერთი საათით ადრე განათლების სამინისტროს ეზოში

"ჩემი უფლებების დაცვა ნიშნავს ჩემი შვილების, ჩემი სტუდენტების უფლებების დაცვას მშვიდობიანობის დროს. აქტივისტების "თარეში" თუ არ შეაჩერა იმ ხალხმა, რომელიც მათ მართავს, საზოგადოებაში დაიწყება უმართავი პროცესები. ეს არც ქვეყანას და არც ხელისუფლებას არ წაადგება, წინ არჩევნებია", - სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგი არც შევარდნაძის რეჟიმით უკმაყოფილებას მალავს - გუშინ განათლების სამინისტროს ეზოში შეკრებილი საზოგადოების პროტესტი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის რადიკალური აქტიურობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

"მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ და მინდა მჯეროდეს, რომ ახალი ხელისუფლება კანონს კი არ მოირგებს, არამედ კანონის უზენაესობას აღიარებს... განა არ ვიცი, როგორ ხელმძღვანელებს, რექტორებს ვიმსახურებთ, მაგრამ იძულებით გადადგომას ვერ შევეგუები, ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს... ისედაც რთული ვითარებაა განათლების სისტემაში და ერთი პრეცედენტიც საკმარისია, რომ ახალგაზრდებში განათლების მიმართ სრული ნიჰილიზმი დამკვიდრდეს. ეს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას. გვინდა გვჯეროდეს რომ ეს ყველაფერი დაწყნარდება და კანონიერების ფარგლებში მოექცევა, ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს", - ამბობდნენ განათლების სამინისტროს ეზოში შეკრებილები.

აქციაში სამინისტროს თანამშრომლები, შეიძლება ითქვას, რომ დამკვირვებლების როლში მონაწილეობდნენ - თვალს ადევნებდნენ.

განათლების მინისტრი სამინისტროში არ იყო.

ეს "პლეხანოვზე" ხდებოდა.

ხოლო ერთი საათის შემდეგ, ვაკეში, ხელისუფლებამ კანონის დაცვის გარანტობა სახელმწიფო უნივერსიტეტში დაადასტურა.

24 საათი

განათლების სამინისტროსთან.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორი სიტყვით

თბილისი. სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები ავლაბრის უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე იწყებენ ზრუნვას.

სემინარიისა და აკადემიის სტუდენტები ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებს ჩაუტარებენ და მათ სულიერად განამტკიცებენ.

გასულ კვირას სასულიერო სასწავლებლების სტუდკავშირმა ბავშვთა სახლში საქველმოქმედო აქცია მოაწყო. სტუდენტებმა ბავშვებს ლოცვანი, ხატები და რელიგიური გაზეთები გადასცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, თბილისში საერო პირმა სასულიერო საქმიანობას უნებართვოდ მიჰყო ხელი.

სხვადასხვა ოჯახებში დადის ვინმე გიორგი წოწორია, რომელიც წყლის სხურებით "აკურთხებს" სახლებს, კითხულობს "კვეთებულის ლოცვას" და აცხადებს, რომ ის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოქმედებს.

"ეს არის უმძიმესი ცოდვა. საერო პირს არანაირი უფლება არა აქვს არც სახლის კურთხევის, არც კვეთებულის ლოცვის და არანაირი მღვდელმოქმედების"- აღნიშნეს საპატრიარქოში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაციები "ინვალიდ მეომართა და ვეტერანთა კავშირი – დემეტრე თავდადებული" და "დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირი" 29 ნოემბერს, გმირთა მოედანზე მეომართა ხსოვნის მემორიალთან ღონისძიებას გამართავენ.

ღონისძიება დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნება და მეომრების ოჯახის წევრები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ფონზე საკუთარ პოზიციასაც დააფიქსირებენ.

გმირთა მოედანზე აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულ მეომართა ხსოვნის მემორიალთან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ღონისძიება 29 ნოემბერს 13.00 საათზე დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჰუმანიტარული სასურსათო დახმარება, რომელსაც საქართველო გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის ივნისამდე მიიღებს, უმწეოთა ხუთ კატეგორიას შორის განაწილდება.

ამ დახმარებას მიიღებენ მარტოხელა 65 წლის და მეტი ასაკის პენსიონერები და პოტენციურ მუშახელს მოკლებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ჩეჩენი ლტოლვილები, სოციალურად დაუცველი 8 ათასი ადამიანი, რომლებიც უფასო სასადილოებში იკვებებიან. სასურსათო დახმარებას მიიღებენ უფასო სასადილოებიც, რომლებიც უმწეო იძულებით ადგილნაცვალ პირებს ემსახურებიან (5 ათასამდე ადამიანი). **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობის მოსახლეობა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძესა და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გიგი წერეთელს ქუთაისი-კოდორის ხეობის საჰაერო მარშრუტის აღდგენას სთხოვენ, რომელსაც ზამთრის პერიოდში ვერტმფრენი ასრულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

შარშან ქვეყნის მასშტაბით საშუალო ხელფასმა 113,5 ლარი, ანუ 53 დოლარი შეადგინა, თბილისში კი ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი – 155 ლარი, ანუ 73 დოლარი იყო.

ამ ხელფასით, ბაზრებზე მოქმედი ფასების მიხედვით, მოქალაქეს შეუძლია რვა დასახელების სასურსათო პროდუქტის შეძენა, მაშინ როცა მოსკოვში საშუალო ხელფასით მოქალაქე 20-ზე მეტი დასახელების სასურსათო პროდუქტს შეიძენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს სს „თბილგაზში" დედაქალაქის საკრებულოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების სტუმრობის მიზანი კომპანიის ახალი ხელმძღვანელის, „ახალი მენეჯმენტის" საქმიანობის და თვენახევარში მიღწეული შედეგების გაცნობა იყო.

თბილისის საკრებულო და არასამთავრობო ორგანიზაციები „ახალი მენეჯმენტის" საქმიანობას დადებითად აფასებენ. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელის კობა ბექაურის განცხადებით, „ახალი მენეჯმენტის" მიერ ზამთრისათვის ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები დედაქალაქის უწყვეტი გაზმომარაგების გარანტიას იძლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოში გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის კიდევ სამი წლით გაგრძელებაზე. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ და მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს ოფისის დირექტორმა პიპა ბრედფორდმა.

ხელშეკრულების თანახმად, მსოფლიო სასურსათო პროგრამა 2006 წლის ივნისამდე 50.493 ტონა სურსათს გაუნაწილებს 209.500 სოციალურად დაუცველ ადამიანს. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 23 მილიონი დოლარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე კვირას ოფიციალური ვიზიტით იტალიაში, შემდეგ კი აშშ-ში გაემგზავრება. რომში ის შეხვდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, მსოფლიო სასურსათო პროგრამის და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელობას და ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოებაზე იმსჯელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა საქართველოში იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით „სურსათი შრომისთვის". ეს პროექტი მომავალი სამი წლის განმავლობაში გაეროს ჰუმანიტარული დახმარების პარალელურად განხორციელდება.

ეს იქნება მსოფლიო სასურსათო პროგრამასთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილ ალექსანდრე მაისურაძეს უზენაესი სასამართლო განაჩენს დღეს გამოუტანს. პროკურორმა ზაზა გრიგოლიამ სასამართლოსგან "განზრახ მკვლელობისა" და "იარაღის უკანონო შენახვისათვის" განსასჯელისათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ალექსანდრე მაისურაძის ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე კი თვლის, რომ გამოძიებას განსასჯელის წინააღმდეგ არც ერთი გამამტყუნებელი მტკიცებულება არ მოეპოვება. ადვოკატი მაისურაძის გამართლებას და მის დარბაზიდან გათავისუფლებას მოითხოვს. თავად განსასჯელი ბრალს არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოში აღირიცხა 19 დანაშაული, გახსნილია — 10; ერთი მკვლელობა გახსნილია; ჯანმრთელობის დაზიანების სამი შემთხვევიდან გახსნილია ორი; ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; ყაჩაღობის სამი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ძარცვის ორი შემთხვევიდან — ერთი; ქურდობის ხუთი შემთხვევიდან — ერთი; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ერთი დანაშაული — გაიხსნა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით გამოვლინდა ცხრა შემთხვევა; ამოღებულია ერთი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ექვსი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საოლქო სასამართლოში დღეს ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა მოწმეთა დაკითხვით განახლდება. წინა სასამართლო სხდომა 12 ნოემბერს გაიმართა. მასზე მხოლოდ განსასჯელი გრიგოლ ხურცილავას სიდედრის ნელი ალანიას დაკითხვა მოხერხდა. სხვა მოწმეები სასამართლოში არ გამოცხადდნენ. იმ შემთხვევაში, თუ გამოძახებული მოწმეები სასამართლოში არ მივლენ, მოსამართლე მზია ლომთათიძის თქმით, მათ პროცესზე იძულების წესით წარადგენენ. როგორც ცნობილია, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ მკვლელობისა და მოკლულის გაქურდვისათვის 13 წლით პატიმრობა წლეულს, 8 ივლისს მიუსაჯა. განაჩენი ორივე მხარემ გაასაჩივრა. დაზარალებული მხარე საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამტრედიის რაიონის პოლიციამ დააკავა სამტრედიაში მცხოვრები, ნასამართლევი, 27 წლის ზაზა გრიგოლია და 25 წლის ზაზა ბაღდავაძე, რომლებმაც ლავრენტი მეფარიშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს ავტომანქანა „გაზ-24". ამოღებულია პისტოლეტი „ზერეტა". ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს შპს „საქართველოს რკინიგზის" სადგურ „ველის" უფროსი, თბილისში მცხოვრები, 60 წლის ომარ ლაცაბიძე, რომელმაც სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და 2002 წლის 24 მარტს შპს „მს"-ს არ გადაახდევინა სადგურ „ველში" ნედლი ნავთობით დატვირთული 22 ვაგონ-ცისტერნის მოცდენისა და ტვირთის შენახვის თანხა - 228 481 ლარი. ამ გზით შპს „საქართველოს რკინიგზამ" 228 481 ლარით იზარალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისათვის ცაგერის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 30 წლის ირაკლი ირემაძე, რომელიც 2002 წლის 18 მაისს თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა გორის რაიონის სოფელ ერედვში [illegible] "ვაზ-2106". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ 69 წლის აბრამ მარანაშვილი გუშინ მკვლელობის ბრალდებით დააკავა. [illegible] **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 17 წლის მალინა ვოლენკო ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე [illegible] პოლიციელებმა გუშინ მეორედ დააკავეს. [illegible] **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, ცენტრალური სუპერმარკეტის [illegible] გუშინ, 01.00 საათზე, 46 წლის იოსებ [illegible] გვამი აღმოაჩინეს. [illegible] **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, თბილისში, წერეთლის გამზირის N11-ში მდებარე სკვერში, [illegible] 56 წლის ნათელა [illegible] **მედია-ნიუსი**

ახალი შს მინისტრი შემტევი ბრძოლისთვის მზადაა

ამ შენობაში პირველად შევა მინისტრი, რომლის სამხრეებსაც პოლიციური ჩინი არ ამშვენებს.

ქვეყნისთვის ისეთი სტრატეგიული დანიშნულების უწყებაში, როგორიც შინაგან საქმეთა სამინისტროა, გუშინ "ახალი სახე" გამოჩნდა. "ვარდების რევოლუციითა" და გარდაქმნის სურვილით ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ ძალოვან სტრუქტურაში პირველი, მართლაც რეფორმატორული საკადრო ცვლილება განახორციელა. საქართველოს შსს-ს არსებობის ისტორიაში გიორგი ბარამიძე პირველი სამოქალაქო მინისტრია, სახელმწიფო-პოლიტიკური ფიგურა, რომლის სამხრეებსაც პოლიციური ჩინი არ ამშვენებს.

ინგა ალავიძე

სხვათა შორის, სამართალდამცველი და უშიშროების ორგანოების რეფორმირების კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაც სწორედ შსს-ს თავკაცად სამოქალაქო პირის დანიშვნა იყო. ერთი სიტყვით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოწონებული რეფორმის კონცეფცია, რომელიც კარგა ხანია მზადაა, მაგრამ რომლის განხორციელებაც აქამდე არ დაწყებულა, იმით ამუშავდა, რომ დღემდე საბჭოური ტრადიციების უწყების ხელმძღვანელად ახალი კადრი - ამ სისტემაში "გაუსვრელი" გია ბარამიძე დაინიშნა.

მართალია, ახალი მინისტრის საქმიანობის შედეგის პროგნოზირება წინასწარ ძნელია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანამედროვე მენტალიტეტის მქონე ახალი მინისტრი, რომელიც დასავლური პოლიტიკითა და რეფორმების გატარების სურვილითაა "შეიარაღებული", ამ მართლაც ურთულესი უწყების დალაგებას მოახერხებს. ერთიცაა, არც მას და არც მის თანაგუნდელებს სხვა არჩევანი არ აქვთ. მით უმეტეს, როგორც გია ბარამიძის საპროგრამო გამოსვლიდან გამოჩნდა, მას სისტემის გასუფთავებისთვის შემტევი ბრძოლის დაწყების შესაძლებლობა და უზარმაზარი სურვილი ნამდვილად აქვს. **"დიდი მადლობა ნდობისთვის და იქ მივდივარ, სადაც საბრძოლველად გამიშვით,"** – ასე დაასრულა გია ბარამიძემ პარლამენტში გამოსვლა და შსს-ში გაემგზავრა.

შსს-ს სისტემის თანამშრომლები საკადრო ცვლილებების მოლოდინში არიან. მით უმეტეს, რომ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა რუბენ ასანიძემ გუშინწინ საღამოს შსს-ში გამართულ თათბირზე ბრძანება გასცა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაეწერათ შსს-ს სამმართველოების, დეპარტამენტებისა და სხვა სტრუქტურების ხელმძღვანელებს. პირველი და, ჯერჯერობით, ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც გუშინ საკუთარი ნებით გადადგა იმერეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი ზაზა ძნელაძე გახლდათ. მისი პოსტი გუშინვე იმერეთის ყოფილმა სამხედრო პროკურორმა, 32 წლის ზურაბ ჩიკვაიძემ დაიკავა. რეგიონის ახალი პოლიციის უფროსი შს მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ასათიანმა წარადგინა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ გადამდგართა რიცხვში თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი ლევან მაისურაძეცაა, არარეალურია. საქმე ისაა, რომ, ჩვენი ინფორმაციით, ლევან მაისურაძე შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა რუბენ ასანიძემ გუშინწინ, გვიან ღამით სამინისტროში დაიბარა და თანამდებობიდან წასვლა მოსთხოვა. ჩვენთან საუბრისას რუბენ ასანიძემ დაადასტურა, რომ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს უფროსის ალეკო ტაბატაძის დანიშვნის საკითხი მართლაც განიხილებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ლევან მაისურაძე მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოთხოვნას არ დაემორჩილა, იგი კვლავინდებურად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსია და ამ პოსტს შს მინისტრის გადაწყვეტილების შემთხვევაში დაემშვიდობება. საკადრო ცვლილებები სამინისტროში გაგრძელდება, უკვე დღეიდან გია ბარამიძე შსს-სთვის "ახალი სისხლის გადასხმას" დაიწყებს.

არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა პროკურატურამ უნდა თქვას

უმაღლესმა მართლმსაჯულებამ საბოლოოდ დაარქვა სახელი 2 ნოემბრის არჩევნებს, ანუ უზენაესმა სასამართლომ საქართველოში ჩატარებული პროპორციული არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა. მართალია, ხალხმა საკუთარი ხმის დაცვა სახალხო პროტესტით შეძლო, მაგრამ თუ საქართველო ტრადიციულ გზას გაჰყვება და დამნაშავეები არ დაისჯებიან, არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანა უახლოეს მომავალში იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ასე რომ, ახლა თავისი სიტყვა სამართალდამცველებმა უნდა თქვან.

თამარ კაციტაძე

არჩევნებთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში დღემდე მხოლოდ საარჩევნო სიების გაყალბების საქმეს იძიებდნენ, გუშინწინ კი პროკურატურაში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული ახალი მასალები შევიდა.

უზენაეს სასამართლოში გამარჯვების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებმა არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული მრავალტომიანი მასალები, სამართლებრივი შეფასების მიზნით, გენერალურ პროკურატურას ჩააბარეს. არასამთავობო ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, პროკურატურას გადაეცა გაყალბებული ოქმები, დამკვირვებელთა საჩივრები და სხვა დოკუმენტები, სადაც პირდაპირ არის დაფიქსირებული კანონდარღვევები.

რადგან არსებობს დანაშაული, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობენ კონკრეტული დამნაშავეებიც. "სამართლიანი არჩევნების" წევრთა მიზანიც სწორედ ამ დამნაშავეების გამოვლენა და დასჯაა.

"გენერალურ პროკურორს, მასალებთან ერთად, განცხადებითაც მივმართეთ. როცა ვინმე ერთხელ მაინც აგებს გაყალბებაზე პასუხს, ეს იქნება მაგალითი საარჩევნო კომისიების მომავალი წევრებისთვისაც, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში "სამართლიანი არჩევნების" თავჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა, - **კონკრეტულად დავასახელეთ ის პირები, ვისი უშუალო დამსახურებაც გახლავთ 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბება. ეს გახლავთ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის რვა წევრი და რამდენიმე რაიონის საოლქო კომისიის თავმჯდომარე. დარწმუნებულნი ვართ, თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართება, ამ ხალხის და კიდევ ბევრი პიროვნების დანაშაული დადასტურდება.**

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მასალების ერთდღიანი შემოწმების შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული დანაშაული რამდენიმე მუხლით დააკვალიფიცირა.

სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა"და "გ" პუნქტები, ანუ "არჩევნებში და რეფერენდუმში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა", 164-ე მუხლი, ანუ "ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება" და 341-ე მუხლი – "სამსახურებრივი სიყალბე". სხვათა შორის, ეს ის მუხლებია, რომლებიც დიდი ხანია, რაც ქართულ სინამდვილეში მკვდარ მუხლებად ითვლებოდა.

"ჯერჯერობით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია დანაშაულის ფაქტზე. შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი და მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე დამნაშავეებსა და ბრალდებულებზე საუბარი ნაადრევია. ეს გამოძიების მსვლელობის დროს გამოიკვეთება, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე კონკრეტულ პიროვნებებზეც აღიძვრება", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ რევაზ ზარანდიამ, რომელიც სიების გაყალბებასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასაც კურირებს.

"სამართლიანი არჩევნების" მიერ წარდგენილი მასალების მსგავსად გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული საარჩევნო სიების გაყალბების ფაქტზეც.

თავდაპირველად, გენერალურ პროკურატურაში მასალები ანტიკორუფციულმა ბიურომ საარჩევნო სიების გაყალბებასთან დაკავშირებით გადაგზავნა. ამის შემდეგ საგამოძიებო ჯგუფმა საარჩევნო სიებთან დაკავშირებული მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან და სხვა ორგანიზაციებიდანაც მოიპოვა და, საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძრა – 162-ე მუხლის "ა" და "დ" პუნქტით, და 341-ე მუხლით.

"მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია და გამოძიებაც ინტენსიურად მიმდინარეობს, ჯერჯერობით, ბოლომდე არც მონაცემთა მოპოვება მომხდარა და არც მათი სისტემიზაცია. საარჩევნო სიებთან დაკავშირებით უამრავი მასალა არსებობს, რომელიც საბოლოოდ უნდა შეჯამდეს. ამ ყველაფერს კი საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. უკვე დაკითხულია რამდენიმე პიროვნება, მაგრამ, როგორც ჩანს, დასაკითხთა სიაც ძალიან ვრცელი იქნება". – ამბობს საქმის კურატორი პროკურორი.

ანტიკორუფციული ბიუროდან გადაგზავნილი და დღეს პროკურატურაში არსებული მასალების თანახმად, საარჩევნო სიებზე სამი პასუხისმგებელი სუბიექტი იკვეთება – შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია და საერთაშორისო ორგანიზაცია "AFES".

"ანტიკორუფციული საბჭოს წევრებმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე ჩავატარეთ ე.წ. გამოძიება და შევისწავლეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაგზავნილი საარჩევნო სიების ელექტრონული ვერსია და თავად ცსკო-ს მიერ ასევე ელექტრონული პრინციპით მომზადებული სიები, სადაც გაყალბების საოცრად დახვეწილი მეთოდები და სქემები აღმოვაჩინეთ. ჩემი აზრით, სიების გაყალბების ძირითადი წყარო სწორედ ეს ორი უწყებაა. როგორც მოგეხსენებათ, შსს-მ საარჩევნო სიები ჯერ ხელნაწერი სახით მოამზადა. ჩვენ მიერ შემოწმებული მასალებით დავრწმუნდით, რომ ხელნაწერი სიები გაცილებით უკეთესია, მაგრამ იგი ელექტრონული ვერსიის მომზადების დროს კარდინალურად შეიცვალა. ეს ვერსია კი საბოლოოდ გადასხვაფერდა ცსკ-ში. ის, რომ სიების შედგენისას იყო გარკვეული მექანიკური შეცდომები, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ამომრჩეველთა შორის, გარდა მკვდარი სულებისა, ჩვენ აღმოვაჩინეთ გამოგონილი გვარები და სახელები, რომლებიც ასევე გამოგონილ მისამართებზე იყვნენ მიწერილები. სწორედ ეს მასალები გადავეცით პროკურატურას, რაც, ვფიქრობთ, საფუძვლიან გამოძიებას საჭიროებს და ლოგიკურ დასასრულამდეც უნდა მივიდეს," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა ლაშა ტუღუშმა.

სხვათა შორის, როგორც ტუღუშისგან შევიტყვეთ, ანტიკორუფციული საბჭო დღესაც აგრძელებს საარჩევნო სიების გაყალბებასთან დაკავშირებით მუშაობას. თუმცა, გარდა ფალსიფიცირებული სიებისა, საბჭოს გააჩნია დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება არჩევნების გაყალბებას. ამ მასალებს გენერალური პროკურატურა უახლოეს დღეებში მიიღებს.

ერთი სიტყვით, არჩევნებთან დაკავშირებით გენპროკურატურაში არსებული საქმეების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. არადა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე გუშინ ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში აღნიშნული საქმეების სასწრაფოდ დასრულებასა და ყველა დამნაშავის დასჯას ითხოვს.

აურზაური არაფრის გამო?

გუშინ ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ ტრადიციულ შეხვედრაზე მხარეები იმ პრობლემის ირგვლივ დავობდნენ, რომლის თაობაზეც, როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, სადავოც არაფერი ჰქონდათ. საქმე ეხება ბოლო ხანებში აფხაზთა დამატებითი ძალების შეყვანას გალის რაიონში.

არადა, შეხვედრის დაწყებამდე ქართულ მხარეს, სწორედაც რომ, საბრძოლო განწყობა ჰქონდა. თუმცა, ქართული მხარის წარმომადგენლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას თქმით, გალში აფხაზთა დამატებითი ძალების ყოფნას იგი იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებდა, რადგან ინფორმაციის წყარო, გარდა მასმედიის მიერ გავრცელებული ცნობებისა, მას არ ჰყოლია. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ამ ძალების რაობის დადგენას აპირებდა. კერძოდ, ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეიარაღებულ პირთა ოდენობა, რომლებიც 22 ნოემბრის შემდეგ გალის რაიონში შემოიყვანეს, 200 ადამიანს აღემატება და ისინი გათავისუფლებულნი არიან მდინარე ენგურის ზოლის გასწვრივ, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზოლში. **"ჩვენ ვეცდებით, აფხაზურ მხარესთან გავარკვიოთ, გალის რაიონში მხოლოდ აფხაზური შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებია შემოყვანილი, თუ მათთან ერთად არიან თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული რაზმებიც. ცხადია, აფხაზურმა ხელისუფლებამ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს",** - მებრძოლი ჭკადუას ეს მოლოდინი გაუმართლდა, თუმცა აფხაზური მხარის პოზიცია იმაში გამოიხატა, რომ მათ განაცხადეს – გალის რაიონში არავითარ დამატებით ძალთა მობილიზება არ მოგვიხდენიაო.

"უნდა ვთქვა, რომ გალის რაიონში არანაირი დამატებითი ძალები დისლოცირებული არ არის. ისე კი ძალზე სასიამოვნოა, ქართულ მხარეს ასე რომ აფრთხობს აფხაზური ძალები", - განუცხადა ჟურნალისტებს გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ. მისივე თქმით, იგი ვერ ერკვევა თბილისში განვითარებული მოვლენები ხავერდოვანი რევოლუცია იყო, თუ - ვარდების, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. **"აფხაზეთსაც უკვე გაკეთებული აქვს თავისი არჩევანი და თბილისში განვითარებული მოვლენები აფხაზეთს არანაირად არ უკავშირდება",** - აცხადებს ქიშმარია. იგი მომავალში გამორიცხავს აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრას, თუმცა აცხადებს, რომ აფხაზური ხელისუფლება ამისთვისაც მზად არის.

რაც შეეხება გალის რაიონში დამატებითი აფხაზური ძალების მობილიზებას, ამის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობაც უარყოფს.

რუსეთის სამშვიდობო ძალების პრესსამსახურის უფროსი სამხრეთ ზონაში სერგეი ევსეევი აცხადებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს არანაირი დამატებითი ჯავშან-ტექნიკის და შეიარაღებული ძალების დისლოცირება გალის რაიონში არც 3 ნოემბრის და არც 23 ნოემბრის შემდეგ არ შეუმჩნევიათ. მისივე განცხადებით, რუსეთის სამშვიდობო ძალები ეცდებიან, მომავალშიც შეინარჩუნონ სიმშვიდე და სტაბილურობა გალის რაიონში. ევსეევის თქმით, გასული კვირა მათი მოქმედების ზონაში ისევე სტაბილური და მშვიდი იყო, როგორც უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე.

აფხაზური და რუსული მხარეების პოზიციას ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძეც იზიარებს. მან გუშინ განაცხადა, რომ ქართველ სამშვიდობო დამკვირვებლებსაც არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ იმის შესახებ, რომ გალის რაიონში, ენგურის გასწვრივ, აფხაზური მხრიდან დამატებითი ძალების და ჯავშან-ტექნიკის დისლოცირება ხდებოდა. ჯაფარიძის თქმითვე, მისთვის უცნობია, ვინ მიაწოდა ქართულ მხარეს ის ცნობა, რომელიც ვრცელდებოდა მასობრივი ინფორმაციის ქართულ საშუალებებში.

გარდა გალის რაიონში დამატებით ძალთა შეყვანის საკითხისა, გუშინდელ შეხვედრაზე აფხაზურ მხარეს აგვისტოში გატაცებული ხარძიანისა და ლეფსაიას შესახებაც მოსთხოვეს ინფორმაცია. **"ისინი ირწმუნებიან, რომ უგზოუკვლოდ დაკარგულთა ძებნა უმაღლეს კონტროლზეა აყვანილი,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მებრძოლი ჭკადუამ, - **აფხაზური მხარის თქმით, გუშინ მათ სოხუმსაც მიმართეს ამ საკითხზე. თუმცა განწყობა პესიმისტური აქვთ".**

გარდა ამისა, მებრძოლი ჭკადუა იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა მიიღებს დადგენილებას აფხაზი ბოევიკის - ვალმერ ბუთბას დაპატიმრების თაობაზე და მასზე ძებნასაც გამოაცხადებს. მისი თქმით, ამის შემდეგ აფხაზური მხარე იძულებული იქნება, ბუთბა პასუხისგებაში მისცეს.

24 საათი

მოკლედ

დებორა ჯონსს მშვენიერაძის გათავისუფლებაში დახმარება სთხოვეს

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს დებორა ბარნს ჯონსს შეხვდნენ და ამ ორგანიზაციის წევრის, 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაპატიმრებულ გიორგი მშვენიერაძის საკითხზე ისაუბრეს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ერთადერთი გამოსავალი, რომ აჭარის ხელისუფლებამ 21 წლის გიორგი მშვენიერაძე გაათავისუფლოს, საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის ჩარევაა. ხიდაშელი მიიჩნევს, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება გაართულებს მშვენიერაძის გათავისუფლებას, რომელიც აჭარაში საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლად იყო მივლინებული.

"აჭარის ავტონომიის მეთაურს ასლან აბაშიძეს მშვენიერაძე მძევლად ჰყავს დატოვებული", - თქვა ხიდაშელმა.

როგორც ცნობილია, 2 ნოემბერს გიორგი მშვენიერაძემ აჭარის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დარღვევის დაფიქსირების შემდეგ საჩივრის წერა დაიწყო, რის შემდეგაც სცემეს და დააპატიმრეს. სასამართლომ მას 3-თვიანი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. საქართველოში აკრედიტირებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა უკვე მიმართეს აჭარის ხელისუფლებას გიორგი მშვენიერაძის გათავისუფლების თხოვნით.

პრაიმ-ნიუსი

სამართებლების ქურდობის ბიზნესში ქართველებიც არიან ჩართულნი

გერმანიის პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა, რომლის შემადგენლობაში რუსი, ქართველი და სომეხი ემიგრანტები შედიოდნენ. გუშინ ამის შესახებ განაცხადა ბავარიის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენელმა. ამ ჯგუფის სპეციალიზაცია გერმანიის სამართალდამცველებისათვის თავისებური სიახლე აღმოჩნდა. ბანდა ბავარიაში კოსმეტიკურ მაღაზიებს და სუპერმარკეტებს ძარცვავდა. ქურდებს მხოლოდ წვრილმანი, მაგრამ ყველაზე მოდური და ძვირფასი ნაკეთობები მიჰქონდათ, რომლებსაც შემდეგ ადვილად უკეთებდნენ რეალიზებას შავ ბაზარზე. გერმანიის სპეცსამსახურები ბანდას რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდნენ. მათი დაკავების ოპერაცია, რომელშიც პოლიციის 60 თანამშრომელი მონაწილეობდა, ოთხშაბათს, საღამოს, წარმატებით დასრულდა.

სხვათა შორის, პარფიუმერულ მაღაზიებზე თავდასხმებმა გერმანელი სამართალდამცველები კარგა ხნის წინ შეაშფოთა. მათი ინფორმაციით, აღმოსავლეთ ევროპიდან და დსთ-ს ქვეყნებიდან ემიგრირებული კრიმინალური დაჯგუფებები არაორდინალურ დანაშაულებრივ საქმიანობაზე სპეციალიზირდებიან – ისინი ერთჯერად სამართებლებს იპარავენ. სტატისტიკური გათვლებით, ყოველი მეხუთე ასეთი სამართებლის შეკვრა უკვალოდ ქრება დახლებიდან. გერმანიის პოლიციის აზრით, ასეთი ქურდობით დაკავებულნი არიან დანაშაულებრივი დაჯგუფებები და არა ცალკეული პირები. არც ისე დიდი ხნის წინათ, ქალაქ ნიურტინგენში, ფაქტზე დააკავეს სამი დამნაშავე - 29-33 წლის რუსები და ქართველი. ისინი 900 ევროს ღირებულების სამართებლების მოპარვას ცდილობდნენ. ამათგან, 30 წლის ქართველი სულ სამი კვირის გათავისუფლებული იყო პატიმრობიდან.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ [illegible]
■ [illegible] – MS Word,
■ [illegible] – MS Excel,
■ [illegible]
■ [illegible] Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

კანცელარიაში მობინადრეები იცვლებიან

პირველი გვერდიდან

წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრის მიზანი ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობის გარკვევა იყო.

"ენერგეტიკის სექტორისათვის დახმარების გამოყოფის თხოვნით, აშშ-ს და ევროკავშირს უკვე მივმართეთ. გარდა ამისა, რუსეთის ენერგოსისტემის ხელმძღვანელობას მივმართეთ საქართველოს მხრიდან არსებული მიმდინარე ვალების დროებით გაყინვის თხოვნით," - აცხადებს ბურჯანაძე. მასთან შეხვედრის შემდეგ, ენერგეტიკის დარგის წარმომადგენლებს უკვე კონკრეტული დავალებები ჰქონდათ მიღებული. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი ამტკიცებს, რომ ხანმოკლე პერიოდში ზედიზედ გამართულმა სამმა არჩევნებმა გარკვეული პრობლემები შეუქმნა ენერგეტიკის სფეროს. გარდა ამისა, თავის გავლენას ახდენს ასევე სახსრების უქონლობაც. **"რეალური ბიუჯეტის მიღება აუცილებელია,"** - ამტკიცებს ნიკოლაიშვილი, რომელიც ამ ეტაპზე ენერგეტიკის სფეროსათვის 5 მილიონი ლარის მობილიზებას მიიჩნევს საჭიროდ. დედაქალაქის ოცდაოთხსაათიანი მომარაგება მოქმედ პრეზიდენტს გუშინ საკმაოდ არარეალურად ესახებოდა. ენერგეტიკის მინისტრი კი ამ საკითხს უფრო ოპტიმისტურად უყურებდა. იგი განმარტავდა, რომ რეგიონებში საქმე, ამ მხრივ, უფრო ცუდად იქნება და ელექტროენერგიის მიწოდება გადახდის შესაბამისად მოხდება. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დავით მირცხულავა ამტკიცებს, რომ დენის ტარიფი უახლოეს მომავალში არ უნდა გაიზარდოს.

მოქმედი პრეზიდენტი ენერგეტიკაში მომუშავე ქართველ და უცხოელ სპეციალისტებს შეხვდა.

როგორ ცნობილია, უახლოეს მომავალში ნინო ბურჯანაძე აჭარის ავტონომიაში ჩასვლას გეგმავს. ასლან აბაშიძესთან საკმაოდ ნორმალური დამოკიდებულების მიუხედავად, გუშინ მოქმედმა პრეზიდენტმა ცალსახად დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აბაშიძის მიერ ბოლო დროს წამოყენებული წინადადებების თაობაზე. კონკრეტულად - აჭარაში რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. "**თუ რუსეთის მხრიდან საქართველოსადმი სავიზო რეჟიმი იარსებებს, მაშინ იგი ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთიანად უნდა ვრცელდებოდეს და არა კონკრეტულ რეგიონებზე, აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა თუ, მით უფრო, აჭარაზე,"** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

ურეკში რუსთაველების "საზაფხულო იმედს" ყიდიან

მაია მოსიაშვილი

19 ნოემბერს სააქციო საზოგადოება "აზოტის" კრედიტორთა კრება უნდა გამართულიყო. "აზოტის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კრება რეაბილიტაციის მმართველის, ანატოლი შჩოგოლევის ავადმყოფობის გამო 10 დეკემბრისათვის გადაიდო. სხდომის დღის წესრიგი შესახებ ოფიციალურად არავინ საუბრობს, თუმცა კულუარული ინფორმაციით, კრედიტორების უმრავლესობა უკმაყოფილოა "აზოტში" მიმდინარე პროცესებით და იმით, რომ ამ დრომდე მათი დავალიანების გასტუმრება არ დაწყებულა. ჯერ კიდევ გასულ წელს "იტერამ" ვალდებულება იკისრა, 2003 წელს კრედიტორული დავალიანებების ნაწილობრივ დაფარვაზე, თუმცა დღემდე ეს ვალდებულება არ შეუსრულებია. წინასწარი ინფორმაციით, კრედიტორები სხდომაზე ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვენ.

გასულ კვირას "აზოტში" იმყოფებოდნენ ცნობილი ავსტრიული ფირმის "hoerbiger ltd"-ს წარმომადგენლები დსთ-ს ქვეყნებსა და ბალტიისპირეთში. "აზოტში" აცხადებენ, რომ ავსტრიულ ფირმასთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა. იყო შეთანხმება და წინასწარი მოლაპარაკებები წარმოებაში არსებული კომპრესორებისა და სარქველების თაობაზე. ხელშეკრულების გაფორმება რიგი ტექნოლოგიური დაზუსტების შემდეგ მოხდება, - ამბობენ "აზოტში". გაურკვეველია, ფინანსურად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა საწარმომ როგორ უნდა შეიძინოს ცნობილი ფირმის საკმაოდ ძვირადღირებული ნაწარმი.

ასევე გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ დაბა ურეკში "აზოტის" პანსიონატი "მაგნეტიტი" 2 დეკემბერს კონკურსის წესით გაიყიდება. ამის შესახებ განაცხადი ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ გააკეთა.

"აზოტის" ბალანსზე რიცხული და მის საწესდებო კაპიტალში არშესული "მაგნეტიტი"-ს საწყისი ფასი 176 710 ამერიკული დოლარია, ხოლო დაკავებული მიწის ნაკვეთის სიდიდე - 3,9 ჰექტარი. "თანხის დაფარვის გრაფიკი: თანხის 51 პროცენტი იფარება 2003 წლის 25 დეკემბრამდე, ხოლო დარჩენილი 49 პროცენტი 2004 წლის 1 აპრილამდე; ობიექტის საექსპლუატაციო მზადყოფნის შენარჩუნება პრივატიზებიდან 3 წლის განმავლობაში," - წერია განაცხადში.

ცნობილი გახდა, რომ "აზოტი" პანსიონატის შენარჩუნებას, ანუ მის ყიდვას არ აპირებს. მიზეზად საჭირო თანხის არარსებობა სახელდება. ქარხნის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ზაფხულში ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რომ საქართველოს ხელისუფლებას პანსიონატის კონკურსის გარეშე "აზოტისთვის" დატოვების ფორმა მოეძებნა, რაც არ მოხერხდა.

რუსთავის ქიმიურ კომბინატს "მაგნეტიტი" 1970 წელს გადაეცა, თუმცა 1994 წელს, როდესაც ქარხანა სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა, პანსიონატი საწესდებო კაპიტალში არ შეიტანეს, "აზოტს" მხოლოდ მისით სარგებლობის უფლება მიეცა.

ამ ზაფხულს ურეკის "იმედის ქალაქად" გამოცხადებამ ნათელი გახადა, რომ 50-იან წლებში აშენებულ პანსიონატ "მაგნეტიტს" გაყიდვა ეწერა. ერთი წლის წინ რუსთავის მერია და საკრებულო აცხადებდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა "აზოტის", ასევე სხვა ქარხნების, სოც-კულტურული ობიექტები მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდეს. ოზურგეთის რაიონში დაგეგმილი კონკურსის შესახებ რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა გუშინ "24 საათისგან" შეიტყო. **"ამის თაობაზე არაფერი ვიცი, მაგრამ თუ მართლა ასეა საქმე, გავარკვევ და ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს პროცესი შეჩერდეს,"** - განაცხადა ტყეშელაშვილმა. მოგვიანებით მან ასეთი კომენტარი გააკეთა: **"მე ვესაუბრე ეკონომიკის მინისტრს და პროცესის შეჩერება მოვთხოვე, რადგან ეს ხალხის ქონებაა. როგორც ჩანს, ჩემს გარდა, ყველამ იცოდა ამის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ გამოინახება საკანონმდებლო საფუძველი და რუსთაველები პანსიონატს არ დაკარგავენ."**

ჯერჯერობით უცნობია, ვის აქვს "მაგნეტიტის" ყიდვის სურვილი. ამ პანსიონატის სანაპირო სამკურნალო მაგნიტური ქვიშით არის ცნობილი. აქ განკურნებულ ადამიანებზე ლამის ლეგენდებს ჰყვებიან. პანსიონატი 200-300 მეტრითაა დაშორებული ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციისაგან. როგორც თავად ურეკელები ამბობენ, მთელ სანაპიროზე სამკურნალო თვისებების ქვიშა მხოლოდ "მაგნეტიტს" აქვს.

რუსთავში კბილებამდე შეიარაღებული დაჯგუფება გამოჩნდა

მაია მოსიაშვილი

27 ნოემბერს ღამის ორ საათზე ათამდე შეიარაღებული, ნიღბიანი ბოროტმოქმედი "რუსთავგაზის" ადმინისტრაციულ შენობაში შეიჭრა. ისინი ეზოში მყოფ დარაჯს დაესხნენ თავს და შენობაში შეყვანა მოსთხოვეს, სადაც იმ დროს საავარიო სამსახურის 4 თანამშრომელი და ერთი დაცვის წევრი იმყოფებოდა.

"ნიღბიანები ოთახში შემოცვივდნენ, გადმოგვყარეს საწოლებიდან, გვცემეს. ისინი იარაღს ითხოვდნენ, რომელიც ჩვენ არ გვქონდა. შემდეგ ექვსივე ერთ ოთახში შეგვყარეს და იატაკზე დაწოლა გვიბრძანეს. 2-3 საათი ასეთ მდგომარეობაში ვიყავით. ორი ავტომატიანი თავზე გვედგა, ხოლო დანარჩენები მეორე სართულზე კედელსა და სეიფებს ამტვრევდნენ," - განუცხადა "24 საათს" ერთ-ერთმა დაზარალებულმა. მისი თქმით, ნიღბიანი ადამიანები ჯერ ქართულად, ხოლო შემდეგ რუსულად და მეგრულად ლაპარაკობდნენ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატებით, პისტოლეტებით, გადაჭრილი სანადირო თოფებით, დანებითა და ხელყუმბარებით. **"ფული სად არისო გვკითხეს, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ფული იქ არ იყო,"** - ამბობს საავარიო ცვლის უფროსი შენგელი გელბაქიანი.

ბოროტმოქმედები სამი საათის განმავლობაში "მუშაობდნენ", მათ გაანგრიეს სალარო ოთახის კედელი, გაჭრეს რკინის ცხაური, გახსნეს სეიფი, სადაც "რუსთავგაზის" დირექტორის თქმით, 13 ათასი ლარი იყო შენახული. თავდამსხმელებმა გატეხეს დირექტორის და მისი მოადგილის სეიფებიც, სადაც ფული არ ყოფილა. მათ ხელს არ გააყოლეს ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა, სამაგიეროდ წაიღეს ცვლის უფროსის ტყავის ქურთუკი და ერთ-ერთი თანამშრომლის ნაქსოვი ჯემპრი. **"როცა მიდიოდნენ, ოთახში ჩაგვკეტეს და დაგვემუქრნენ, არ გააღოთ, თორემ ხელყუმბარას გარედან დავკიდებთ და გაღებისთანავე აფეთქდებაო. მათი წასვლიდან 20 წუთში მაინც გავბედეთ და კარი გავაღეთ. ხელყუმბარა, რა თქმა უნდა, არ იყო,"** - ამბობს გელბაქიანი.

"რუსთავგაზის" დირექტორი ბესო კალანდაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 10 დღის წინ დაინიშნა, აცხადებს, რომ მას დილის შვიდის ნახევარზე შეატყობინეს მომხდარის შესახებ. მისი განმარტებით, ოთხშაბათობით კონტროლიორებს მოსახლეობიდან ამოღებული თანხა შემოაქვთ. **"ამჯერად ფულს გვიანობამდე ველოდებოდით და გადარიცხვა ველარ მოვასწარით,"** - განაცხადა კალანდაძემ. მისი თქმით, მთელმა ქალაქმა იცის, რომელ დღეს შედიოდა თანხა "რუსთავგაზში".

"რუსთავგაზის" თანამშრომლები აცხადებენ, რომ თანხა არასოდეს რჩებოდა სეიფში. იგივეს ადასტურებს რუსთავის პოლიციის უფროსი დავით მჭედლიშვილი, რომელიც ორი თვის წინ "რუსთავგაზის" დირექტორი გახლდათ. ის გუშინ დანაშაულის ადგილზე არ მისულა. დიდი ალბათობა არსებობს, რომ მომხდარი გაუხსნელ დანაშაულთა სიას მიემატოს, მით უფრო, რომ რუსთავის პოლიციაში კატეგორიულად უარყოფენ იმას, რომ ამგვარი დაჯგუფება რუსთავში არსებობდეს.

დღეს რუსთავის პოლიციაში საკადრო ცვლილება განხორციელდება. ქალაქის პოლიციის უფროსი დავით მჭედლიშვილი "ვარდების რევოლუციის" მარწუხებისაგან თავს შეძლებისდაგვარად იცავდა, თუმცა იგი, როგორც ლევან მამალაძის პროტეჟე, თანამდებობის გარეშე დარჩენას ვერ ასცდა. პოლიციის შეფობის სავარაუდო კანდიდატი ქალაქის პოლიციის I განყოფილების უფროსი რამაზ ელოშვილია, რომელიც მერიის მხარდაჭერით სარგებლობს.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ჩვენ ახლა შევდექით სახელმწიფოდ შედგომის გზაზე

პირველი გვერდიდან

- როგორ მოხდა, რომ უკანასკნელ ათწლეულში არაერთხელ მოტყუებულ, იმედგაცრუებულ ხალხს სამოქალაქო გამბედაობა აღმოაჩნდა და ქუჩაში გამოვიდა?

- საზოგადოებრივი მდგომარეობა დაძაბული და გაურკვეველი იყო. თავისუფლების გზაზე დამოუკიდებლობა პირველი საფეხურია. შემდეგი თავისუფალი სახელმწიფოს აშენება გახლავთ. ამისთვის ერთი მიზნის დასახვაა საჭირო, რაც ხალხს გააერთიანებს. ზვიადის ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო. მოვიდა მეორე, შევარდნაძის ხელისუფლება და ისეთი საკითხების გადაწყვეტა დაიწყო, რაც საერთო ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა. გაჩნდა მრავალი პარტია, ჯგუფი, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მიზნები ჰქონდათ. ცალკეული ადამიანების მიზანთა მომრავლებამ ხალხი დააპირისპირა და ერმა დაშლა დაიწყო. ასეა, როცა ერს მიზანი არა აქვს, ის იშლება. ერმა თავისუფალი სახელმწიფოს აშენება ვერ შეძლო. თავისუფალი სახელმწიფოს აშენება ისეთი პირობების შექმნას ნიშნავს, რომლის საფუძველზეც ერს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეეძლება. სახელმწიფოს ჩამოუყალიბებლობის გამო ვერ განვავითარეთ ეროვნული მრეწველობა, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება. ამიტომ, არც მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნა დაიწყო და ხალხი გაჭირვებაში ჩავარდა. მერე გაჩნდა გულუბრყვილო მიზანი - არჩევნების საშუალებით ისეთი ხელისუფლების მოყვანა, ვინც ამ ამოცანებს შეასრულებდა. ეს ყველაფერი არაცნობიერად კეთდებოდა. ამ საქმეშიც ჩავვარდით და ხალხი აღშფოთდა. მათ სიცოცხლისთვის აუცილებელი არანაირი პირობები აღარ შერჩათ ხელთ.

ხელისუფლება ხომ გონებაა, რომელიც ქცევის კანონებს ქმნის... წინა ხელისუფლებამ ისეთი ღირებულებები წამოწია წინ, როგორიც არის სიმდიდრე, პირადი მდგომარეობა. ამან შექმნა კორუფცია... ერი კატასტროფულ მდგომარეობამდე მივიდა.

- აღმოჩნდა, რომ ყველა სფეროში სტაგნაციის მიუხედავად, ადამიანებს პროტესტისთვის სულიერი ძალები შერჩენილი ჰქონიათ.

- როდესაც ორგანიზმი სუსტდება, ცოცხალ ორგანიზმებს სიცოცხლისადმი სწრაფვა უძლიერდებათ. სულიერებს კი - იმედის იმპულსები უჩნდებათ. როგორც კი ხელისუფლებამ ამ იმპულსის ჩახშობა სცადა, ხალხი აღშფოთდა. ხალხმა ძალიან ბუნებრივად დაამხო ის ხელისუფლება, რომელმაც მათ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილა. ეს ლოგიკური იყო.

როცა სულიერი არსება სიკვდილის პირას მიდის, ძლიერად გაიბრძოლებს ხოლმე და ჩვენს შემთხვევაში, ასეც მოხდა.

- 2003 წლის ნოემბრის მოვლენებს ხშირად ადარებენ 90-იან წლებს. რითი ჰგავდა ერთმანეთს ეს ორი პერიოდი?

- მაშინ დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა აეშენებინათ. ამის გაკეთება პირველმა ხელისუფლებამ არ იცოდა და ვერ შეძლო. ეს ვერც მეორე ხელისუფლებამ გააკეთა.

- გამოდის, ერთადერთი საერთო - ცუდი ხელისუფლებები ჰქონიათ...

- დიახ, ასე გამოდის. განსხვავება კი ის არის, რომ 10 წელიწადი ვიცხოვრეთ დამოუკიდებლობაში, მაგრამ სახელმწიფოს აშენება ვერ შევძელით. ამიტომ, გამძაფრდა თავისუფლებისკენ სწრაფვა. ამას ისიც დაემატა, რომ ფსიქოლოგიური და მორალური მდგომარეობა გაუარესდა. მაშინ ჯერ კიდევ იყო იმედები, რომ ამას შევძლებდით, ახლა კი ნათელი გახდა, რომ ერმა გეზი სხვა მიმართულებით აიღო. აქ ინდივიდებმა საკუთარი მდგომარეობისა და თავისი სასიცოცხლო ამოცანებისთვის დაიწყეს ზრუნვა. იმ იდეებმა, რომელსაც ერის გაერთიანება შეეძლო, ფასი დაკარგეს. წინ წამოვიდა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სიმდიდრის დაგროვება, კარგი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა... 2003 წლის ნოემბერში ხალხი გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე 10-12 წლის წინ იყო.

ქვეყანას თავისი საფეხურები და ამოცანები აქვს. მათ ჩვენ დავშორდით და ერსაც გაუჭირდა. ჩვენს ტერიტორიაზე რომ რაღაც გაივლის, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ძალიან წვრილმანია და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში წინსვლას არ ნიშნავს.

- რევოლუციას ტკივილები ახლავს, ვიღაც აგებს, ვიღაც იგებს. ის კონტრრევოლუციური მცდელობები (უნივერსიტეტის ამბები, ცალკეული პიროვნებების განცხადებები ტერორისა და მსგავსის შესახებ) არის თუ არა თუნდაც - ხავერდოვანი რევოლუციის თანმდევი პროცესები?

- ამ უკანასკნელი მოძრაობის დროს ჩაისახა "კმარა", რომელიც მომხდარ პროცესებზე რეაქციას იძლეოდა და ოპოზიციურ პოლიტიკურ ლიდერებს ცუდ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ეხმარებოდა. მერე "კმარამ" თვითონაც დაიწყო ისეთ საქმეებში ჩარევა, რომლის ბოლომდე გადაწყვეტა მის ძალებს აღემატება.

უნივერსიტეტი მართლაც დამოუკიდებელი სტრუქტურაა. შეიძლება, "კმარას" ახალგაზრდები მართლაც ხედავენ ბევრ ბოროტებას, და მის წინააღმდეგ სამართლიანი რეაქცია აქვთ, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს საქმე ისე, რომ უნივერსიტეტი, როგორც ღირებულება, არ შეიბღალოს - მათთვის უცნობია.

უფროსებმა სასწაული მოახდინეს. როგორი რევოლუცია იყო, არა?

- თქვენ მოგეწონათ?

- ძალიან. როგორც აღმოჩნდა, ოპოზიცია უფრო კარგად იყო ამისთვის მომზადებული, ვიდრე ჩანდა. გამოსვლებში ისინი თავიანთ სურვილებს ამჟღავნებდნენ და ისე მოქმედებდნენ, როგორც საჭირო იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ცარიელი ხელებით შევიდოდნენ პარლამენტში, მოაგვარებდნენ ურთიერთობას ძალოვანებთან და მიიმხრობდნენ მათ.... თავად არ მეჯერა, რომ ეს შეიძლებოდა. როგორ შეიძლებოდა, კრწანისში მისვლა, ეს ხომ კაცის საცხოვრებელი იყო? მათ კი თქვეს, რომ კრწანისის რეზიდენცია ისეთივე სახელმწიფო დაწესებულებაა, როგორც კანცელარია და პარლამენტი...

საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ არაცნობიერად ყალიბდება და საჭიროა, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა ზოგჯერ თავად შექმნან და გამოხატონ ის აზრი, რაც საზოგადოებას გააჩნია... თუ ვინმემ ამის გაკეთება შეძლო, ხალხი მას ლიდერად და გმირად თვლის.

ნებისყოფის თვალსაზრისით, სააკაშვილი საოცრად ძლიერი პიროვნებაა და აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალურიც არის. ადრინდელი პრეზიდენტიც ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ ინტელექტის თვალსაზრისით რა მოგახსენოთ. არ ესმოდა იმ დარგების საჭიროება, რომელიც სახელმწიფოს აშენებს. გარშემო ის ხალხი ვერ შემოიკრიბა, ვინც გონებით წარმართავდა ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

ოპოზიციონერები გონიერებიც აღმოჩნდნენ და გამბედავნიც. სააკაშვილს გვერდს უმშვენებს ჟვანია, რომელიც ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსია. თუ მან კარგი მიზანი დაისახა, ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია. ქალის გამოჩენა კი სასწაული იყო. ნინო ბურჯანაძე თავისი კაცური ინტელექტით და ნებისყოფით სიმპათიებს იმსახურებს და როგორც ქალი - გავლენას ახდენს. მერე გაჩნდა ასოციაციები თამარ მეფესთან, ტეთჩერთან - ეს ყველაფერი ხელს უწყობდა მის პორტრეტს. ოპონენტებმა მასთან საბრძოლველად არასწორი მეთოდები აირჩიეს - რომ ის სხვა წრიდან არის და ა.შ. სუსტი არგუმენტები კი მოწინააღმდეგეს აძლიერებს.

მის მიმართ თანდათან დადებითი დამოკიდებულება (პიარი - განწყობების ფორმირება) შეიქმნა. სწორედ ქალმა გაანელა ჟვანიას და სააკაშვილის ფარული მტრობა პრეზიდენტობისთვის. ყოველთვის ჩანდა, რომ ბურჯანაძე სააკაშვილს როლს დაუთმობდა, რადგან სააკაშვილი ამას იმსახურებდა. ეს ერთმანეთისადმი პატივისცემას ნიშნავს.

- ამ სამეულის დაშლის საფრთხე ყოველთვის არის. რა საფრთხეები ემუქრებათ?

- დღევანდელ, სიტუაციურ მოთხოვნებს ისინი კარგად აკმაყოფილებენ - ერთმანეთს ავსებენ. ჩვენ თავისუფალი სახელმწიფოს აშენება გვინდა. თუ ამ ხალხმა ეს იდეა არ განავითარა, ხალხის აღფრთოვანება თანდათან გაქრება. შეიძლება, დეკლარირებულად გვქონდეს თავისუფალი სახელმწიფო, მაგრამ ეს არ ივარგებს. ჩვენ მართლა უნდა შევქმნათ ასეთი სახელმწიფო... ახალი ხელისუფლება ჯერ პირველი რიგის ამოცანებით არის დაკავებული. ამ ეტაპზე ჯერ კონფლიქტი არ წარმოშობილა. მხოლოდ პატარა ჯგუფია გაღიზიანებული. ისინი ისეთ არასერიოზულ განცხადებებს აკეთებენ (სარიშვილი, რჩეულიშვილი), რომ უნებურად, ხელს უწყობენ ოპოზიციას. მათ ფონზე ეს სამეული იმაზე უფრო სერიოზული ჩანს, ვიდრე, შეიძლება, არიან. ახალი ხელისუფლების ამოცანა შემდეგია - რა ძირითადი დარგები უნდა განვავითაროთ, რომ საქართველო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, რა მიზანი უნდა ავიღოთ, რომ სახელმწიფო შეიქმნას?! ეროვნული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება და კულტურა, ჯარი, რელიგიისადმი სწორი დამოკიდებულება - ამ კომპონენტების განვითარებით ქვეყანა დამოუკიდებელი და თავისუფალი გახდება. პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ ამის გასაკეთებლად პროფესიონალთა ჯგუფი უნდა შექმნას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადამიანების შეკვრა, პარტიების ურთიერთობები - ეს პოლიტიკური საკითხია. პოლიტიკოსთა საქმეა, შექმნან ისეთი ვითარება, რომ ადამიანებისთვის პარტიები იყოს მისაღები, პარტიებისთვის - ხელისუფლება, ხელისუფლებისთვის - ადამიანები და ა.შ. ჭეშმარიტების დადგენა მეცნიერების საქმეა. პოლიტიკური საქმიანობა დამოკიდებულებების შექმნაა. ხალხი ერთი ამოცანის მიმართ უნდა განეწყოს, იმ ამოცანის მიმართ, რომელსაც თავად წამოაყენებს. პოლიტიკოსების "მე" - "ჩვენ"-ად უნდა იქცეს და ეს ოსტატურად უნდა მოახერხონ. სავარაუდოა, რომ მათ ეს იციან და ისეთ ურთიერთობებს დაამყარებენ, რომ მათი ერთობლიობა იქნება - "ჩვენ."

განწყობის ურთიერთობის 22 კანონი არსებობს. ამერიკელები ბიჰევიორისტები (ქცევა) არიან. ავარჯიშებენ, როგორ იჯდეს, როგორ ჩაიცვას... ჩვენი პიარისთვის საჭირო განწყობის თეორია სულიერ შეხედულებებში, მოსაწონ და მისაღებ ფორმის ძიებაშია. სავარაუდოა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს იცის და კარგი იქნება, თუ ამას გამოიყენებენ.

- რევოლუციის ერთ ეტაპზე დაპირისპირება აუცილებელია. ახალი ადმინისტრაცია ახლა შემრიგებლობას ირჩევს. მტრობა უკან ინაცვლებს. ამას, ზოგჯერ, კარგი შედეგები არ მოაქვს...

- ძალიან გაუგრძელდათ შევარდნაძის შესახებ დადებითი ლაპარაკი. არ უნდა ილანძღებოდნენ, მაგრამ ამდენი საუბარიც არ არის საჭირო. ეს იწვევს მოწინააღმდეგეთა დაიმედებას. სახელმწიფოს შენებას ყოველთვის ხელისუფლება იწყებს. ხელისუფლება ყოველთვის მოაზროვნე ნაწილად, ტვინად ითვლებოდა. ის ქმნის იდეებს, რომელსაც შემდეგ მთელი ორგანიზმი, სახელმწიფო ახორციელებს. თუ მათ ეს მიზანი მისაღები არ გახადეს, ორგანიზმს დიდხანს სიცოცხლე და განვითარება არ უწერია.

- არის თუ არა ბუნებრივი პროცესი რევანშისტული მოძრაობა და რამდენად სერიოზულ საშიშროებებს შეიცავს ის?

- ამ ახალ ხალხს ბევრი ფაქტორი აქვს საიმისოდ, რომ ძლიერები იყვნენ. არიან დასავლური ორიენტაციის და არიან ეროვნულნი ("ნაციონალური")... მახსოვს, თოფაძემ თავისი ბიზნესი ეროვნული ნიშნით დაუპირისპირა ფრანგების ბიზნესს და "მრეწველები" მაშინვე პოპულარულები გახდნენ. შემდეგ მათ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და პარლამენტში საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა დაიწყეს. როგორც კი ეროვნულობა დაკარგეს, პოლიტიკური რუკიდან წაიშალნენ. ევროპული ორიენტაციისა და ეროვნულობის შეთავსება წარმატების ფორმულაა. ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნები მოვალეობების ქვეყნებია. ამერიკა - უფლებების. საჭიროა მათი გაერთიანება.

- მაინცდამაინც, საქართველოში?

- რატომაც არა, ჩვენ გზაგასაყარზე ვართ. გასულ საუკუნეში გმირი იყო ის, ვინც სამშობლოს იცავდა. დღეს კი ნახეთ, რა მოხდა - გმირი ხდება მილიონერი, ეხმარება არტისტებს, მწერლებსა და მეცნიერებს, რომ შიმშილით არ მოკვდნენ... ჩვენთვის ერივნების, პიროვნების უფლებების დაცვის შემრწყმელი ადამიანი იქნება გმირი.

- დავუბრუნდეთ "კონტრრევოლუციონერებს"...

- ისინი გარდაიქმნენ ადამიანებად, რომლებიც საკუთარი საშუალებების დაცვაზე არიან გადასული. ისინი სუსტები და სულმოკლეები არიან და მათი გაბრძოლება ახალ ხელისუფლებას ვერ დაამხობს. ვერც კი იკრიბებიან, რადგან ამ ხელისუფლებაში გათბობასაც ცდილობენ... ისინი შეკრულნი არ არიან, რადგან შევარდნაძე გვერდზე გადგა. ეს ტენდენციები დროებითი და სიტუაციურია - მათ არავინ აჰყვება, მაგრამ ხელის შეშლა კი შეუძლიათ.

- სტუდენტების ჩათრევა მათი გაბრძოლების ნაწილია?

- "კმარამ" ძალიან ბევრი საქმე გააკეთა. ხალხი მათ იცნობს, ცუდებს - ეშინიათ კიდეც. სტუდენტობას ამ მოძრაობაში ყოფნა უნდა და ხელის შემშლელად "კმარა" ესახებათ. ამიტომაც, მათ "კმარა"-ს შესუსტება გადაწყვიტეს. ეს ხომ არ არის სწორი გზა? მათ იმის აღიარება უჭირთ, რომ "კმარა" გამოიკვეთა. რასაკვირველია, გაღიზიანებული პოლტიკოსები სტუდენტებს იყენებენ და ეს სტუდენტების დაპირისპირებას ქმნის. ერთ მხარესაა ძლიერი მოძრაობა და მეორე მხარეს სტუდენტები, რომელთაც გამოკვეთილი სახე არ აქვთ. თუმცა, "კმარა"-საც გაუჩნდა გამორჩეულობის ამბიცია. სტუდენტები ყოველთვის ერთი სუბიექტი იყო. ახლა კი შიგნით გაჩნდა პრობლემები. ეს კი მოგვარებადია, რადგან, ის პოლიტიკოსები, ვინც მათ იყენებს, ძლიერები არ არიან. ჩემი აზრით, "კმარა"-მ ცოტა უნდა დათმოს და უარი უნდა თქვას აქტიურ ქმედებებზე. და ის, რომ მათ ბრძოლის გადატანა სამართლებრივ ასპექტში გადაწყვიტეს, ძალიან მახარებს - ეს სტუდენტების გაღიზიანებას ჩააქრობს.

ეს ფსიქოლოგიაა... სულ იმას ვფიქრობ, როგორ შეიძლება, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განწყობის თეორიას არ კითხულობდნენ, რაც სულიერი პიარის დამოკიდებულებების შექმნის საფუძველია?! ანდა, კითხულობენ 30-იანი წლების განწყობის თეორიას...

უნივერსიტეტის პრესტიჟი, მეცნიერებისადმი პატივისცემა დიდი საქმეა. სახელმწიფო ვერასდროს ბედავდა უნივერსიტეტის სუვერენიტეტისა და პრესტიჟის შელახვას. ხელისუფლება უნივერსიტეტის დამცველად უნდა მოგვევლინოს. ზოგიერთი რამ უნდა დათმოს კიდეც. უნივერსიტეტის პრესტიჟის გამო მეტრეველიც უნდა აიტანოს, ფოფხაძეც და სხვებიც.

- ყველა რევოლუციური მოძრაობა უნივერსიტეტიდან იწყებოდა ხოლმე. ახლა ასე არ მოხდა, რატომ?

- ეს ისევ მცდარი ღირებულებების ბრალია. ამ ღირებულებების აღსრულება უფროს თაობას შეუძლია. სტუდენტები ნაკლებად არიან აღმსრულებლები, ამიტომ მაღალმა საზოგადოებამ ჩაიგდო საქმე ხელში და აქ დაიწყო პროცესების გაშლა. ადრე სტუდენტობა ჩართული დიდი ძალა იყო. დღეს კი იმ კერძო ღირებულებების მატარებელ ხალხში მიმდინარეობს პროცესები. სტუდენტებს, მიუხედავად იმისა, რომ ენერგიაც აქვთ და ცოდნაც, შინაგანად იმის განცდა აქვთ, რომ ქვეყნისთვის საჭირო საკითხებს თავად ველარ გადაწყვეტენ. ზედა თაობაში ურთიერთდაპირისპირება მოხდა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვნენ სტუდენტებიც და მთელი ერიც. სტუდენტებს ყოველთვის სწორი რეაქცია აქვთ, მაგრამ არ აქვთ ვითარების მართვის გამოცდილება. ეს არ ნიშნავს, რომ სტუდენტობა ძალა არ არის. უბრალოდ, მათ არა აქვთ ის საშუალებები, რომლითაც პროცესებზე ზემოქმედება შეეძლებათ.

- ზემოქმედების აქტიური საშუალება მათ კომუნისტების დროსაც კი ჰქონდათ...

- მაშინ იდეები და შეხედულებები უდიდესი იყო - საბჭოთა კავშირის დამხობა. ჩვენი ამოცანა დამოუკიდებლობა იყო და ამისთვის სტუდენტებს ძალა ჰქონდათ. ახლა, როცა შენება დაიწყო, მათ არ იციან, როგორ უნდა აშენდეს. ეს არც წინა ხელისუფლებამ იცოდა. ბურჯანაძემაც თქვა, რომ სახელმწიფო შედგა, დიახ, რაც მოხდა, ძალიან კარგია, მაგრამ ეს შედგომას არ ნიშნავს. ჩვენ ახლა შევდექით სახელმწიფოდ შედგომის გზაზე.

ოპოზიციონერები გონიერებიც აღმოჩნდნენ და გამბედავნიც. სააკაშვილს გვერდს უმშვენებს ჟვანია, რომელიც ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსია. თუ მან კარგი მიზანი დაისახა, ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია. ქალის გამოჩენა კი სასწაული იყო.

ნებისყოფის თვალსაზრისით, სააკაშვილი საოცრად ძლიერი პიროვნებაა და აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალურიც არის. ადრინდელი პრეზიდენტიც ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ ინტელექტის თვალსაზრისით რა მოგახსენოთ.

ევროპული ორიენტაციისა და ეროვნულობის შეთავსება წარმატების ფორმულაა. ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნები მოვალეობების ქვეყნებია. ამერიკა - უფლებების. საჭიროა მათი გაერთიანება.

ჩვენთვის ეროვნების, პიროვნების უფლებების დაცვის შემრწყმელი ადამიანი იქნება გმირი.

დედა, რა იყო ეს, ა?!



ნოდარ მალაზონია

ხავერდოვანი, რევოლუცია!
ვარდების, რევოლუცია!
თეთრი, რევოლუცია!
ელეგანტური, რევოლუვია!

იქნებ სხვაც?! რევოლუციური ბალეტი! აი, ისეთი "მთების გულში", რომ კეთილი ებრძვის ბოროტს და გუგუნებენ არა ზარბაზნები, არამედ ორკესტრი?!

ან, იქნებ რევოლუვიეური გრანდ-რევიუ!

ანდა, სიზმრისეული ხილვა! ან კიდევ, თუნდაც ფოკუსი?! აი, ისეთი კოფერფილდმა რომ ჩინეთის კედელი გააქრო?!.

ტყუილად შეეცდება ვინმე გადამარწმუნოს იმაში, რომ მანამდე მსოფლიოში ვილაც იპოვნიდა ისეთ ჭკუათმყოფელ პროდიუსერს ან გამომცემელს, რომელიც ანალოგიურ სცენარს ან რომანს რევოლუციური ფილმის შესაქმნელად დააფინანსებდა.

მეტიც, ამისათვის ნებისმიერი ღირსების ავტორი, შესაძლოა, სასაცილოდაც აეგდოთ კიდეც, რადგან რევოლუცია თავისთავად როგორც ფენომენი სულ სხვა ფერისა და გემოსია და ჯერ იგი მსოფლიო ისტორიაში უსიცხოდ და უსისხლოდ არავის მოუნელებია.

არადა, ჯერ კიდევ იმ ღამით, როცა ტელეეკრანზე ვიხილეთ თუ ათიათასობით გაბრაზებული და შეურაცხყოფილ ადამიანთა ფანტასმაგორიული ვულკანისებრი ლავა, თბილისისაკენ უწყვეტ ნაკადად როგორ მოედინებოდა, რომელსაც წინ თავად ტრიუმფატორი მოუძღვებოდა, არ უნდა ყოფილიყო ძნელი იმისი ამოცნობა, რომ შევარდნაძის ეპოქა უკვე დასრულდა.

მით უმეტეს ჩვენი პატრიარქი პრეზიდენტისთვის, რომლის ერთადერთი და მნიშვნელოვანი იარაღი, მუდამ მისი ინტუიცია იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, ამჯერად აშკარად უმტყუნა და, ალბათ, არცთუ სხვისდა დაუხმარებლად.

ნაპოლეონი მუდამ ამჯობინებდა გვერდით ჭკვიანი და თუნდაც არა სანდო ადამიანები ჰყოლოდა, ვიდრე ერთგული და უჭკუო.

პრეზიდენტმა ერთგულები აირჩია!

თავისი "კონდოლიზა რაისებით" გარშემორტყმული, საჭადრაკო ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, "ზევოკს" – "ზევოკზედ" უშვებს.

- "მხოლოდ მოღალატეთაგან ვიტყობდით ჭეშმარიტებას!", - მოგვიანებით სინანულით აღიარებს გაძევებული ნაპოლეონი.

ასეა პრეზიდენტი შევარდნაძეც! მას აღარც ქართველ "მოღალატეთა" ჭეშმარიტების აღიარება ძალუძს და აღარც თავისი ოკეანისგაღმელი ღირსეული მეგობრებისა სჯერა.

ერთია, როდესაც ვერ ხედავ და არ გესმის, ათიათასობით თანამემამულეთა აზვირთებულ ტალღათა გუგუნს! მეორე და გაცილებით შემაძრწუნებელი - წვიმაში, ქუჩის განაპირა, ობლად მდგარი დედაკაცის გულიდან ამოხეთქილი განწირულის ხმით მოწოდება!

- ხალხო, ძირს შევარდნაძე! შევარდნაძე ძირს!!!

ნუთუ, სხვაგვარად არ შეიძლებოდა?!

2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს, დაახლოებით 21 საათისთვის, საქართველოს კოლმეურნეობა, მისი თავმჯდომარე, თავისი გამგეობა-ბრიგადირებით, კანონგარეშე ცხადდება!!!

რა რესურსი გააჩნიათ ტრიუმფატორებს?!

ერთობ უკიდეგანო და ღირსეული.

რა არის საჭირო ჩვენი ქვეყნის საბოლოო გამარჯვებისთვის?!

ხალხის ისევ ისეთივე სიმტკიცე და უძლეველობა!

მადლობა, ბატონებო!

კულტურის სტრატეგია საქართველოში

1. რა უნდა იყოს კულტურის სამინისტროს ფუნქცია?
2. რა ცვლილებებს მოელით, ამ მხრივ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ?

ვაჟა აზარაშვილი
კომპოზიტორი

1. სამინისტროს ფუნქცია შემოქმედებითი კავშირების დახმარება უნდა იყოს. ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში კულტურის სამინისტროდან არანაირი დახმარება არ გვქონია. თუმცა, ჩვენ ქალბატონ სესილისთან მოვილაპარაკეთ და ის ერთი კონცერტის გასამართად საჭირო თანხით დახმარებას შეგვპირდა; კონცერტი დეკემბერისთვის დაიგეგმა. ჩვენ, უკვე მესამე წელია, ბიუჯეტიდან დაფინანსება შეგვიწყვიტეს, კომპოზიტორი ჰონორარს არ იღებს. როგორ უნდა განვითარდეს პროფესიონალური მუსიკა მაშინ, როდესაც კომპოზიტორს იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ თავისი მუსიკა მოისმინოს, განსაკუთრებით - ახალგაზრდა კომპოზიტორებს. ჩვენ სულ ახლახან გვქონდა კონცერტი დიდ დარბაზში, საამისო თანხა კავშირში აღებული არენდიდან (საიდანაც ნაწილი, რატომღაც, სახელმწიფოს მიაქვს) გამოვნახეთ. აი, ასე სულს ვლაფავთ. ასე არ შეიძლება, არ განვითარდება არაფერი, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ დადგა პროფესიონალური მუსიკის განვითარება. თორემ, ხომ ხედავთ, დღევანდელმა ვაი ესტრადამ და დილეტანტიზმმა, რომელებიც, ჩვენგან განსხვავებით, საჭირო სახსრებს შოულობენ, შეჭამა ყველაფერი. მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან ნიჭიერი ადამიანები, მაგრამ ასეთი რეკლამა, მხარდაჭერა, რითაც ისინი განებივრებულები არიან, ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს. ჩვენ დიდი ხნის წინ ვიყავით პრეზიდენტთან და მაშინ დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ სიმფონიური მუსიკა დაუფინანსებლობის შემთხვევაში არ იარსებებდა. ჩვენ ჩვენი ძალებით კონცერტის გამართვის საშუალება არ გვაქვს, სიმფონიური თუ კამერული მუსიკის არსებობისათვის, კომპოზიტორების მუშაობის ელემენტარული პირობებისათვის, მათი დახმარებაა საჭირო. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენი შრომით უნდა ვჭამოთ პური, რასაც ვიმსახურებთ, სრულად თუ არა, ნაწილობრივ ხომ შეიძლება, აგვინაზღაურდეს. სამინისტროს ფუნქციაა, დაეხმაროს შემოქმედებით კავშირებს და უშუალოდ ჩარიცხოს ფინანსები, პირველ რიგში, იმისათვის, რომ გვქონდეს საშუალება სიმფონიური, კამერული, საგუნდო თუ სხვა კონცერტების გასამართად. თუ გადმორიცხავენ ფულს, ჩვენ კაპიკ-კაპიკ აღვნუსხავთ ამას და სამინისტროს ანგარიშს ჩავაბარებთ.

2. იმედით მუდამ ვცხოვრობდით. ჩვენ არასდროს არ განგვიკითხავს ვინმე, თუმცა ბევრჯერ კრიტიკული წერილებიც დამიწერია, იმის შესახებ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. მესმის, რომ საქართველოს უჭირს, მაგრამ, თურმე, არც მაინდამაინც, იმხელა შენობები ხომ წამოჭიმეს, ერთი მტკაველი მიწა არ დაუტოვებიათ. როგორმე უნდა დაფინანსდეს ყველაფერი. ჩვენ სულ რაღაც თერთმეტი ათასი გვქონდა ბიუჯეტიდან, რასაც გაჭირვებით ვანაწილებდით და ისიც მოგვიხსნეს. ე.ი. დღეს კომპოზიტორზე ერთი თეთრი არ იხარჯება. ასე რომ, იმედით ვცხოვრობთ. ამ ხალხის იმედიც, ალბათ, მექნება, ვიცნობ რა პირადად ქალბატონ ნინოს, ბატონ ზურაბს და მიხეილს. თუკი ისინი დაიჭერენ მეგობრულ ურთიერთობას, ჩვენ მზად ვართ, შემოქმედებითა და სიყვარულით ვუპასუხოთ.

ნუგზარ ბაგრატიონი
რეჟისორი

1. მიუხედავად იმისა, რომ კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც ვიყავი, კულტურის სამინისტროსთან ურთიერთობა არასოდეს მქონია. როგორ გითხრათ, არ მიყვარს ჩინოვნიკებთან ურთიერთობა, შეიძლება ითქვას სამინისტროში არც ვყოფილვარ, თუ არ ჩავთვლით ერთხელ თეატრალურ ფესტივალზე სტუმრობას.

2. რევოლუციის შემდეგ, იმედი ნაკლები მაქვს, სასიკეთოს არაფერს მოველი. გაურკვევლობაში ვარ, არ ვიცი კულტურასთან მიმართებაში ახალი მთავრობა რა პოზიციას დაიკავებს. მით უმეტეს, უმწირესი ფინანსებით ბევრს ვერაფერს უნდა ველოდოთ. გააჩნია, ვის დანიშნავენ ახალი კულტურის მინისტრად და საერთოდ, რა კურსს დავადგებით კულტურაში. ჩემთვის გაურკვეველი ვითარებაა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

თაზო თოლორაია
მსახიობი

1. საქართველოს მთავარი უბედურება არაპროფესიონალიზმია ყველა სფეროში. არ შეიძლება კულტურის მინისტრი კულტურის სფეროში ჩაუხედავი ადამიანი იყოს. როგორ შეიძლება სიტყვაზე ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაკი ან კომკავშირის ლიდერი შემდეგ კულტურის მინისტრი გახდეს. ამ თანამდებობის პირი კულტურის ყველა სფეროში - მხატვრობაში, მუსიკაში, თეატრსა და კინოში ჩახედული უნდა იყოს. ამით შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ სესილი გოგიბერიძეს, მაგრამ ასეა და რა ვქნა. არ შეიძლება კარგი მწერალი ან თუნდაც კომპოზიტორი იყოს კულტურის მინისტრი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი?

2. ამ მოვლენების შემდეგ იმედი მაქვს, რაიმე სასიკეთოდ შეიცვლება. აქამდე ყველაფერი ჩამკვდარი იყო. ქართული კინო მოკვდა, თეატრი ჯერჯერობით არსებობს, რადგან სპექტაკლის დადგმას ნაკლები ფული სჭირდება. იმედი მაქვს უფრო მეტი სპექტაკლი დაიდგმება. მიშა თუმანიშვილის დროს, კომუნისტების ეპოქაში წელიწადში ორჯერ დავდიოდით გასტროლებზე, ეხლა ხან გზის ფული არა გვაქვს, რომ საფრანგეთის ან ინგლისის რომელიმე ფესტივალზე გავემგზავროთ, სადაც ვართ ხოლმე მიწვეული და ხან სპექტაკლის დასადგმელი თანხები.

ნუგზარ ბაგრატიონი.

ირაკლი მახარაძე.

ირაკლი მახარაძე
კინორეჟისორი

1. ჩემი აზრით, ამ ბოლო დროს კულტურის სამინისტროს მართლა არავითარი ფუნქცია აღარა აქვს. კარგი შენობა კი აქვთ, მაგრამ იქ შეიძლება სხვა რაღაცა განთავსდეს. რეალურად მათგან არავითარი დახმარება არ ჰქონიათ კულტურის დარგის ხალხს. ამას წინათ მოსკოვში საქართველოს კულტურის დღეები რომ ჩაატარეს, ამის გაკეთება ხომ ნებისმიერს შეეძლო. სხვა ქვეყნებში, როგორც ასეთი, კულტურის სამინისტრო არც არსებობს. რითი უნდა მოგვეხმაროს კულტურის სამინისტრო, თითონ უხმებათ კუჭი. ამას წინათ ტელეფილმების სტუდიაში თანამშრომლებს შეკრება გვქონდა, ვსაუბრობდით იმაზე, რომ ყველაფერი ინგრევა. 45 დღის შემდეგ კი არა, ხვალე რა მოხდება ის არ ვიცით. რუსების თქმისა არ იყოს, непредсказуемый სიტუაციაა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთია ჩვენი ტელესტუდია, რომელიც ტელეფილმებს იღებს. ესეც თუ დავანგრიეთ და გადავაშენეთ, რაღა იქნება. ქართული კინო ხომ მოკვდა და დასამარდა. სულ ახლახან გავიგე, რომ ლევან თუთბერიძე ახალ ფილმს იღებს და ისე გამიხარდა, როგორც ახალი წელი, ასეთი გამონაკლისების გარდა არაფერი არ კეთდება. მე მიმაჩნია, რომ ყველამ თავის თავს უნდა მოხედოს, სწორედ ეს არის საბაზრო ეკონომიკა.

არსებობს ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიც მაგალითად, ნორვეგია ან სხვა რომელიმე, სადაც კინოინდუსტრია საერთოდ არ არსებობს იმიტომ, რომ კინოინდუსტრიას უდიდესი ფული უნდა. ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანა უნდა იყო, ან "ჰოლივუდი" უნდა გქონდეს ან ინდური "ბოლივუდი", რომ ფილმის გადაღება აწარმოო. გასაგებია, რომ ერთ დროს იყო ქართული კინოს ფენომენი, მაგრამ ახლა ჩვენ ამის შესაძლებლობა აღარა გვაქვს. ამიტომ უნდა მივხედოთ ისეთ საქმეს, რომელიც უფრო ადვილად გასაკეთებელია. ახლა, ამ ვითარებაში მივიდეთ კულტურის სამინისტროში და რამე მოვთხოვოთ, რომელსაც თითონ ენგრევა თავზე ჭერი, და უთხრა ფული მომეციო, სასაცილო არ იქნება? აქედან გამომდინარე, ვისთვის არის საჭირო კულტურის სამინისტრო, არ ვიცი.

2. რაც შეეხება "ვარდების რევოლუციას", ვშიშობ, სამი დღის ან სამი თვის შემდეგ რა იქნება. ამ იდეას მეც, როგორც რიგითი მოქალაქე ჩემს შვილთან ერთად ავყევი. საერთოდ აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მივსულიყავი მიტინგზე.

მეშინია, ჩვენს ლიდერებს ვინც ამ რევოლუციაში მიეხმარა და ვინც ამ ორომტრიალში მიიღო აქტიური მონაწილეობა, ის ხალხი არ დასვან თანამდებობებზე. ეს ხომ სუფთა ქართული რეალობაა – მეგობარს, ძმაკაცს როგორ აწყენინებს. არადა, მისი მეგობარი შეიძლება კარგი ბიჭია, მაგრამ სამუშაოზე აბსოლუტური დებილი იყოს, ამისი მეშინია ძალიან. ასეთი რამ ხშირად მომხდარა ხოლმე საქართველოს რეალობაში. ქართველები მენტალიტეტით უცებ ვერ გამოვიცვლებით. ამას დრო სჭირდება. ხალხის თვითშეგნება ძალიან ამაღლდა და ძალიან მიხარია, თან ყვეკლაფრის ერთად გაკეთება არ შეიძლება. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაკეთდეს ყველაფერი.

ლელა ოჩიაური
კულტუროლოგი

1. თუ იდეალურ ვარიანტზე ვიფიქრებთ, ამ დაწესებულებამ ბოლოს და ბოლოს იმ ნიჭიერი ადამიანებისა და მათი პროექტებისაკენაც უნდა გაიხედოს, რომლებიც ჩრდილში დგანან და არ ხმაურობენ. სამინისტროში ისეთი მექანიზმები უნდა ამუშავდეს, რომელიც გამოააშკარავებს ნამდვილ პრიორიტეტებსა და ნამდვილ პროფესიონალებს. კომისიებისა თუ საბჭოების გადაწყვეტილებები უნდა კონტროლდებოდეს იმიტომ, რომ პრივილეგირებულები, ძირითადად, უნიჭო, მაგრამ "აქტიური" პერსონები, ერთი და იგივე სახეები რჩებიან. კონკრეტულად გამოვყოფდი პრიორიტეტებს ახალციხისა და საინგილოს თეატრებზე. ხელოვანს, რომელიც ამ მიმართულებით რაიმე ინიციატივას გამოიჩენს, სამინისტრომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი. და კიდევ, ამ ბოლო პერიოდში მასიურად მოხდა ფასეულობების ჩანაცვლება: - მდარე ხარისხის ხელოვნებამ წალეკა, ძირითადად, ახალი თაობის ცნობიერება. სამინისტრომ უნდა შექმნას კრიტერიუმები და კარგი გაგებით ცენზურა.

2. რა თქმა უნდა, დიდ ცვლილებებს ველოდები. რევოლუცია, პირველ რიგში, ცვლილებებს გულისხმობს და ეს ცვლილებები იმედია კულტურის სტრატეგიასაც შეეხება.

კრიზისი ბროდვეიზე

ნიუ იორკის სახელგანთქმული მუსიკალური თეატრების კომპლექსი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლო დროს სპექტაკლებზე ბილეთები არ იყიდება; ამასთან ერთად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამუდმებით უარყოფითი რეცენზიებით ეხმაურებიან ბროდვეის კულტურულ ცხოვრებას.

გაზეთ "ინდეფენდენთის" მონაცემებით, გასულ კვირას პრემიერის შემდეგ შეწყდა სპექტაკლის The Oldest Living Confederate Widow Tells All-ის ჩვენება, რადგანაც ცუდად გაყიდული ბილეთების გამო თეატრმა მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი ამერიკული დოლარით იზარალა.

მანამდე უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ბროდვეიზე სამი სექტაკლის პრემიერა ჩაიშალა, ხოლო მიმდინარე სპექტაკლებზე, ძირითადად, დარბაზის ნახევარი ძლივს ივსება.

თეატრალური კომპლექსის ადმინისტრაცია საკუთარ კრიზისს თეატრალურ კრიტიკოსებს, განსაკუთრებით კი უცხოელ ექსპერტებს აბრალებს. თუმცა, ბევრი ამ ყველაფრის მიზეზად ბილეთების ღირებულებასაც ასახელებს – ბროდვეიზე ყველაზე იაფი ბილეთი 80 ამერიკული დოლარი ღირს; ეს ღირებულება 533 პროცენტით მეტია ათი წლის წინათ ბროდვეის თეატრებში დაწესებულ ყველაზე იაფასიან ბილეთზე. თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც ბროდვეის კრიზისის მიზეზს 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ არსებულ არასტაბილურ მდგომარეობაში ხედავს.

გაბრაზებული გმირი "სარდაფში"

თეონა ჯაფარიძე

თეატრალურ სარდაფში (რუსთაველზე) მორიგი პრემიერა გაიმართა: რეჟისორმა ნინო შოთაძემ ჯონ ოსბორნის პიესა "მოიხედე მრისხანების ჟამს" წარმოადგინა. ერთი შეხედვით აქტუალური პიესა, რეჟისორულად მეტად სუსტადაა გადაწყვეტილი, და აქტუალური თემებიც კი აქტუალობას კარგავს მოჭარბებული პათეტიკის გამო. მაგრამ, სპექტაკლს პლიუსებიც გააჩნია: პირველ რიგში, თვალში საცემია სცენოგრაფია: მხატვარმა ნინო ბურკაძემ მშვენივრად მოახერხა "სარდაფის" სივრცის ათვისება. სპექტაკლში მოქმედება რეალურ სარდაფში მიმდინარეობს, დაახლოებით ისეთში, როგორიც დღეს ჩვენში გავრცელებული "სეკენდ ჰენდებია".

სპექტაკლის კიდევ ერთი პლიუსი – მსახიობ ნინო ლეჟავას თამაშია. ის მთავარი გმირის მეუღლის – მარის დრამატული როლის ფსიქოლოგიას შესანიშნავად გადმოსცემს.

მთავარი გმირი – ლეო, ხელმოცარული ჯაზმენია. ის ცხოვრებაზეა გაბრაზებული და მისი აგრესიის ადრესატი კომფორმიზმი და საკუთარი მეუღლეა, რომელიც კლასობრივ მტრად ყავს მიჩნეული და მასთან "საღვთო ომი აქვს გამოცხადებული".

მაინც რამ გამოიწვია მთავარი გმირის აგრესია? ლეო გაღიზიანებულია იმით, რომ უკრავს ავანგარდულ ჯაზს, საზოგადოებას კი "ფეხზე ჰკიდია ავანგარდული მუსიკა" და მზად არაა მის მოსასმენად. ლეოს აღიზიანებს პრესა, სადაც პორნოგრაფიის გვერდით ადგილს უთმობენ მოძღვართან ინტერვიუს, ეს უკანასკნელი კი ყველა "შარვლიან ქალს სატანის მოციქულად აცხადებს და ანათემას გადასცემს". ლეო გაბრაზებულია საზოგადოებაზე, რომელიც ეკლესიაში მოდის გულისთვის დადის. "მოდა რომ შეიცვალოს მერე...?" – კითხულობს მთავარი გმირი. ლეოს ეზიზღება ფსევდოინტელიგენცია და მდიდარი ოჯახებიდან გამოსული კორუმპირებული მინისტრები. თავად სნობურ წვეულებებზე დემონსტრაციულად დახეული ჯინსებითა და ყელზე შებმული ძაღლის ყელსაბამით დადის და კიდევ უფრო ბრაზდება, როცა ამ პროტესტის მიუხედავად საზოგადოება თავის ყურადღების ღირსად არ თვლის. სწორედ ამიტომაც პიესის ერთ-ერთი გმირი ელენი (მსახიობი ხათუნა ბოკუჩავა) ასკვნის: "დრო და ადგილი არაფერ შუაშია, ისეთი ადამიანები, როგორიც ლეოა, არც საყვარლებად, არც მუსიკოსებად და არც პოლიტიკოსებად არ გამოდგებიან".

როგორც ხედავთ, პიესა აქტუალურია, მაგრამ სცენიდან მაინც მოძველებული პათეტიკა ისმის. უკვე ცნობილი ლოზუნგებიც: "კმარა!" და "გა-და-დე-ქი" სცენიდან საკმაოდ ყალბად და არაფრისმთქმელად ჟღერს. მაყურებელთა რეაქციაც ამ ეპიზოდზე საკმაოდ პასიურია. რას იზამთ, მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ სპექტაკლებით ველარ გაგვაკვირვებთ.

სცენა სპექტაკლიდან.

მოკლედ

ელის კუპერი დიდების ხეივანში

ცნობილი ამერიკელი როკ-მუსიკოსის ელის კუპერის უკვდავსაყოფად ჰოლივუდში მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება. კუპერის ვარსკვლავს ადგილს მიუჩენენ ელვის პრესლის, მერლინ მონროს, ბრიტნი სპირსისა და სხვა ცნობილი მუსიკოსების ვარსკვლავთა გვერდით.

ჰოლივუდის სავაჭრო პალატის ორგანიზებული პრეზენტაცია 2 დეკემბერს დაიწყება. ცერემონიალს თავად მუსიკოსიც დაესწრება.

"ქუინი" მანდელასთან ერთად



"ქუინმა" ახალ სიმღერაში Invincible Hope გამოიყენა ყველაზე ცნობილი ფრაზები ნელსონ მანდელას საუბრებიდან. სიმღერის ჩანაწერი, სადაც ვოკალის პარტიას ჯგუფის დრამერი როჯერ ტეილორი ასრულებს, იმ მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიების ნაწილია, რომელიც შიდსთან საბრძოლველად წამოიწყეს ნელსონ მანდელას ციხის პირადი ნომრის – 46664 სახელწოდებით. აქციის ფარგლებში 29 ნოემბერს კეიპტაუნში გრანდიოზული კონცერტია დაგეგმილი "ქუინის", ბონოს, ბეიონს ნოულსის, პიტერ გებრიელისა და Eurythmics-ის მონაწილეობით.

ბოდიში ამერიკელ თაყვანისმცემლებს

ინგლისური როკ-ჯგუფის "ჯეთრო თალის" ფრონტმენმა, იენ ანდერსონმა ამერიკელ თაყვანისმცემლებს მოუბოდიშა. გაზეთ "ეშბური პარკ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ადრე მუსიკოსმა თქვა: "არ მსიამოვნებს, როდესაც ამერიკის დროშა ფრიალებს ყოველ ჯიპზე და დასავლეთევროპის ყოველი სახლის სახურავზე. იოლია პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ერთმანეთში არევა". ანდერსონის ეს ნათქვამი ბევრმა ამერიკელმა პატრიოტმა გააპროტესტა. რამდენიმე ამერიკულმა რადიოსადგურმა კი საეთერო ე.წ. "პლეი ლისტებიდან" ამოიღო ლეგენდარული როკ-ჯგუფის "ჯეთრო თალის" სიმღერები. მუსიკოსს სხვა არაფერი დარჩა იმის გარდა, რომ მოებოდიშებინა ამერიკელი მსმენელისთვის: "მე ახლა ვნანობ ჩემი მოსაზრების ტონის გამო. ვიცი, რომ სამუდამოდ დავკარგე რამდენიმე ამერიკელი მეგობარი".

"ახმეტელის თეატრი", ბოლო გაჩერება, გთხოვთ, გაათავისუფლოთ ვაგონები...

სოფიო თოდუა

ამის იქით 8 მიკრორაიონია (მარჯვნივ - ლუწები, მარცხნივ - კენტები), ბაზრობა მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ბევრი საზკვების ობიექტი, ორი კაზინო, რამდენიმე საპარიკმახერო, სავაჭრო ცენტრი, დისკოთეკა, ორი ეკლესია, მათგან ერთი - ცნობილი გლდანის ეპარქიის საკათედრო ტაძარი და ახმეტელის თეატრი... გლდანი პერიფერიაა არა იმდენად ტერიტორიულად, რამდენადაც ინტელექტუალურად. ცენტრიდან აქ მოსვლას სამარშრუტო ტაქსით მხოლოდ 40 წუთი სჭირდება, მეტროთი უფრო მალე მოაღწევთ. ეს დაახლოებით ის დროა, რასაც ეს ყველაზე პოპულარული ტრანსპორტი პიკის საათებში საბურთალოდან თავისუფლების მოედნამდე ანდომებს. მაგრამ, გლდანში ხალხს ბევრი ისეთი რამ შეიძლება აკადრო (ხელისუფლებას ვგულისხმობ), რაც ცენტრში ჯერ კიდევ აფეთქებასაშიშ მდგომარეობად ითვლება - გაუთავებელი უშუქობა, უგაზობა, გაპარტახებული გზები, უწყლობა, უაღრესად დამძიმებული კრიმინოგენული მდგომარეობა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო დროს ციხიდან გაქცეული პატიმრებიდან რამდენიმე აუცილებლად გლდანში აჰყავთ. არჩევნებზე გლდანში ქართული პოლიტიკური სპექტრის ყველაზე კოლორიტული პერსონები იყრიდნენ კენჭს.

როცა გლდანში შუქი მოდის, მეტროსთან ახლოს, ერთი შენობის თავზე რაღაც შუქურის მსგავსი მწვანედ ნათდება. აქაურებმა იციან - იმ დღეს თეატრში სპექტაკლი ტარდება. აქაურებმა, სხვათა შორის, ისიც იციან, რატომ ჰქვია მეტროს ბოლო გაჩერებას "ახმეტელის თეარტი". ეს სამფეროვანი (თეთრი, ნაცრისფერი და მწვანე) შენობა "ახმეტელის თეატრს" ეკუთვნის. იყო დრო, როცა აქაურობას მექანიკურად "გლდანის თეატრად" მოიხსენიებდნენ და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ანდღულაძე ზომაზე მეტად ღიზიანდებოდა. მაგრამ ეს მაშინ ხდებოდა, როცა ამ თეატრის არსებობა მხოლოდ გლდანელებმა და თეატრალებმა იცოდნენ. დღეს "გლადნის თეატრი" ისევე ჟღერს, როგორც "მარჯანიშვილის" ან "რუსთაველისა", როცა მინიშნება კეთდება არა თეატრის დამაარსებლებზე ან სტატუსზე, არამედ მათს ადგილმდებარეობაზე.

"გლდანის" და არა "ახმეტელის" თეატრი კომუნისტების დროს დაარსდა, მეტროდან უფრო მოშორებით მდებარეობდა და "კლასიკურ" სოფლის კლუბს უფრო მოგაგონებდათ, თუმცა ნორმალური სპექტაკლები დროდადრო მაინც იდგმებოდა. 80-იან წლებში თეატრისთვის ახალი შენობა გამოიყო - ისიც სოფლის კლუბის მსგავსი, ოღონდ - "პერესტროიკის" დროინდელი სოფლის. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ინჟინერი ან არქიტექტორი მაშინდელ და დღევანდელ შენობებს ერთი და იმავე ნაგებობად მიიჩნევს (და ეს ასეცაა), მკითხველს ვურჩევ, პარალელისთვის "ხრუშჩოვკა" წარმოიდგინოს, მაღალი ჭერით, მიშენებული ვერანდით და გადიდებული სათავსოებით. ფასადის შეცვლას სახელის გადარქმევაც მოჰყვა - მას "ალექსანდრე ახმეტელის სახელმწიფო დრამატული თეატრი" ეწოდა. იმ დროს ახმეტელის ხსენებაზე უკვე აღარავის ეშინოდა, უფრო საშიში განუკითხაობის ის წლები აღმოჩნდა, როცა აქაურობა ერთ დიდ ნაგავსაყრელად იქცა, ნაგავსაყრელი კი, მოგეხსენებათ, ისევე საჭიროა, როგორც სახინკლე ან სტომატოლოგიური კაბინეტი.

აკა მორჩილაძის "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" ამ თეატრის სავიზიტო ბარათად იქცა. 1999 წლიდან მოყოლებული დავით ანდღულაძის პერიფერიაში მუშაობას, პირველ ყოვლისა, რეპერტუარის გამრავალფეროვნება მოჰყვა და ქართველმა მაყურებელმა ჰაროლდ პინტერის "ღალატი" გლდანშიც მშვენივრად დააგემოვნა. მაგრამ, ორი სპექტაკლი დრამატული თეატრისათვის, დამეთანხმებით, ცოტაა, თუმცა მე ის დროც კარგად მახსოვს, სულ რაღაც სამი-ოთხი წლის წინათ, როცა ეს ორი სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა. იყო თავშეკავებული ქებაც და მსუბუქი სარკაზმით გაჯერებული შეფასებებიც, აშკარად კეთილი სურვილები და ნიშნისმოგებით ნაწინასწარმეტყველები კრახი, მაგრამ მაშინაც და დღესაც ბევრი თვლის, რომ ამ სცენაზე მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელს აქვს სპექტაკლების დადგმის უფლება. არადა, მე იმ რეჟისორის დასახელებაც არ გამიჭირდება, ვისი მოსვლაც აქ ეამებოდათ. ეს რეჟისორი მაინცადამაინც რობერტ სტურუა არ არის, თუმცა სამხატვრო ხელმძღვანელის კაბინეტში აღმოჩენილი სტურუა-ანდღულაძის ფოტო "ახმეტელის თეატრის" ფონზე ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ ყველაზე მეტად აქ მაინც სტურუას მოსვლა გაახარებდათ.

რატომ დადის ხალხი რუსთაველის თეტრში, გასაგებია. გარდა იმისა, რომ იქაურობა საეტაპო სპექტაკლებთან ასოცირდება, რაც თავისთავად წარმატებას გულისხმობს, თუნდაც ნოსტალგიური გრძნობების ხარჯზე, რუსთაველის თეატრი რუსთაველზე მდებარეობს და ნებისმიერ პრემიერაზე უცხოელი თუ ჩვენებური სტუმრების წყალობით ანშლაგი იმთავითვე გარანტირებულია. რატომ დადიან ახალგაზრდები "სარდაფის თეატრში" ან "თავისუფალ თაეტრში", ამის ახსნაც შეიძლება - იქ "ტუსოვკა" უფრო მიმზიდველია, ვიდრე სპექტაკლის ზოგჯერ მართლაც მაღალი დონე. რატომ აღარ ეტანებიან თეატრალური ხელოვნების მოყვარულები "კინომსახიობთა თეატრს", ამის დადგენასაც არ სჭირდება ტვინის ჭყლეტა - თუმანიშვილის სიკვდილის შემდეგ იქაურობა ხსოვნის საღამოებს დაემსგავსა. მაგრამ, რატომ დადის მაყურებელი გლდანში, ეს კითხვა ალბათ მარტო მე არ ამეკვიატა. აქვე დავძენ, ჩემი არ იყოს, ბევრს ისიც აინტერესებს, მარტო გლდანელები სტუმრობენ აქაურობას თუ პრესტიჟული რაიონებიდანაც ესწრებიან სპექტაკლებს? რაც შეეხება ახალგაზრდობას, ერთი ვიცი: დირექცია უნივერსიტეტების სტუდენტებს კონტრამარკით სარგებლობის შანსს აძლევს. ამდენად, თუ მაყურებლის ასაკობრივ დახარისხებაზე მიდგება საქმე, ჩათვალეთ, რომ დარბაზის უმეტესობას ახალგაზრდობა ავსებს. მაგრამ, ყველაზე გამაოგნებელი ჩემი თვალით ნანახი ყალბი ბილეთები იყო, რომელთა არსებობა ყველა ზემოთ დასმულ თუ დაუსმელ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა.

ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დათო ანდღულაძე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ "ახმეტელის" თეატრში არჩევანი "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებზე" შემთხვევით არ გაკეთებულა. თუ დავუშვებთ, რომ აკა მორჩილაძის ამავე სახელწოდებისა და მისი კიდევ ერთი გახმაურებული რომანის ("მოგზაურობა ყარაბახში") პოპურის წარმატება მწერლის პოპულარობამ განსაზღვრა, მაშინ ისიც უნდა დავძინოთ, რომ თავად მწერლის აღიარება თინეიჯერებისთვის საინტერესო თემების დამუშავებამ განაპირობა. მაგრამ ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო თანამედროვე ქართულ მწერლობაში, როცა ბესტსელერების ავტორი "პერსპექტიული ახალგაზრდის" ტიტულის გარეშე სერიოზულ ავტორად მიიჩნიეს. იგივე შეიძლება ითქვას "ახმეტელის თეატრის" პირველივე წარმატებულ პრემიერაზე, რომელსაც "პრაგონიც" არ დასჭირვებია რენომეს მოსაპოვებლად.

"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებს" მოჰყვა ჰაროლდ პინტერის "ღალატი", ისევ ანშლაგებით, სხვადასხვა ასაკისა და ინტელექტუალური გაქანების აუდიტორიით, "ცენტრიდან" მოსული ენთუზიასტებით და ნინო ბურდულის სახით თეატრში ანტერპრიზის (სხვა თეატრებიდან მოწვეული მსახიობების) დანერგვის აუცილებლობით. ცნობისათვის, წელს ამ სპექტაკლში ნინო ბურდულს ლილი ხურითი შეცვლის. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ პინტერის სასიყვარულო სამკუთხედი, - ცოლი, ქმარი და ოჯახის მეგობარი მამაკაცი, - საკმარისია იმისათვის, რომ მაყურებელი თეატრში მიიტყუო. მაგრამ, რა ვუყოთ პიესის გაცილებით რთულ ნიუანსებს, რაც აშკარად სცილდება ბანალური, ათასჯერ გადაღეჭილი სიუჟეტის ფარგლებს და მაყურებლისგან სხვა ემოციებს მოითხოვს? ან დიურენმატის "მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი" რომელი კატეგორიის სპექტაკლად მივიჩნიოთ? ეს პიესა თავის დროზე თუმანიშვილმა მარჯანიშვილის თეატრში დადგა, მაგრამ სოფიკო ჭიაურელისთვის ერთობ წარუმატებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება ნანა ფაჩუაშვილს, რომელიც ამ სპექტაკლში მთავარ როლზე მოიწვიეს, შეიძლება თავადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი საუკეთესო სასცენო სახე სადღაც შორს, გლდანის სცენაზე შეიქმნებოდა. და ბოლოს, "ზამთრის ღამის სიზმარი", ოტია იოსელიანის პიესის ("ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი") ერთგვარი რემიქსი, რეფრენად რომ გასდევს თავად დრამატურგის სიტყვები: "მაი არაა ჩემი პიესა". ეს მართლაც არ არის იოსელიანის პიესა, მაგრამ ეს ის სპექტაკლია, რომელმაც თანამედროვე ქართული დრამატურგია სოციალურად უფრო დამუხტა და ქალაქიდან გახიზნული ოტია იოსელიანის სატკივარმა თბილისის გარეუბნიდან ცენტრამდე ადვილად მოაღწია. რაზე შეაჩერებს ყურადღებას დავით ანდღულაძე ახლო მომავალში ან მოვლენ თუ არა ამ თეატრში სხვა რეჟისორები, ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სცენაზე აუცილებლად კარგი პიესები და, შესაბამისად, კარგი სპექტაკლები დაიდგმება, თუმცა ბატონი დათო მყარად იცავს მოსაზრებას, რომ თეატრს დრამატურგიის გარეშეც შეუძლია არსებობა.

მაგრამ, თეატრი პრემიერების, ფესტივალებისა და საქებარი რეცენზიების გარდა ჩვეულებრივი რუტინაცაა, სადაც ყოფითი პრობლემების გადაწყვეტას უამრავი დრო მიაქვს. როცა "ახმეტელის თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელად შვეიცარიიდან დაბრუნებული ანდღულაძე დაინიშნა, იგი იმ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, რაც ჩვეულებრივ ახალდანიშნულ ხელმძღვანელებს მოსვენებას უკარგავს: ან ახალი დასი უნდა დაეარსებინა, ან ძველი დაეტოვებინა. რეჟისორმა მეორე გზა აირჩია, ძველი დასი შეინარჩუნა და მასთან ერთად პროგრამა მინიმუმი განსაზღვრა: უნდა შექმნილიყო იმის პირობა, რომ თეატრში სპექტაკლების დადგმა შესაძლებელი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, აქაურობას დღესაც ბევრი აკლია - ფასადი თავიდანაა შესაღები; ფოიეს, რბილად რომ ვთქვათ, გარემონტება სჭირდება; აფიშებიც დასახვეწია; სახელდახელო ბუფეტიცა და ფოიეში გამოდგმული სკამებიც კომფორტულ ანტრაქტებს ნამდვილად ვერ შეგიქმნით... მაგრამ სამფეროვანი ფასადი, დღეს რომ საღებავის ნაკლებობაზე მიგვანიშნებს, საერთოდ არ იყო ასეთი და ის სიმბოლური შუქურაც, რომელიც აქ, გლდანში სუბკულტურის არსებობის ერთადერთ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ, შემთხვევით არ ნათდება მაინცდამაინც მწვანედ. ფოიეს რაც შეეხება, ისე იყო საგულდაგულოდ გაყოფილი მკვიდრად ნაშენები კედლით, ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ანტრაქტის დროს დარბაზში მყოფ ნაცნობს ვერანაირად ვერ შეხვდებოდი, თუ ისიც შენს ნახევარზე არ იჯდა. სამაგიეროდ, ახლა იმდენი სარკე კიდია, ერთი ნაცნობი შეიძლება ოთხად მოგეჩვენოს. 200 ადგილი დარბაზში, მოხერხებული სცენა, ზამთარში სითბო და მეტროსთან სიახლოვე ახლა ისეთივე კანონზომიერებაა, როგორც ადრე ამ ყველაფერზე ოცნება, ისიც მხოლოდ მოურჯულებელი ოპტიმისტებისთვის. 3 ლარად გაყიდული ბილეთებით სამეურნეო ხარჯების დაფარვა წარმოუდგენელია, ხელფასებიც, ტრადიციულად, გვიანდება, სპონსორებიც არ ჩანან, მაგრამ ყოველი სეზონის გახსნისთვის თეატრი ჩვეულებრივ ემზადება: ვიღაცას "სან სეტის" ოცდაათლარიანი წინდები სჭირდება, ვიღაც სცენას ეჩალიჩება, მდივანი ქალი თელასში რეკავს, დარაჯი ეზოში მზეს ეფიცხება, მსახიობები დროდადრო ყავას ითხოვენ, ერთმანეთს ელლაბუცებიან და დერეფნებში რეჟისორის ნერვიულ სიარულს შეჩვეულები რეპეტიციისთვის ემზადებიან.

დღევანდელი ახმეტელის თეატრის კედლებს არ ამშვენებს რამდენიმე თაობის მსახიობების პორტრეტები. იქნებ იმიტომაც, რომ ამ თეატრში საერთოდაც არ იციან, რას ნიშნავს თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. სამაგიეროდ, იციან, რომ შიგადაშიგ სხვა თეატრებიდან მსახიობების მოწვევა ისევე აუცილებელია, როგორც დეკორაციების შექმნა ან სპექტაკლის მუსიკალურად გაფორმება. გაგრძელება აღარ ღირს. მაგრამ მე მაინც გავრისკავ, წარსულიდან პირდაპირ მომავალში ვიმოგზაურებ და ანდღულაძის პროგრამა მაქსიმუმს მისივე რემარკების სახით გაგაცნობთ.

რემარკა პირველი: ზამთრის ბაღი, შესაძლოა მსხმოიარე ალუბლის ხეებით, რომელსაც გაყიდვა არ დაემუქრება. ეს ბაღი დღევანდელ თეატრს მომავალ საბავშვო თეატრთან დააკავშირებს და როგორც ყველა ორანჟერეა, ზამთრის სუსხს ბავშვებისა და ჩიტების ჟრიამულით გაათბობს (რაღაც ოსკარ უაილდის სტილში). რას გულისხმობს "საბავშვი თეატრში" ბატონი დათო, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ სცენას ლოლიტიზმის საფრთხე არ ემუქრება. მარტივად: სპექტაკლები დაიდგმება ბავშვებისთვის და არა ბავშვების მონაწილეობით.

რემარკა მეორე: დავით ანდღულაძე სტუდენტების ჯგუფის აყვანას აპირებს და მათგან ბევრს ალბათ გლდანში სიარული მოუწევს.

რემარკა მესამე: თეატრი არ არის იურიდიული პირი, რაც საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს წელიწადში ერთხელ აქაურობის დაწიოკების საშუალებას აძლევს. საბოლოოდ კი ყველაფერი იმით მთავრდება, რომ თანამშრომლებისთვის გამოყოფილი კვების ტალონები ყველაზე დიდ დარღვევად ითვლება. ტალონებს რაც შეეხება: თეატრის ერთ-ერთ ფლიგელში განთავსებულია კაფე "სამგროშიანი", რომელიც აქაურებს უფასოდ ემსახურება.

40-45-კაციანი დასი, ამდენივე მომსახურე პერსონალი, თეატრის დირექტორი (მარსელ კაპანაძე), სამხატვრო ხელმძღვანელი (დავით ანდღულაძე) და მთავარი მხატვარი (აივენგო ჭელიძე) არჩევნების წინ, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერს არ ელოდნენ. მაგრამ, მე ერთი მარტივი კითხვა გამიჩნდა იმ პატივცემული პოლიტიკოსების მისამართით, ვინც 2 ნოემბრის არჩევბზე დიდ იმედებს ამყარებდნენ: იქნებ აქაურებისთვის გეკითხათ მაინც, რას ნიშნავს, ცხოვრობდე პერიფერიაში და საშუალება გქონდეს, ყოველ შაბათკვირას აქვე, ტრანსპორტზე ფულის დაუხარჯავად მოსწყდე ყოველდღიურობას? და თუ აქაურებთან ამ თემაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგაჩნიათ, შინ დაბრუნებულებს ნაცნობ-მეგობრებში გაგეკითხათ, რა იციან გლდანის თეატრის შესახებ? დარწმუნებული ვარ, პასუხი არ დააყოვნებს.

■ ■ ■

"ახმეტელის თეატრი", ბოლო გაჩერება. გთხოვთ, გაათავისუფლოთ ვაგონები, ცოტა ხნით დაივიწყოთ პრობლემები და თაეტრში მიბრძანდეთ, თუ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ დარჩა თავისუფალი ადგილები.

მეგობრების ვიწრო წრეში

ბორის გრებენშიკოვის 50 წლისთავი "სახლში"

გუშინ მაჩაბელზე შეკრებილ ახალგაზრდებს "სახლის" სიმყუდროვე არ დაურღვევიათ. სახლში მთელი საღამო ისმოდა მუსიკა, მეგობართა ერთი ჯგუფი სვამდა, საუბრობდა "აკვარიუმზე" და, რასაკვირველია, რევოლუციისშემდგომ საქართველოზე...

ვერა ნეფარიძე

ასე შინაურულად გადაწყვიტა ახალგაზრდების ჯგუფმა აღენიშნა ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი თუ მოვლენა. მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე ბარი-გალერეა "სახლის" ათვისება რადიო "106"-ის ცნობილ წამყვანსა და მუსიკოსს, დი-ჯეი ჟორას (იგივე დავით ეული) ინიციატივა იყო. "დღეს არის გრებენშიკოვის იუბილე, 50 წლის შესრულდა ეს მშვენიერი მუსიკოსი, პოეტი, ფილოსოფოსი და საერთოდ, ადამიანი, რომელთანაც მე და ჩემს მეგობრებს გარკვეული სიახლოვე გვაქვს, გარდა იმისა, რომ ვუსმენთ. თან კიდევ, ბოლო დროს რაღაც ცვლილებები მოხდა ქვეყანაში, რომელსაც მეგობრები ცალ-ცალკე შევხვდით. მე რაღაცნაირად ეს ყველაფერი გავაერთიანე და დღევანდელი დღე რაღაც ურთიერთობას და ერთიანობას მივუძღვენი", - გვითხრა გუშინდელი მუსიკალური პროგრამის წამყვანმა და საღამოს ინიციატორმა დავით ეულმა.

შეკრების იდეამ ოდნავი ცვლილება განიცადა. თავიდან ჟორას ჩანაფიქრი იყო "სახლში" მიეწვია ის მუსიკოსები, რომლებიც ბორის გრებენშიკოვის რეპერტუარს შეასრულებდნენ. მაგრამ, როგორც იდეის ავტორმა გვითხრა, ამაში რაღაც საეჭვო შენიშნა და გადაწყდა, საღამოს სპონტანური სახე ჰქონოდა. საბოლოოდ გუშინდელი სასიამოვნო შეკრება დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა, რომელთაც ცალ-ცალკე გადაიტანეს "ვარდების რევოლუცია", ერთობას მიუძღვნეს. "ერთობას, რომელსაც თავის თავში "აკვარიუმი" და მისი ლიდერი უზომოდ შეიცავს", - აგვიხსნა ჟორამ. სიმბოლურია შეკრების ადგილიც – ბარი-გალერეა, რომელმაც არცთუ ხანგრძლივი (სულ რამდენიმე თვისაა) არსებობის მიუხედავად, თბილისელთა გარკვეული წრის სიმპათიები მოიპოვა. "ეს არის სახლი – თბილი, მყუდრო და სასიამოვნო", - ჟორას შეფასების სამართლიანობაში გუშინ "სახლში" გატარებული სულ რამდენიმე წუთის შემდეგ დავრწმუნდი.

იმის მიუხედავად, რომ საღამოს ორგანიზატორმა გუშინდელი შეკრება მეგობრების ვიწრო წრეზე "გათვალა", "სახლის" კარი ღია იყო ნებისმიერი მელომანისთვის. განსაკუთრებით კი, რასაკვირველია, "აკვარიუმისა" და მისი ლეგენდარული ლიდერის, ბორის გრებენშიკოვის მოყვარულებისთვის. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ზომიერი გამოვიდა – აუდიტორიაც, სასმელიც, თავად "აკვარიუმის" რეპერტუარიც (რომელიც, ძირითადად, საღამოს ცოცხალი მუსიკალური ნაწილის დაწყებამდე ჟღერდა გამაძლიერებლებში) და ცოცხალ შემსრულებელთა რაოდენობაც. ეს იყო, ალბათ, ავტორიტეტული მუსიკოსის მოკრძალებული დაფასება იმ ადამიანების მხრიდან, ვინც მის შემოქმედებაზე გაიზარდა. "მე არ გავურბივარ იმ აზრს, რომ ვინმე მუსიკოსი ჩემს შემოქმედებაზე ზემოქმედებას ახდენს გარკვეულწილად. ეს ის ჯგუფია და ის ადამიანი ("აკვარიუმი" და ბორის გრებენშიკოვი – ვ.ნ.), რომელსაც დიდი ხანია, ვუსმენ", - არ დაუმალავს დავით ეულს, რომლის გუშინ შესრულებული საკუთარი რეპერტუარიც ამ ნათქვამს ისედაც ადასტურებდა.

დათო ეული და გრებენშიკოვის ფანები საღამოზე.

რაც შეეხება გუშინდელი შეკრების მონაწილეებს, იმის გარდა, რომ მათი ძირითადი ნაწილი დავით-ეულის მეგობრები იყვნენ, უმრავლესობა ფართო საზოგადოებისთვისაც კარგად ნაცნობია. თბილისში გრებენშიკოვის 50 წლისთავის იუბილეს "სახლში" აღნიშნავდნენ მწერლები – ბესო ხვედელიძე და დათო ქართველიშვილი; მუსიკოსებიდან კი აქ ჟორას გარდა, გიგა მიქაბერიძე და გიორგი გვარჯალაძე მოვიდნენ.

იმ დროს კი, როდესაც თბილისის ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე, სასიამოვნო გარემოში გრებენშიკოვს პატივს მიაგებდნენ, თავად მუსიკოსი საკუთარ იუბილეს არცთუ მოკრძალებულად აღნიშნავდა. თუმცა, ძნელია საუბარი თავმდაბლობაზე, როდესაც ნახევარი საუკუნის, ავტორიტეტული და მოქმედი მუსიკოსი ხარ; მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყნის პირველი პირი მუსიკის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის მეოთხე ხარისხის ორდენით დაგაჯილდოებს. ალბათ, ამიტომაც, გუშინ ბორის გრებენშიკოვმა იუბილე მშობლიურ ქალაქში ორ ნაწილად აღნიშნა; თაყვანისმცემლებმა მუსიკოსს საკონცერტო დარბაზში Октябрьский-ში მოუსმინეს; იუბილეს მეორე, საკმაოდ ოფიციალური ნაწილი კი სამთავრობო რეზიდენციაში "კა 2"-ში გაიმართა (ღონისძიებას მუსიკოსის მეგობარ-კოლეგებთან ერთად ადგილობრივი მმართველებიც ესწრებოდნენ).

ნინო I

ერთი ნახვით შეყვარებული ლოთარ მათეუსი

ბედნიერი წყვილი – ლოთარი და მარიანა.

კარგა ხანია, რაც ეს სკანდალურად ცნობილი კაცი ბულვარული გაზეთების პირველ გვერდზე აღარ მოხვედრილა. უკან დარჩა მშფოთვარე ცხოვრება, ხმაურიანი სასიყვარულო თავგადასავლები და ემოციური ახსნა-განმარტებები. ლოთარ მათეუსი ასაკში შევიდა, დაბრძენდა და სრულიად გამოიცვალა. გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" ერთ დროს კაშკაშა ვარსკვლავი საერთოდ წავიდა გერმანიიდან. ჯერ ვენის "რაპიდს" წვრთნიდა, მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, სერბიას მიაშურა და ბელგრადის "პარტიზანს" ჩაუდგა სათავეში. პირადი ბედნირებაც იქვე იპოვა. როცა გაოცებული გერმანელი ჟურნალისტები მოურიდებლად ეკითხებოდნენ, ნუთუ ასე მოგწონს ეს სანახევროდ დანგრეული ბელგრადიო, მათეუსი გულწრფელად პასუხობდა, ზოგჯერ ისეთ სტადიონზე გვიწევს თამაში, სადაც გერმანული გუნდები არც კი იკადრებდნენ გასვლას, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომ აქ პატივს მცემენო. სერბებმა, მართლაც, დიდი პატივი სცეს გერმანელ ვარსკვლავს - არა მარტო შესანიშნავი სამუშაო პირობები შეუქმნეს, არამედ ცხოვრების თანამგზავრიც აპოვნინეს. დიახ, ბატონებო, ლოთარ მათეუსი მესამედ აპირებს დაქორწინებას და საერთოდ არ ედარდება, რომ უკვე ორჯერ მოასწრო განქორწინება...

ლოთარი და მისი ქალები

მათეუსი ვერასოდეს ძლებდა ქალების გარეშე, ერთი ურთიერთობის დასრულებისთანავე მეორეს იწყებდა. 1981 წელს პირველად დაქორწინდა. მისი მეუღლე, სილვია, ერთადერთი ქალი აღმოჩნდა, რომლის გვერდითაც მათეუსმა სარეკორდო დრო -თერთმეტი წელი გაატარა. მათ სამი შვილი შეეძინათ. 1992 წელს ისინი ერთმანეთს დაცილდნენ. მეორედ მათეუსმა შავთმიანი ლოლოტა მორენა აირჩია მეუღლედ, მაგრამ ვერც მათმა ქორწინებამ გაძლო დიდხანს. 1999 წელს "ბაიერნის" ვარსკვლავი კიდევ ერთხელ წარდგა სასამართლოს წინაშე და განქორწინება მოითხოვა. ამის შემდეგ მათეუსს ქორწინებაზე აღარ უფიქრია. ალბათ, მესამე კრახის ეშინოდა, თორემ რა უშლიდა ხელს, საოცრად მომხიბვლელი მარენ მიულერ-ვოლფარტი საკურთხეველთან მიეყვანა. მარენი "ბაიერნის" ექიმის, ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის ქალიშვილია. მათეუსი მას ჯერ კიდევ მაშინ იცნობდა, როცა ის სულ პატარა გოგონა იყო. დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი ძალიან კარგად უგებდნენ ერთმანეთს. მათი სასიყვარულო ისტორია ორ წელიწადს გრძელდებოდა, მერე კი ყველაფერი წარსულის საკუთრებად იქცა. მარენმა ცოტა იდარდა, მაგრამ მალე იპოვა ახალი მეგობარი, რომელთან იქორწინა კიდეც და გოგონაც შეეძინა. მათეუსმა კი ეგზოტიკურ მოდელ ჟანინასთან ინუგეშა თავი. ჟანინას შემდეგ იყო თარჯიმანი ულრიკე კლეგერი, რომელთანაც მათეუსმა მხოლოდ სამი თვე გაძლო. მერე ულრიკემ "პლეიბოისთვის" მოისურვა პოზირება, რამაც ლოთარის უკმაყოფილება გამოიწვია და ეს ამბავიც ამით დასრულდა. 2002 წლის შემოდგომაზე მათეუსი ვენაში მიიწვიეს "რაპიდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. დეკემბერში მთელი ავსტრია და გერმანია ალაპარაკდა ლოთარის ახალ ავანტიურაზე ჩვიდმეტი წლის გოგონასთან. მუსიკალური სკოლის მოსწავლემ ჯულია კოჩერგამ მათეუსს თავისი ასაკი დაუმალა. ოცი წლის ვარო, - უთხრა და ლოთარმაც დაუჯერა. პატარა გოგონას ისე ძალიან უნდოდა ვარსკვლავთან ურთიერთობა, რომ ტყუილსაც არ მოერიდა. მათეუსმა მხოლოდ მაშინ გაიგო სიმართლე, როცა პრესამ ერთი ამბავი ატეხა, მათეუსი თინეიჯერების "შებმაზე" გადავიდაო. გაბრაზებულმა მათეუსმა მაშინვე გაწყვიტა ურთიერთობა ჯულიასთან და მალე საერთოდ წავიდა ვენიდან. ბელგრადის "პარტიზანი" ჩაიბარა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ არავინ იცოდა, რომ მოუსვენარი გერმანელი ბელგრადში თავისი ოცნების ქალს იპოვიდა.

ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება

მარიანა კოსტიჩი მათეუსმა ბელგრადის ერთ-ერთ რესტორანში გაიცნო. ახალგაზრდა ქალი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მათეუსმა ცთუნებას ვერ გაუძლო და თითქმის უცნობ მარიანას ტელეფონის ნომერი სთხოვა. მერე ყველაფერი საოცრად სწრაფად მოხდა. გაცნობიდან ოთხიოდე თვის შემდეგ მათეუსმა განაცხადა, რომ ის და მარიანა დაქორწინებას აპირებდნენ. "ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი. მე ის პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა. მარიანა არასოდეს მინახავს მოწყენილი. ის მუდამ მხიარული და აქტიურია. მას ჩემთვის სიხარული და ბედნიერება მოაქვს", - ამბობს მათეუსი.

მაინც ვინ არის მათეუსის ახალი სატრფო? 32 წლის მარიანა კოსტიჩი წარმოშობით ნოვი სადიდანაა. ეს ქალაქი ერთი საათის სავალზეა ბელგრადიდან. პირველი ქორწინებიდან მარიანას სამი შვილი ჰყავს - ორი გოგონა და ერთი ბიჭი. უფროსი ცამეტი წლისაა, უმცროსი - ექვსის. ქერათმიანი მარიანა ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული ქალბატონია. ის ბუდაპეშტის ერთ-ერთ მოდის სალონში მუშაობს და შვილებთან ერთად ამავე ქალაქში ცხოვრობს. ნოვი სადში მხოლოდ მშობლების სანახავად ჩადიოდა ხოლმე, ლოთარის გაცნობის დღიდან კი მის დღის წესრიგში ბელგრადის მონახულებაც შევიდა.

მათეუსი სერიოზულადაა შეყვარებული და დარწმუნებულია, რომ მარიანა მისი ოცნების ქალია. "ასეთ სიყვარულზე მხოლოდ ოცნება შემეძლო. მარიანა მომხიბვლელი, ჭკვიანი, განათლებული ქალია, ოთხ ენას ფლობს. ჩვენ ინგლისურად ველაპარაკებით ერთმანეთს. ბელგრადში მხოლოდ ვიწრო წრეში აღვნიშნავთ დაქორწინებას. დიდი ქორწილი მიუნხენში გვექნება", - ამბობს მათეუსი.

ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებთ, აპირებენ თუ არა მარიანა და ლოთარი შვილების ყოლას, რაზეც მათეუსს გულიანად ეცინება. "ბავშვი? ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ჩვენ, ორივეს ერთად, ექვსი შვილი გვყავს. მე კარგად ვიცნობ მარიანას ბავშვებს, მანაც გაიცნო ჩემი შვილები. მიუნხენში იმხელა სახლი მაქვს, რომ იქ ყველასთვის მოიძებნება ადგილი. თავისუფლად შეგვიძლია, ყველამ ერთად ვიცხოვროთ", - ამბობს მათეუსი.

მათეუსი, მართლაც, ბედნიერი ჩანს. გერმანიაში კი მის ახალ გატაცებას, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებენ და ცდილობენ, გამოთვალონ, დაახლოებით რამდენ ხანში დაშორდება "ბაიერნის" ექს-ვარსკვლავი თავის სერბ სატრფოს.

ფეხბურთი

ანრის შანსი აქვს, საუკეთესო გახდეს

ფიფამ ეროვნული ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები გამოკითხა და დაასახელა ის სამეული, რომელთაც წლეულს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მიღების შანსი აქვთ. ამ ტიტულის მოპოვების შანსი აქვთ მის არაერთგზის მფლობელებს რონალდოსა და ზიდანს, აგრეთვე, ლონდონის "არსენალის" ფორვარდს ტიერი ანრის.

პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი 15 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დასახელდება. იქვე გაიმართება ლაურეატის დაჯილდოების ცერემონიალი. ფრანგი ტიერი ანრის გამოჩენა საუკეთესო სამეულში დიდი წარმატება და ასევე დებიუტია ლონდონის "არსენალის" უაღრესად ნიჭიერი ფორვარდისთვის. თუმცა, ჯილდოს მიღება უცხო არ იქნება მისთვის, ისევე, როგორც მისი მეტოქეებისთვის – რონალდოსა და ზინედინ ზიდანისთვის. ტიერი ანრის თავის დროზე არაერთი სერიოზული გამარჯვება მოუპოვებია. ის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია.

ახლახან კი "არსენალის" ფრანგი თავდამსხმელი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ვერსიით სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ანრიმ, ბევრისთვის მოულოდნელად, გამოკითხვის მიხედვით უკან ჩამოიტოვა ამ ტიტულის შარშანდელი მფლობელი და ინგლისური პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი, ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი.

"ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან კოლეგებმა დამასახელეს. მათ კარგად იციან ჩემი ღირსებებიც და ნაკლიც. როგორც ჩანს, მე მაქვს ისეთი რაღაც, რაც სხვას არ გააჩნია. ამიტომაც გავიმარჯვე", – განაცხადა ანრიმ.

ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ, თუ ანრის უპირატესობა კოლეგებმა აღიარეს, რატომ არ შეიძლება მწვრთნელებმაც იგივე გაიმეორონ? მით უფრო, რომ ზიდანსა და რონალდოს ამ ნომინაციაში მთავარი ჯილდო არაერთხელ დაუმსახურებიათ. კერძოდ, შარშან რონალდომ გაიმარჯვა. 2002 წლის 17 დეკემბერს, მადრიდში, ის ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მან 387 ხმით აჯობა მიუნხენის "ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანს (171) და ზინედინ ზიდანს (148).

მსოფლიოს "მოქმედი" საუკეთესო ფეხბურთელი რონალდოა.

უფრო ადრე კი (2000 წელს) ამ ნომინაციაში საუკეთესო იყო ტურინის "იუვენტუსის" გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი. მეორე მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ იყო, მესამე კი - რივალდო, რომელიც მაშინ ესპანური "ბარსელონას" ღირსებას იცავდა. ზიდანმა 370 ხმა მიიღო. 329 ხმა მოაგროვა ფიგუმ, ხოლო რივალდომ - 263.

გამოკითხვაში, ტრადიციულად, ეროვნული ნაკრებების 150 მწვრთნელი მონაწილეობდა. პირველი ადგილისთვის ფეხბურთელი 5 ქულას იღებდა, მეორისთვის – 3, ხოლო მესამისთვის – 1. წლეულს შეფასების სისტემა არ შეიცვლება, მაგრამ მწვრთნელთა რაოდენობა 142-მდე შემცირდება.

2000 წელს ზიდანი მეორე ფეხბურთელი გახდა. მან მეორედ მოიგო საუკეთესოს ტიტული (პირველად ეს 1998 წელს მოხდა) და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა რონალდოს, რომელიც 1996-1997 წლებში იყო საუკეთესო. თუმცა, "კიჟამ" 2002 წელს ჰეთ-თრიკი შეასრულა - ის გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ეს ტიტული მესამედ მოიგო.

წლეულს სამივე პრეტენდენტს სერიოზული სტიმული აქვს, საპატიო ჯილდო მოიგოს. რონალდოს შეუძლია, კიდევ ერთი რეკორდი დაამყაროს და უფრო მეტად გაემიჯნოს უახლოეს მდევარს. ზიდანს შეუძლია, გაიმეოროს რონალდოს მიღწევა და დაეწიოს ბრაზილიელ კოლეგა-მეტოქეს. ანრის კი შეუძლია, პირველად გახდეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

კახა კალაძის თანაგუნდელი ანდრეი შევჩენკო, რომელიც მანამდე გამოკითხვაში ლამის უმთავრეს პრეტენდენტად მიიჩნეოდა, სამეულში ვერ მოხვდა. "მილანის" ფორვარდს ისღა დარჩენია, იმედი იქონიოს, რომ გაიმარჯვებს "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში, რომელიც თითქმის იმავე დროს ჩატარდება. თუმცა, ფრანგული გამოცემა მხოლოდ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს გამოავლენს.

ფიფამ არ დაივიწყა სუსტი სქესის წარმომადგენლებიც. პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში სამეული ასე გაოიყურება: მია ჰემი (აშშ), ჰანა იუნგბერგი (შვედეთი) და ბრიგიტ პრინცი (გერმანია). შარშან გაიმარჯვა ამერიკელმა მია ჰემმა (161). მეორე ადგილზე გავიდა პრინცი (96), ხოლო მესამეზე - ჩინელი ვენ სანი (58).

თურქეთში ფეხბურთი აღარ არის

თურქეთში საერთაშორისო მასშტაბის თამაშები წლის ბოლომდე აღარ გაიმართება. ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც სტამბულში ტერაქტების სერიას უკავშირდება, უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, აიძულოს ადგილობრივი გუნდები, საერთაშორისო თამაშები ნეიტრალურ მინდორზე გამართონ. ამრიგად, "გალათასარაი" – "იუვენტუსისა" და "ბეშიქთაში" – "ჩელსის" შორის ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურის მატჩები ნეიტრალურ მინდორზე გაიმართება. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ კონკრეტულად რომელ ქვეყანაში ჩატარდება ეს შეხვედრები.

საგარეო პოლიტიკური პრობლემები ევროპული ფეხბურთის ნამდვილ აქილევსის ქუსლად იქცა. ისრაელის დარად, სადაც, ტერორისტული აქტების მოწყობის შიშით, ამ ქვეყნის კლუბები, უკვე კარგა ხანია, საკუთარ ქვეყანაში თამაშს ველარ ახერხებენ, შავ სიაში მოხვდა თურქეთიც, სადაც ამას წინათ ტერორისტული აქტების სერიას ათობით ადამიანი ემსხვერპლა. გუშინ უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, თურქულ კლუბებს საერთაშორისო თამაშების სამშობლოში გამართვა მომავალ წლამდე აუკრძალოს.

უეფას მხრიდან ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება გამოიწვია ახალი ტერორისტული აქტების შიშმა, რომელსაც შეიძლება ფეხბურთელთა სიცოცხლე შეეწიროს. ამას გარდა, ადგილობრივი სპეცსამსახურების ინფორმაციით, ალბათობა იმისა, რომ ტერორისტული აქტები მომავალშიც განხორციელდება, ჯერჯერობით საკმაოდ მაღალია.

შეგახსენებთ, რომ გასულ სამშაბათს სტამბულში უნდა გამართულიყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის მატჩი "გალათასარაისა" და ტურინის "იუვენტუსს" შორის. თუმცა, სტამბულში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე შეხვედრა ერთი კვირით გადაიდო. ამას გარდა, გადაიდო მატჩი იზმირში, სადაც უეფას თასის მეორე ეტაპის განმეორებით შეხვედრაში ნეიტრალურ მინდორზე ჰაიფას "მაკაბი" ესპანეთის "ვალენსიას" უნდა დაპირისპირებოდა.

საინტერესოა, რომ ორი კვირის შემდეგ თურქეთში ვიზიტს აპირებდა ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი, რომლის გუნდსაც სტამბულში "ბეშიქთაში" ელოდა, მაგრამ ინგლისელებმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ სასტიკი უარი განაცხადეს თურქეთში ჩასვლაზე, სადაც ბოლო დროს ტერორისტული აქტები თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა.

ამასთან დაკავშირებით უეფამ თურქული კლუბების ხელმძღვანელობას შესთავაზა, უახლოეს დღეებში მოძებნონ სასურველი ადგილი საერთაშორისო მატჩების გასამართად და აუცილებლად თურქეთის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება ისრაელის "მაკაბის", კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე შეატყობინა ევროკავშირს იმის თაობაზე, რომ "ვალენსიასთან" მატჩი ჰოლანდიაში ან ინგლისში გაიმართება.

"გალათასარაისა" და "ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობა კი ფეხს ითრევს. უეფას ამ კლუბებისგან ჯერჯერობით არავითარი შეტყობინება არ მიუღია. თუმცა, დიდი შანსია, რომ თურქულმა გუნდებმა თამაშები უახლოესი მეზობლების სტადიონებზე, მაგალითად, რუმინეთის ან ბულგარეთის ტერიტორიაზე ჩაატარონ. ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: თურქები არავითარ შემთხვევაში არ ითამაშებენ საბერძნეთში, რომელთანაც ბოლო დროს, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ.

აბრამოვიჩს ბალაკი მოუნდა

მიხაელ ბალაკი უკანასკნელი წლების გერმანული ფეხბურთის ყველაზე დიდი ვარსკვლავია. ლევერკუზენის "ბაიერიდან" მიუნხენის "ბაიერნში" ბალაკის გადასვლას დიდი ხმაური მოყვა. ეს 2002 წელს მოხდა. ბალაკმა სრულად გაამართლა მოლოდინი. "ბაიერნის" ხელმძღვანელობა მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა თავისი ახალი შენაძენით და გუნდის უწინდელ ლიდერთან, შტეფან ეფენბერგთან განშორებაც უფრო უმტკივნეულო გახდა. შეძლო კი ბალაკმა ეფენბერგის შეცვლა? – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დროა საჭირო. ბალაკი ჯერ 27 წლისაა და წინ კიდევ ბევრი დრო აქვს იმისთვის, რომ "ბაიერნის" ისტორიაში შევიდეს. მაგრამ დარჩება კი ბალაკი "ბაიერნში"?

უკანასკნელ ხანს კლუბის მენეჯერმა ჰიონესმა ბალაკის კრიტიკას მოუხშირა. ბოლოს კი ისიც თქვა, ბალაკს სირბილი არ შეუძლიაო. მენეჯრის ეს კრიტიკა არც ფეხბურთელმა დატოვა უპასუხოდ და ჰიონესის სიტყვებს "სისულელე" უწოდა. ამას მოჰყვა "ბაიერნის" გამგზავრება გლაზგოში. ჩემპიონთა ლიგის სამი დღის წინანდელ მატჩში "სელტიკსა" და "ბაიერნს" შორის მწვრთნელმა ჰიტცფელდმა ბალაკი კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და მატჩის შემდეგ აქებდა კიდეც, მაგრამ თავად ბალაკი არცთუ ისე კმაყოფილი ჩანდა. "ვნახოთ, რა

წავა, თუ დარჩება "ბაიერნში" ბალაკი?

იქნება", - სულ ეს იყო, რაც მან გლაზგოში ჟურნალისტებს უთხრა. რას გულისხმობდა ბალაკი? "ბაიერნის" ასპარეზობას ჩემპიონთა ლიგაში?

უცნობია, ჰქონდა თუ არა ბალაკს მაშინ ეს ინფორმაცია, რომელიც გუშინ ბომბივით გასკდა: ბალაკის შეძენა აბრამოვიჩს სურს.

ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, აბრამოვიჩი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე დაიწყებს ბალაკთან მოლაპარაკებებს. რუსმა მილიარდერმა არაერთი ვარსკვლავის შეძენა სცადა და ბევრჯერ ხელიც მოეცარა. მას რაულისა და ანრის ყიდვა უნდოდა, მაგრამ მცდელობა ამაო აღმოჩნდა. მაშ, როგორ უნდა მოახერხოს ბალაკის გადაბირება? ის ხომ "ბაიერნის" საუკეთესო ფეხბურთელია. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას მიუნხენელები შეელიონ.

თუმცა, არის ერთი "მაგრამ". მიუნხენელთა ეს საუკეთესო ფეხბურთელი მეტისმეტად უკმაყოფილოა "ბაიერნით", რაულისა და ანრისგან განსხვავებით, რომელთაც უაღრესად დიდ პატივს სცემენ მათი კლუბების ხელმძღვანელები. არის კიდევ ერთი განსხვავება: "ბაიერნს" არა აქვს ისეთი ფინანსური შესაძლებლობები, როგორიც "რეალს" ან "არსენალს". ყველამ კარგად იცის, რომ მიუნხენელები თითქმის არასოდეს ყოფილან მრავალმილიონიანი ტრანსფერის ავტორები. არ ვიცით, თუ როგორ მოიქცევა "ბაიერნი" იმ შემთხვევაში, თუ მათი ფეხბურთელის სანაცვლოდ ვინმე დიდ ფულს შესთავაზებს. არ ვიცით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ წლებში აბრამოვიჩის ან ფლორენტინო პერესის მსგავსი მილიონერი მათი არც ერთი ფეხბურთელით არ დაინტერესებულა *(თუ არ ჩავთვლით არცთუ დიდ ინტერესს ოლივერ კანის მიმართ)*.

სწორედ ამ მიზეზების გამო ძნელია, რაიმე პროგნოზი გააკეთო. არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ბალაკი უეჭველად "ჩელსიში" წავა და ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ ბალაკი არ გაიყიდება...

ინფოთეკა

ფეხბურთი. "ურალანში" განათხოვრებული, ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე თავის უწინდელ კლუბს, მოსკოვის "სპარტაკს" უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის მიხედვით, აბრამიძე მთელი ამ დროის განმავლობაში "სპარტაკის" კუთვნილება იყო. ამჟამად უცნობია, დარჩება ეს ფეხბურთელი "სპარტაკში" თუ მას ისევ განათხოვრებენ. "სპარტაკის" ახალმა მწვრთნელმა, იტალიელმა ნევიო სკალამ უკვე ხაზგასმით განაცხადა, რომ აქცენტს რუს ფეხბურთელებზე გააკეთებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლუიშ ფიგუმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კარიერის დასრულება პორტუგალიაში, კერძოდ კი ლისაბონის "სპორტინგში" სურს. მადრიდის "რეალთან" მისი ამჟამინდელი კონტრაქტი 2005 წლამდეა ვადაში და ამ ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ ის "სპორტინგში" გეგმავს დაბრუნებას. სწორედ სპორტინგში დაიწყო ფიგუს კარიერა. ამ კლუბში ის 1995 წლამდე, "ბარსელონაში" გადასვლამდე თამაშობდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებს ფორმულა 1-ის გერმანელი პილოტი, მიხაელ შუმახერი. ღონისძიების ორგანიზატორების ეს გადაწყვეტილება იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ შუმახერი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და თავადაც კარგად თამაშობს. კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს პოპ-ვარსკვლავი სტინგიც. ცერემონიალი 5 დეკემბერს, გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში შედგება.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ კლუბი მომავალშიც განაგრძობს სუპერ-ვარსკვლავების შეძენის პოლიტიკას და რომ მომავალ წელს "რეალი" კიდევ ერთი ძვირფასი ფეხბურთელით გამდიდრდება. ჟურნალისტების დაინტერესების მიუხედავად, პერესმა არ დაასახელა მომავალი შენაძენის ვინაობა, თუმცა იქვე გამორიცხა, რომ ეს შეიძლება რონალდინიო ყოფილიყო. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, მადრიდელები მაიკლ ოუენის შეძენის სურვილს გამოთქვამდნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ ბრიტანეთის დედოფალმა დევიდ ბექჰემს ერთ-ერთი უძვირფასესი ჯილდო, ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადასცა. "შესანიშნავია, როდესაც გაჯილდოებენ იმისთვის, რომ ფეხბურთს თამაშობ, იმ საქმისთვის, რომელიც მე ძალიან მიყვარს", - განაცხადა ბექჰემმა, რომელიც დაჯილდოების ცერემონიალზე მეუღლე ვიქტორიასთან ერთად მივიდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. რომან აბრამოვიჩი მოსკოვის "ცსკ"-ას დახმარებას ცდილობს. ლონდონის "ჩელსის" მეპატრონე ბრაზილიური "ინტერნასიონალის" ფეხბურთელის, ნილმარის შეძენას გეგმავს. ეს მოთამაშე ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა და აბრამოვიჩს მის სანაცვლოდ 5,4 მილიონი ფუნტის გაღება მოუწევს. თუმცა, პირველ ხანებში ნილმარი "ჩელსიში" არ ითამაშებს. აბრამოვიჩი მას ერთი წლით "ცსკ"-ში განათხოვრებას უპირებს. შეგახსენებთ, რომ რუს მილიარდერს მოსკოვური კლუბისათვის ჯო კოულის "თხოვებაც" სურდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა რუსეთში თამაშზე.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "არსენალის" ფრანგმა თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ იტალიაში დაბრუნებას აღარასოდეს აპირებს. შეგახსენებთ, რომ ანრი ადრე ტურინის "იუვენტუსში" თამაშობდა. იტალიური კლუბები ახლაც იჩენენ მისდამი დიდ ინტერესს, თუმცა, ფეხბურთელის თქმით, ის არასოდეს აღარ ითამაშებს იტალიურ კლუბში. ანრიმ განაცხადა, რომ საკუთარ მომავალს მხოლოდ და მხოლოდ "არსენალში" ხედავს.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანული "შტუტგარტის" ახალგაზრდა ვარსკვლავით, კევინ კურანით უამრავი ევროპული კლუბია დაინტერესებული, თავად ფეხბურთელსაც უფრო სახელოვან კლუბში სურდა თამაში. თუმცა, ამჟამად ისეთი პირი უჩანს, რომ კურანი "შტუტგარტთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. მისმა თანაგუნდელებმა, ჰინკელმა და ჰილდებრანდმა უკვე გააგრძელეს თავიანთი კონტრაქტები და კურანისაც იგივეს ურჩევენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანური "სელტას" რუსი ნახევარმცველი, ულესისა და რუსეთის უკანასკნელი მატჩის შემდეგ დაგვიანებით დაუბრუნდა თავის კლუბს. ამის გამო "სელტას" გულშემატკივრები გაბრაზდნენ და მოსტოვოის განუწყვეტლივ უსტვენდნენ. "სელტას" პრეზიდენტი ორასიო გომესი თავისი ფეხბურთელის დაცვას შეეცადა. "ვფიქრობ, უსამართლოა, რომ ჩვენი გულშემატკივარი მოსტოვოის უსტვენდა. მან ხომ უამრავი კარგი რამ გააკეთა კლუბისთვის უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. მოსტოვოი ძალიან ნაწყენია, მაგრამ, ვფიქრობ, მომავალში ასეთი რამ აღარ მოხდება, რადგან ის კარგი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, მოსტოვოი კიდევ ბევრ გამარჯვებას მოგვიტანს", - განაცხადა გომესმა.

ინფოთეკა

ფორმულა 1. ესპანეთში, ხერესში "უილიამსის" სადეკემბრო ტესტებში მონაწილეობას მიიღებენ 18 წლის ნიკო როსბერგი და ნელსონ პიკე-უმცროსი. ერთიც და მეორეც წარსულში ცნობილ მეფორმულეების კეკე როსბერგისა და ნელსონ პიკეს შვილები არიან. მამებს კი, მოგეხსენებათ, 1980-იან წლებში ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონობა მოუპოვებიათ.

"უილიამსის" ოფიციალური განცხადების მეშვეობით ვიტყობთ, რომ პიკე-უმცროსი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ნელსინიო, ბოლიდის ტესტირებას 2 და 4 დეკემბერს შეუდგება. რაც შეეხება ნიკო როსბერგს, იგი საჭეს 3 და 4 დეკემბერს მიუჯდება. "უილიამსის" საჯინიბოს მთავარი ინჟინერის სემ მაიკლის თქმით, ხერესის ტრასაზე ახალგაზრდა პილოტების შესაძლებლობებს შეამოწმებენ.

როსბერგი, რომლის მამაც 1982 წლის სეზონის ჩემპიონია, 2003 წელს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა "უილიამსის" ტესტებში. მისგან განსხვავებით, ნელსინიო საფორმულე ბოლიდის კოკპიტში პირველად მოკალათდება. პიკე უფროსმა, რომელიც სამგზის მსოფლიო ჩემპიონია, ოთხშაბათს ბრაზილიის ტელევიზიასთან საუბარში განაცხადა, რომ "უილიამსი" მის შვილთან კონტრაქტზე ხელის მოწერითაა დაინტერესებული. კერძოდ, "უილიამსი" მზადაა, მის შვილთან 2010 წლამდე ხელშეკრულება გააფორმოს.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ფერარის" ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გუნდი ახალ სეზონს კვლავაც ძველი ბოლიდით აიღებს სტარტს. უფრო სწორად, F2003-GA-ის მოდერნიზებული ვარიანტით. ამჟამად მორანელოში ერთდროულად მიმდინარეობს ორ პროექტზე მუშაობა. "თუ რამ არასწორად წავიდა, მაშინ მარტში, მელბურნში, ალბათ, ისევ F2003-GA-ს ვიხილავთ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დამდეგი სეზონისთვის ახალ მანქანას ვამზადებთ, რომელიც ბევრად უკეთესი იქნება წინამორბედზე", - აცხადებს ბრაუნი.

ცოტა ხნით ადრე მიხაელ შუმახერმა აღნიშნა, რომ გეგმის მიხედვით ახალი მანქანა იანვრის ბოლოს იქნება მზადო.

■ ■ ■

ცურვა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი 18 წლის ამერიკელი მაიკლ ფელპსი ერთადერთი უცხოელია, რომელმაც ცნობილ ტურნირზე – "კვანტას სკინსზე" სიდნეის საერთაშორისო საწყლოსნო სპორტის ცენტრის 25-მეტრიან აუზში ჩემპიონობა მოიპოვა.

ტურნირმა, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობს, ამჯერად 6100 მაყურებელს მოუყარა თავი, რაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დასწრების რეკორდული რაოდენობაა.

ბუნებრივია, ასპარეზობაზე გამოდიოდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრალიელი იან ტორპიც. ტორპიც და ფელპსიც გუნდურ ესტაფეტაშიც გაეჯიბრნენ ერთმანეთს (ორივემ დასკვნითი ეტაპი გაცურა), მაგრამ ტორპმა გვიან აიღო სტარტი და ავსტრალიელები დამარცხდნენ. ტორპმა კი მარცხი დაღლილობით ახსნა, ამასთან, არცთუ კარგ ფორმაში ვარო.

ტორპმა ასპარეზობის პირველ დღეს 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობა მაინც მოასწრო. ამავე მანძილზე, ოღონდ ბატერფლაიში, ფელპსმაც გაიმარჯვა და მას 400 მეტრზე თავისუფალში მოგებული ოქროს მედალიც მიუმატა. ასევე ორი გამარჯვება აქვს პეტრია ტომასსაც, რომელმაც მხარზე მიღებული ტრავმის გამო წლეულს ზაფხულში ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტი ჟაკ როგი მაღალ შეფასებას აძლევს ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა ძალისხმევას. კერძოდ, როგი კმაყოფილია ოლიმპიადის მასპინძელთა მიერ უსაფრთხოების სფეროში გაწეული სამუშაოებით. "ყველაფერი, რაც ადამიანის ძალ-ღონეს არ აღემატებოდა, გაკეთებულია. თუ საჭიროა, რომ მაყურებლებმა და მონაწილეებმა გაცილებით მეტი შემოწმება გაიარონ, დე, ასე იყოს", - გადაჭრით ამბობს როგი.

იმისთვის, რომ ოლიმპიადის მასპინძლებს როგის მხრიდან ქება დაემსახურებინათ, ორგანიზატორებს 650 მილიონი ევროს გაღება მოუხდათ. 650 მილიონი კი, ირკვევა, რომ ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც კი ოდესმე დახარჯულა ოლიმპიადების ისტორიაში უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად.

■ ■ ■

კრივი. ძალიან დიდი ხარჯები გვაქვსო და, ტელეკომპანია "ESPN"-მა გადაწყვიტა, მომავალი წლიდან რადიკალურად შეცვალოს საკრივო ბრძოლების ტრანსლაციის წესები. ეს კი, ტელეკომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, იმას ნიშნავს, რომ 2004 წლიდან ისინი აღარ დააფინანსებენ ყოველკვირეულ საკრივო შოუებს. ასევე გადაწყვეტილია, აღარ დააფინანსონ ის ბრძოლები, რომლებიც, ტელეკომპანიის აზრით, არ იწვევენ დიდ ინტერესს მაყურებელთა შორის. აქამდე ტელეკომპანია თითოეული შოუს ჩვენებისთვის 50 000 დოლარს იხდიდა. ასე რომ, შოუს ორგანიზატორებს ამიერიდან ხარჯების დასაფარავად დაფინანსების სხვა წყაროების მოძებნა მოუწევთ.

რაგბი

არგუმენტი: ცხრიანი მსოფლიოს ვერ იტევს

საქართველოს ჩემპიონატში კი ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვა

პაატა თოთაძე

ცხრა ერის გათამაშების შესაძლო დაარსების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებისთანავე დაიძაბა ურთიერთობები რაგბის საერთაშორისო საბჭოსა (IRB) და იმ ქვეყნის რაგბის კავშირებს შორის, რომლებიც ვერ მოხვდნენ ამ ცხრა გუნდს შორის. პირველი, ვინც ხმა აიმაღლა ამ იდეის წინააღმდეგ, ფიჯის რაგბის კავშირია. ფიჯური რაგბის პირველკაცმა პიო ბოსკო ტიკოისუვამ უცხოური სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუებში აღნიშნა, რომ თუკი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ტურნირის გამართვის თაობაზე, რაგბი მსოფლიოში კი არ განვითარდება, არამედ რეგრესს განიცდის. ტიკოისუვას მხარი აუბეს სამოას და ტონგას რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმაც. ჯერჯერობით თავისი სიტყვა არ უთქვამს არგენტინის რაგბის კავშირის თავკაცობას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არგენტინა "SANZAR"-ში გაწევრიანებას ცდილობს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა დამოკიდებულება ექნება მომავალი ტურნირის მიმართ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საეჭვოა, ფიჯიმ, სამოამ, ტონგამ ან არგენტინამ ცხრა ერის მეორე ჯგუფში თამაში ისურვონ, თუ ამგვარი ტურნირის გამართვა საერთოდ დადგა დღის წესრიგში. "გაუგებარია, რას ფიქრობენ IRB-ში. იმის მაგივრად, რომ სპორტის ეს სახეობა პოპულარული გახადონ, პირიქით იქცევიან. თუ არ სურთ, რომ, იმ ცხრა გუნდის გარდა, სხვებმაც ითამაშონ რაგბი, მაშინ ამგვარი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღონ. ამით ღარიბი ქვეყნების რაგბის კავშირები კიდევ უფრო იჩაგრებიან. რა დააშავეს მათ, რომელთაც უნდათ თავიანთ ქვეყანაში რაგბი განავითარონ და პოპულარული გახადონ. IRB თავისი გადაწყვეტილებებით მათ ამის შესაძლებლობას უკლავს. ჯერ ხომ ისედაც ძნელია ბობოლებთან თამაში, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძნელდება. ჰოდა, ეგებ მითხრას ვინმემ იმ ორგანიზაციაში, მსოფლიო რაგბის მმართველს რომ უწოდებს თავს და რაგბის განვითარებაზე რომ ზრუნავს, მაღალი კლასის გუნდებთან თამაშის გარეშე როგორ წავიწიოთ წინ, როგორ ავიმაღლოთ კლასი. მომავალში ეგებ ამ ცხრა გუნდს შორის ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატიც", - აღშფოთებას ვერ მალავდა ტიკოისუვა, რომელიც თავის დროზე ფიჯის ნაკრების კაპიტანიც იყო.

და მართალიც იყო. საქართველოს ნაკრების მაგალითი ავიღოთ. ჩვენი გუნდი საერთაშორისო თამაშების ნაკლებობას განიცდის და მუდამ იმის ცდაშია, ევროპელი ბობოლები როგორმე დაიყოლიოს თამაშზე, თუმცა, ამ ცდას წარმატება ჯერჯერობით არ მოუტანია. IRB-ს ეს გადაწყვეტილება ქართველებს წარმატების მოპოვების შანსს კიდევ უფრო უმცირებს. საეჭვოა, ევროპელმა ბობოლებმა, ძალიანაც რომ მოუნდეთ, ექვსი ერის და ცხრა ერის თამაშებს შორის გამოძებნონ დრო ჩვენთან თუ ჩვენნაირებთან სათამაშოდ.

"ლოკომოტიველი" ნოდარ ანდღულაძე "ლელოს" უტევს.

საქართველოზე მიდგა სიტყვა და ეროვნულ ჩემპიონატსაც შევეხოთ. ოთხი დღეც და, ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდება, შემდეგ კი უკვე პლეი-ოფის ჯერიც დადგება. გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე 15 ნოემბრის გადატანილი მატჩი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ "ლოკომოტივი" და "ლელო" წარდგნენ. თავის დროზე მატჩი იმის გამო გადაიდო, რომ მსაჯებმა უარი თქვეს, მომსახურებოდნენ ჩემპიონატის მატჩებს. მიზეზად მოთამაშეთა მხრიდან მსაჯებისადმი ზღვარგადასული დამოკიდებულება დასახელდა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მოასწრო მწვრთნელებთან გასაუბრება. ამან შედეგი ნამდვილად გამოიღო, გუშინდელ მატჩში მსაჯის მიმართ მოთამაშეებს უკადრისი არაფერი უთქვამთ.

თამაში იმაზე მეტად დაძაბული გამოდგა, ვიდრე ელოდნენ. სეზონის მიწურულს "ლელო" იმგვარ ფორმაშია, რომ ყველა გუნდთან აქვს წარმატების მიღწევის შანსი. გუშინაც რკინიგზელები ისევ მეტოქემ "გადაარჩინა" წაგებას – კვირიკაშვილს მატჩის ბოლო წუთზე თანაგუნდელთა მიერ გატანილი ლელო რომ გარდაესახა, "ლელო" 25:24 მოიგებდა, ისე კი 23:24 დამარცხდა.

მოგების მიუხედავად, "ლოკომოტივი" კვლავაც მეორე ადგილზე რჩება, თუმცა, თუ სამშაბათს "აკადემია – იმედი L" დაამარცხა, ჩემპიონატის პირველ ეტაპს ცხრილის სათავეში დაასრულებს, მეორეზე კი "ყოჩები" გადაინაცვლებენ. ერთი სიტყვით, ნახევარფინალური წყვილები უკვე გარკვეულია: "ლოკომოტივი" "ყოჩებს" შეხვდება, ""აკადემია – იმედი L" კი - ბათუმის "დათვებს". პირველ წყვილში მოგებული პირდაპირ გადის ფინალში, დამარცხებულს კი მეორე წყვილის მოგებულთან თამაშით ფინალში გასვლის კიდევ ერთი შანსი მიეცემა.

კალათბურთი

ეს სულ სხვა სამყაროა

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატისთვის თვალყურის დევნება, რა თქმა უნდა, საინტერესო და სასიამოვნოა, მაგრამ რაც შიგნით, გუნდებსა თუ თავად ასოციაციაში ხდება, ეს, უბრალოდ, სიგიჟეა. NBA ცალკე სამყაროა, სადაც სხვა არაფერი აინტერესებთ, გარდა საკუთარი თავისა.

სანდრო ნავერიანი

ახლა ვის ჩამოაგდებენ?

იმის გამო, რომ ახალგაზრდა კალათბურთელები, სასკოლო ასოციაციის ნაცვლად, პირდაპირ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გადადიან, თამაშის ხარისხი დაბალია. გულშემატკივარი კარგავს თამაშის ნახვის ხალისს. არადა, კალათბურთი იმით არის საინტერესო, რომ ულამაზესი სანახაობაა. როდესაც მწვრთნელი ხარ და ხედავ, რომ შენი შეგირდი ვერ აკეთებს იმას, რაც დავალებული აქვს, იძულებული ხდები, უსაყვედურო ან საერთოდ არ ათამაშო. ასეთი კალათბურთელები კი ისინი არიან, ვინც პირდაპირ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მივიდნენ. ლიგაში მათი მისვლის მიზეზი მრავალმილიონიანი კონტრაქტებია, რომელსაც მათ ამა თუ იმ კლუბის ხელმძღვანელობა სთავაზობს. მათი უხარისხო და უშედეგო თამაში კი, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელის რეპუტაციაზე და კარიერაზე აისახება. როდესაც მწვრთნელები ცდილობენ, ასეთ კალათბურთელებს ჭკუა ასწავლონ, ხშირ შემთხვევაში ეს გუნდიდან მწვრთნელის გაგდებით მთავრდება.

გუნდების უპრეცედენტო რაოდენობამ (თერთმეტი) 2003-04 წლის სეზონი ახალი მთავარი მწვრთნელით დაიწყო. მწვრთნელებს საგიჟეთში ყოფნა უწევთ, გულშემატკივარი კი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მცირდება. რეგულარული ჩემპიონატის დაწყებიდან სამი კვირის თავზე უკვე ორმა მწვრთნელმა (დოკ რივერსი და ბილ კარტრაიტი) დაკარგა სამსახური. მათ ბედს გაიზიარებს კიდევ სამი (ფრენკ ჯონსონი "სანზიდან", დონ ჩეინი "ნიქსიდან" და ბაირონ სკოტი "ნეთსიდან"). 12 თვის განმავლობაში შეიძლება ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდების ნახევარზე მეტმა დაკარგოს მთავარი მწვრთნელი. ეს სიგიჟეა.

მოთამაშეები მაკიაველის როლში

რა ხდება? არ შეიძლება, მომხდარი გუნდების მოგება-წაგებას დავაბრალოთ. როდესაც გუნდი მწვრთნელს პოსტიდან ათავისუფლებს, მერე აუცილებლად იმატებს მოგებათა სერია, მაგრამ ეს ნაბიჯი ამითი არ მართლდება. ადრინდელ ნაციონალურ ლიგაში მწვრთნელის გათავისუფლების შემდეგ ისეთი თავკაცი მოყავდათ, რომელსაც სათამაშო კულტურის შეცვლა შეეძლო. ზუსტად ეს გააკეთა შარშანდელ სეზონში "მემფის გრიზლის" ხელმძღვანელობამ - გაუშვა სიდნი ლოუ და მოიყვანა ჰიუბი ბრაუნი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა გუნდში შექმნილი ატმოსფერო. "მწვრთნელის შეცვლა გუნდისთვის კარგი არ არის, მაგრამ ეს გაცილებით ადვილია, ვიდრე მოთამაშეების გაშვება და ახლების მოყვანა", - განაცხადა მემფისური გუნდის პრეზიდენტმა ჯერი უესტმა. "მოთამაშეების გაცვლა საშინლად გართულდა. მწვრთნელის შეცვლა ერთადერთი საშუალებაა, რომ შუა სეზონში რეფორმები გაატარო და სასურველ გზაზე დააყენო. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომ ყველაფერში მწვრთნელია დამნაშავე. არადა, როცა გუნდს საქმე კარგად არ მისდის, იშვიათად, რომ მწვრთნელი იყოს დამნაშავე. მოთამაშეები, რომლებიც სეზონში ათ მილიონამდე დოლარს გამოიმუშავებენ, მოედანზე იმას აკეთებენ, რაც უნდათ", - განაცხადა ერთ-ერთი გუნდის გენერალურმა მენეჯერმა. მოთამაშეები კი თავის ამბიციებს მთავარი მწვრთნელის კარიერას სწირავენ. როგორც დოკ რივერსი დარწმუნდა, ტრეისი მაკგრეიდის "ორლანდოში" ისეთი ძალაუფლება აქვს, რომ შეუძლია, მარტომ გადაწყვიტოს, ვინ მოვა და ვინ წავა გუნდიდან. ისეთმა სახელოვანმა მწვრთნელებმაც კი, როგორებიც დოკ რივერსი, დაკ კოლინზი, ჯორჯ კარლი და რუდი ტომიანოვიჩი არიან, წააგეს ბრძოლა მოთამაშეებთან და დღეს სამსახურის გარეშე არიან. მაკგრეიდიმ, რამდენიც არ უნდა ამტკიცოს, რომ რივერსის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია, "მეჯიქის" შიდა წყაროები ამტკიცებენ, რომ კულისებს მიღმა მაკგრეიდი ბევრს "ჩალიჩობდა" მწვრთნელის გასაგდებად. "ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელი ბილ კარტრაიტი ბევრს ეცადა, ჯალენ როუზთან და ჯამალ კროუფორდთან ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინა, მაგრამ კლუბის საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტს ჯონ პექსონს კალათბურთელების შეცვლაზე არც უფიქრია - გუნდიდან კარტრაიტი გაუშვა. "დეტროიტ პისტონზის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა რიკ კარლაილმა იმისთვის გაიყვანა თავისი გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში, რომ შემდეგ ახალგაზრდა კალათბურთელების გამოყენებისთვის კლუბის ხელმძღვანელობას გუნდიდან გაეშვა. მაგრამ არიან ისეთი მწვრთნელებიც, რომელთაც ვერავინ და ვერაფერი ეხება. ფილ ჯექსონი და ჯერი სლოუნი იმ მწვრთნელთა კატეგორიაში შედიან, რომელთაც მოთამაშეების ვახშამზე დაპატიჟება არ სჭირდებათ, რათა მათი სიმპათია დაიმსახურონ. დანარჩენი მწვრთნელებისთვის კი ეს მანევრი აუცილებელი ატრიბუტი გახდა იმისთვის, რომ სამსახურიდან არ დაითხოვონ.

მუტომბოს გამო ჩეინის სამსახურიდან აგდებენ.

საპასუხო დარტყმა

საინტერესოა, რომ მწვრთნელთა მასობრივ გადააადგილებებთან დაკავშირებით ზოგიერთმა თავკაცმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა და გამოუვიდა კიდეც. "კლივლენდ კავალიერსის" დამრიგებელმა პოლ საილესმა, ორშაბათის გასვლითი მატჩის დროს გუნდის ყველაზე შედეგიან მოთამაშე რიკ დევისს სახლში დარჩენა უბრძანა, რადგან წინა მატჩში მან თავისი საქციელით გუნდი შეურაცხყო. მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ პაქსონმა გაამართლა: "ყველა, ვინც გუნდის ინტერესებს წინ აღუდგება და მის რეპუტაციას შელახავს, აუცილებლად დაისჯება. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ხალხი, ვინც მარტო ქულებს აგროვებს და დანარჩენს ყველაფერს აფუჭებს. მიმაჩნია, რომ საილესმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო", - განაცხადა ჯიმ პექსონმა.

"ბლეიზერსის" მთავარმა მწვრთნელმა მორის ჩიქსმა მიაღწია იმას, რომ ბონზი უელსისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცა (სათადარიგოთა სკამთან საქმის გარჩევისთვის). ჩიქსმა ასევე წაართვა უელსს კაპიტნის წოდება და სასტარტო შემადგენლობის მიღმაც დატოვა.

გლენ რაისმა მას შემდეგ დატოვა "იუტა ჯაზი", რაც ჯერი სლოუნმა შენიშნა, რომ რაისსა და გუნდს შორის, რომელმაც ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, ურთიერთგაგება ვერ ჩამოყალიბდა.

"მილუოკი ბაქსის" ახალმა თავკაცმა ტერი პორტერმა კლუბის ხელმძღვანელობა აიძულა, გუნდიდან გაეშვათ ენტონი მეისონი და ჯეისონ კეფი, რადგან ისინი ცუდ გავლენას ახდენდნენ ახალგაზრდა მოთამაშეებზე.

დაიბრუნეს მწვრთნელებმა ძალაუფლება?

"მთლად ასეც არ არის, - განაცხადა ერთ-ერთი გუნდის გენერალურმა მენეჯერმა, - საილესს შეიძლება გაუვიდეს ის, რომ რიკ დევისი სკამზე დასვა, მაგრამ ლებრონ ჯეიმსთან იგივე არ გამოუვა. მორის ჩიქსმა შეიძლება ბონზი უელსს დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ზაკ რენდოლფთან ამას ვერ გაბედავს. თუ მწვრთნელი გუნდის საუკეთესო მოთამაშისკენ გაილაშქრებს, მაშინ მისი საქმე წასულია - მას გუნდიდან გააგდებენ. თუ ფილ ჯექსონისა და შაკილ ო'ნილის ინტერესები ერთმანეთს გადაკვეთენ, ჯექსონს გუნდიდან დაითხოვენ. თუ გრეგ პოპოვიჩის გულისთვის ტიმ დანკანმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, პოპოვიჩს აუცილებლად გააგდებენ. ისეთი კალათბურთელები, რომლის გარშემოც თამაში ეწყობა, ლიგაში ცოტაა და როდესაც გუნდიდან მათ გაშვებაზე ვინმე ალაპარაკდება, მას ცუდად ექნება საქმე და თავად წავა გუნდიდან".

გახურებული ბრძოლები

თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ ჰორიზონტზე რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა მიმდინარეობს მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის.

სკოტი vs კიდი

აქ არანაირი ეჭვი არ არის. სკოტმა ორჯერ ზედიზედ გაიყვანა "ნეთსი" ფინალში, მაგრამ გუნდის პრობლემები და კიდის მზარდი უკმაყოფილება თავდასხმის ხაზში ნაპრალს აჩენს. სკოტი ძალიან მალე დამარცხდება.

ობრაიენი vs პირსი

კვლავ არანაირი ბრძოლა. პირსმა უკვე დაიწყო უკმაყოფილების გამოხატვა ობრაიენის მიერ შექმნილ შემტევ ხაზზე. პირსს სჭირდება უოკერი, რომლის "დალასში" გადასვლასაც ობრაიენს აბრალებს. თუ პირსს კვლავ თამაშში 30 ტყორცნის შესრულება მოუწია, მხოლოდ იმისთვის, რომ გუნდს რაიმე შანსი გაუჩნდეს. მაშინ ობრაიენი მორიგი დამარცხებული იქნება ვარსკვლავთა ბრძოლაში.

ჯონსონი vs მარბერი

ამ დუელში ძალები თითქმის თანაბრად არის განაწილებული, მაგრამ თუ ჯონსონი მარბერის მოტივირებას ველარ შეძლებს. მაშინ "ფენიქს სანზის" გენერალური მენეჯერი არ მოერიდება ჯონსონის ავტორიტეტს და სამსახურის გარეშე დატოვებს.

ჩეინი vs მუტომბო

მუტომბოს სახელს აღარა აქვს ისეთი ძალა, რომ რომელიმე გუნდში რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვიტოს, მაგრამ დიკემბე უკმაყოფილოა ჩეინის გადაწყვეტილებით, რომელიც მას არ ათამაშებს. ეს კი "ნიქსის" გენერალურ მენეჯერს, სკოტ ლეიდენს არ მოსწონს. მან მუტომბოზე საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა და არ უნდა, რომ ეს ფული წყალში ჩაიყაროს. ლეიდენი აცხადებს, რომ ის კვლავ რჩება ჩეინის ერთ-ერთ მთავარ გულშემატკივრად, მაგრამ ბევრი წაგებული მატჩი დაგროვდა და ლეიდენიც წყნარად ეძებს ჩეინის შემცვლელს.

განდი vs ფრენსისი.

აქ ძნელია პროგნოზის გაკეთება. მათ შორის დაპირისპირება კარგად აღებულმა სტარტმა გაანელა, მაგრამ თუ ფრენსისი გააგრძელებს "ღორობას" და პასების გაკეთებას არ მიეჩვევა, მაშინ... მე ვან განდიზე ჩამოვდივარ ფსონს.

ჩიქსი vs "ბლეიზერსი"

რამდენიმე კვირის წინ ჩიქსმა ცნობა მიიღო კონტრაქტის შესახებ, რომელიც მის გაგრძელებას შეეხება. სანამ ის ზაკ რენდოლფთან მეგობრობს, მისი მდგომარეობა გუნდში დამაკმაყოფილებელია. დანარჩენი მოთამაშეები ვერაფერს წყვეტენ.

საილესი vs დევისი.

ჩემოდნები ჩაალაგე, დევის!

კრივი

გონგის ხმამდე

გიგა გურასაშვილი

სულ რაღაც ცხრა დღე რჩება იმ ორთაბრძოლამდე, როდესაც ნიუ იორკის რინგზე გონგის ხმა კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის გვირგვინის სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსისთვის მოცილე სუპერმძიმეწონოსანთა - უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა (32-2-0, აქედან 31 ნოკაუტით) და კანადელი კირკ ჯონსონის (34-1-1, აქედან 25 ნოკაუტით) ორთაბრძოლის შესახებ გვამცნობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორთაბრძოლა სატიტულო არაა, მის მიმართ მაინც დიდია ინტერესი. რატომ? იმიტომ, რომ ჩემპიონის გვირგვინი, რა ხანია, ბრიტანელი ლენოქს ლუისის საკუთრებაა. ანუ, თუ უკრაინელი კანადელს დაამარცხებს, მაშინ ვიტალი კლიჩკო დამსახურებულად ჩაითვლება ლუისის მემკვიდრედ, რადგან ბრიტანელი სულ უფრო მეტად შორდება კრივის ორბიტას. თუმცა, ფაქტია, რომ მემკვიდრის სტატუსის მოსაპოვებლად უკრაინელს დიდი ჯაფა დაადგება. მართალია, კირკ ჯონსონს კრივის სამყაროში ნაკლები წონა თუ სახელი აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ კერკეტი კაკლის სტატუსი მისთვის ზედგამოჭრილია. კანადელისთვის უცხოა დამარცხების გემო. საბრძოლო ნუსხისა თუ სატისტიკის მიხედვით ერთადერთხელ უწვნევია მარცხი, მაგრამ თუ მაშინდელი ორთაბრძოლის ოქმს გადავხედავთ, ამოვიკითხავთ, რომ ის ერთადერთი მარცხი ჯონ რუისთან წელს ქვემოთ დარტყმის გამო დისკვალიფიკაციამ მოუტანა.

მოკლედ, ვინ ვის, ამის პასუხს სულ მალე შევიტყობთ. მანამდე კი ვიტალის ძმა ვლადიმირიც საბრძოლველად ემზადება. აქ საქმე უფრო აბურდულია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ბურუსით იყო მოცული, თუ ვის უნდა შერკინებოდა უმცროსი კლიჩკო. ვლადიმირის შესაძლო მეტოქეთაგან არაერთი სახელი ისმოდა. მათ შორის ყველაზე რეალური გაიანელი ანდრე პიულიტი გახლდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ეს ყოფილა უკრაინელის მეტოქე. ახლა, როგორც იქნა, ყველაფერი გაირკვა. ძმები კლიჩკოების პრომოუტერის კლაუს-პეტერ კოლის ცნობით, 20 დეკემბრის ორთაბრძოლაში ვლადიმირს ამერიკელ დენელ ნიკოლსონთან (42-4, აქედან 32 ნოკაუტით) მოუწევს შებმა. ნიკოლსონი მთლიანობაში პიულეტის რანგის მოჩხუბარია - მემარჯვენეა, 36 წლისაა, სიმაღლე - 192 სმ. რაც შეეხება წონას, ბოლოს (მიმდინარე წლის ივნისში) ამერიკელი 107 კილოგრამს იწონიდა. მართალია, სახელით და დიდებით ჯერ ვერ იტრაბახებს, მაგრამ ვერც მოწინავე სუპერმძიმეწონოსნებთან ჩხუბის გამოცდილებას დაუწუნებენ. თუმცა, ამგვარ გამოცდილებას წარმატებულს ვერ დავარქმევთ. წაგებული აქვს დევიდ ტუასთან, კირკ ჯონსონთან, ანჟეი გოლოტასთან. მოგებული ორთაბრძოლებიდან თუ რომელიმეს გამოყოფა შეიძლება, ასეთი ჯონ რუისის ქულებით დამარცხებაა და ისიც 1994 წელს. დანარჩენი ორთაბრძოლების უმეტესობა კი ნაკლებად ცნობილი მეტოქეების წინააღმდეგ აქვს ჩატარებული.

ამასობაში კი პუერტორიკოელი ფრეზ ოკვენდო (24-2, აქედან 15 ნოკაუტით) კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილ ჩემპიონ სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან (39-2, აქედან 29 ნოკაუტით) ჩხუბს ლამობს. სანდერსს, რომელმაც, ყველასთვის მოულოდნელად, ვლადიმირ კლიჩკოს ორგანიზაციის უმთავრესი ტიტული ორ რაუნდში აართვა, მოგვიანებით, ბუნებრივია, ტიტული უნდა დაეცვა, ოღონდ არა ვლადიმირთან, არამედ ლემონ ბრიუსტერთან. მაგრამ, ფაქტია, მათი ორთაბრძოლა არ შედგა. ამჟამად სანდერსი WBC-ს რეიტინგში მეორეა, ხოლო კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) რეიტინგში - მესამე. რაც შეეხება ოკვენდოს, ის წლეულს, სექტემბერში, კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ახლანდელ ჩემპიონს კრის ბერდს ეცილებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

"ახლა კორი სანდერსის ბანაკთან შეთანხმების პროცესში ვართ, - გვამცნობს ოკვენდო, - ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დასრულდება. შესაძლოა, ჩვენი ორთაბრძოლა თებერვალში შედგეს. დაპირისპირების ადგილი უცნობია, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ ის ლას ვეგასში ან სამხრეთ აფრიკაში გაიმართოს".

სჯობს ასჯერ გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ!

ა.წ. 17 ოქტომბერს (პარასკევი) გაზეთ "24 საათის" №274 (486) ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ოთარ ლომთაძის წერილი "ჩხობაძის გრანტიჭამია მგლები". ამასთან დაკავშირებით ვალდებულად ვთვლით, კომენტარი გავაკეთოთ აღნიშნული წერილის ორი აბზაცის მიმართ. მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს, თუ რა საკითხებზე ვაპირებთ სიცხადის შეტანას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორივე აბზაცი მოვიყვანოთ უცვლელად. ერთ-ერთ აბზაცში ვკითხულობთ: "ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ბ-ნ ავთანდილ ჭოლოკავას აზრით, ძუ მგელი საქართველოში გარეული ჩლიქოსნების სიმცირის გამო იძულებულია, ლეკვებს შინაურ პირუტყვზე ნადირობა შეასწავლოს. წარმოიშვა იმის საშიშროება, რომ მგლის მომავალი თაობები მხოლოდ შინაური ცხოველებით კვებაზე გადავლენ. ამით შეიქმნა მგლის ახალი სახეობის ჩამოყალიბების რეალური პირობები. ვინაიდან ეს მოვლენა გარემოს დაცვის მინისტრისა და მისი მეუღლის ერთობლივ მოღვაწეობას უკავშირდება, ქ-ნი ნინო ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მგლის ახალ სახეობას Canis Lupus Tchobadze, ანუ ჩხობაძის მგელი ეწოდოს" (სტილი დაცულია - ა.ჭ.).

აღნიშნულ აბზაცში რამდენიმე უზუსტობასთან გვაქვს საქმე, რომელთა შორის ერთ-ერთი ლაფსუსად უნდა მივიჩნიოთ. პირველი ის გახლავთ, რომ მკითხველისათვის მთელი აბზაცი აღიქმება, როგორც ა. ჭოლოკავას საკუთარი ნააზრევი. არადა, ჩვენ გვეკუთვნის აბზაცის მხოლოდ პირველი წინადადება, ისიც სულ სხვა ინტერპრეტაციით. საქმე იმაშია, რომ ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა თვით ბატონი ო. ლომთაძეც და სადაც იხილებოდა საკითხი მტაცებლის (იმ შემთხვევაში მგლის) და მსხვერპლის შესახებ, ერთხმად გამოიკვეთა დღეისათვის მიღებული აზრი იმის შესახებ, რომ რეგიონში, სადაც დარღვეულია რიცხოვნობის შეფარდება მტაცებელსა და მსხვერპლს შორის მტაცებლის სასარგებლოდ, აუცილებელია მისი რეგულირება. ამდენად, ნამდვილად შესაცვლელია მგლის შესახებ დღეს არსებული კანონი. აღნიშნულის განსამტკიცებლად გამოვთქვი არა ჩვენი საკუთარი აზრი, არამედ დავაფიქსირეთ ამ საქმის უშუალო სპეციალისტის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ბატონი ი. ბადრიძის კვლევის შედეგები, რომელიც რამდენიმე წელია სწავლობს საქართველოში მგლის ეთოლოგიას და წიგნში "იცნობდეთ მგელი" (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი), 26-ე გვერდზე ბოლოსწინა აბზაცში აღნიშნავს: "... გადარჩებიან მხოლოდ ისინი (საუბარია მგლებზე - ა.ჭ.), ვინც შეძლებს თავი დააღწიოს მტრულ გარემოდ ქცეულ მშობლიურ ადგილებს. ასეთი ცხოველები, როგორც წესი, ქმნიან ოჯახებს, ადვილად მოსანადირებელი შინაური ცხოველებით იწყებენ კვებას და, თუ მწყემსებმა არ დახოცეს, თავიანთ შვილებსაც ასწავლიან მათზე ნადირობას. საბოლოოდ, იქმნება შინაურ ცხოველებზე მონადირე ჯგუფები და არსებობის ასეთი წესი თაობიდან თაობაში გადაეცემა" (სტილი დაცულია - ა.ჭ.).

აღნიშნულის გარდა, ჩვენ აბზაცში მოყვანილი არათუ სხვა წინადადებები, არამედ არც ერთი სიტყვა არ გვეკუთვნის, რაც თვით წერილის ავტორმა, ბატონმა ო. ლომთაძემ ჩვენთან ტელეფონით საუბარში დაადასტურა. არ გვეკუთვნის თუგინდ იქიდან გამომდინარე, რომ ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭო, მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილება და თვით აკადემიის პრეზიდიუმი, ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის სკამზე არ დასვამდა იმ პიროვნებას, რომელსაც ჰგონია, რომ ცხოველთა არსებობის წესის შეცვლით რამდენიმე წელიწადში ახალი სახეობა ჩამოყალიბდება, რომლისთვისაც ევოლუციის პროცესში ასეული ათასობით წელია საჭირო. ბოლოს - აღნიშნულ აბზაცთან დაკავშირებით იმასაც დავძენთ, რომ ჩვენ არ გვჩვევია პიროვნებებისადმი, როგორი რანგის ოპონენტიც არ უნდა იყოს იგი, მეორე ან მესამე პირით, თანაც ცინიზმით საუბარი. ჩვენი საუბრის წესია: პირდაპირობა, ზოგჯერ მკვეთრი და რადიკალურიც კი, მხოლოდ ობიექტური.

საგაზეთო წერილის მორიგი აბზაცი კი, რომელსაც ჩვენი კომენტარი ეხება, ასე იკითხება: "ახალგაზრდა ჟურნალისტებო და იურისტებო, ახლა თქვენი ჯერია, გამოიძიეთ სამინისტროს, ზოოლოგიის ინსტიტუტის, WWF-ის და სხვა უწყების რამდენმა თანამშრომელმა მოითბო ხელი მგლისაგან ათეულ ათასობით შინაური პირუტყვისა და ისედაც გადაშენების პირას მისული გარეული ჩლიქოსნების განადგურების ფასად" (სტილი დაცულია - ა.ჭ.). ეს კი, როგორც ხალხში იტყვიან, "დაუკრეფავში" გადასვლას ნიშნავს. არათუ ბატონი ო. ლომთაძის მიერ მოხმობილი ახალგაზრდა ჟურნალისტები და იურისტები, არამედ მთელი მსოფლიოს წამყვან გამომძიებელთა კოჰორტა რომ შეიკრიბოს, ზოოლოგიის ინსტიტუტში მგელთან დაკავშირებული გამოყოფილი გრანტის თუ სხვა სახის თანხის ერთ ცენტსაც კი ვერ ნახავს.

ზოოლოგიის ინსტიტუტში, საქართველოში მგლის რიცხოვნობის მდგომარეობა, სათანადო სახსრების არარსებობის გამო, სამწუხაროდ სამეცნიერო თემატიკური გეგმით არასოდეს არ შესწავლილა. ინსტიტუტში ყოფილი საბჭოთა სისტემის პერიოდში ისწავლებოდა მხოლოდ მგლის ეთოლოგია, რომლის დროსაც თანამშრომლები არათუ "ხელს ითბობდნენ", არამედ სახელმწიფოსაგან სიმწრით გამოყოფილ "კაპიკებს" თემის შესრულებას ახმარდნენ, ხოლო დღეს თუ რამე კეთდება ინსტიტუტში, ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს, მხოლოდ მეცნიერთა პირადი ენთუზიაზმით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ავთანდილ ჭოლოკავა

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობის ღია წერილი ბ-ნ ოთარ ლომთაძეს

მოგმართავთ ა.წ 17 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" თქვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით (*"ჩხობაძის გრანტიჭამია მგლები"*), რომელშიც თქვენ დაადანაშაულეთ WWF-ი და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (NACRES) ე.წ. "გრანტიჭამიაობაში" და სამეცნიერო ინფორმაციის გაყალბებაში. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე წერილი ნათელს მოჰფენს ზემოთხსენებულ სტატიაში ნებით თუ უნებლიეთ დაშვებულ უზუსტობებს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სრულიად უსაფუძვლო ცილისწამებასა და ბრალდებებს WWF-ის, NACRES-ისა და სტატიაში მოხსენიებულ სხვა პირებისა და ორგანიზაციების მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, უფლება მოგვეცით უფრო დეტალურად გაგაცნოთ WWF-ის მოღვაწეობის შესახებ. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (World Wide Fund for Nature ან ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი – როგორც მას აშშ-ში უწოდებენ), მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დამოუკიდებელი, არასამთავრობო ბუნების დაცვითი ორგანიზაციაა. დღეისათვის ფონდის წარმომადგენლობები გაფანტულია მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 90 ქვეყანაში. მსოფლიოში ფონდის მხარდამჭერთა რიცხვი 5 მილიონს აღემატება. WWF-ის მისიაა შეაჩეროს პლანეტის ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია და ხელი შეუწყოს ისეთი სასიცოცხლო გარემოს შექმნას, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ თანაარსებობას. გარემოსდაცვითი პრობლემების რეალისტურად გადაწყვეტის მიზნით ფონდი თანამშრომლობს მრავალი ქვეყნის მთავრობასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, საერთაშორისო სააგენტოსთან და ბიზნესისა თუ ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორთან. WWF-ის მიერ წამოწყებულმა საერთაშორისო კამპანიებმა წინა პლანზე წამოწია გადაუდებელი გარემოსდაცვითი საკითხები და ზეგავლენა მოახდინა უკანასკნელ ხანს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეებზე მიღებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე. WWF-ი დიდ ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ პრიორიტეტებზე რომელიც წარმოადგენს ფონდის მიერ იდენტიფიცირებულ, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან, უნიკალურ და ხშირად უკვე საკმაოდ დაზიანებულ გეოგრაფიულ უბნებს; მათ შორის კავკასიის ეკორეგიონიცაა წარმოდგენილი. თემატური თვალსაზრისით, ფონდი უპირატესობას ანიჭებს სამ უმნიშვნელოვანეს ბიომს - ტყეებს, მტკნარი წყლის ეკოსისტემებს, ოკეანეებსა და სანაპიროებს; ამის გარდა, ფონდი ორიენტირებულია ცხოველთა იშვიათ სახეობებზე, ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენების შემცირებაზე და კლიმატის ცვლილების სერიოზულ პრობლემაზე. ფონდის ქსელში შემავალი წარმომადგენლობები ავტონომიური ერთეულებია და უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში პროექტების განსახორციელებელი თანხები ფონდის საერთო ქსელიდან მოიპოვონ. WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობა პასუხისმგებელია WWF-ის გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაზე აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, ასევე - კოორდინირებაზე თურქეთის, ირანისა და რუსეთის კავკასიურ ნაწილებში.

რაც შეეხება თქვენს სტატიაში მოხსენიებულ პროექტს, რომელიც თქვენს მიერ შეცდომითაა დასათაურებული როგორც *"მგლის, როგორც საკვანძო სახეობის კონსერვაცია"* მოგახსენებთ, რომ 1997-1999 წლებში NACRES-მა მართლაც მიიღო მონაწილეობა WWF-ის მიერ, **მისივე სახსრებიდან გამოყოფილი თანხებით (და არა სახელმწიფო გრანტით)** განხორციელებული პროექტის, - *"მსხვილი მტაცებლების კონსერვაცია საქართველოში"* ერთ-ერთი კომპონენტის შესრულებაში. ამ კომპონენტის მიზანს "მგლის გამრავლება" კი არა, არამედ **აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებში (ლაგოდეხის, ახმეტის, ვაშლოვანის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალები, და მდინარე ივრის გაყოლებაზე მდებარე აღკვეთილები) მგლისა და მისი მსხვერპლის (ირემი, ჯიხვი, შველი, არჩვი და სხვ.) პოპულაციების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება** წარმოადგენდა.

NACRES-ის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად WWF-ის ყურადღება მიექცა არა მგლის, არამედ სწორედ ირმის დაცვას. სახელდობრ, ფონდის მიერ შემუშავდა და დღესაც ხორციელდება პროექტი, რომელიც ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში ირმის მონიტორინგისა და დაცვის რეჟიმის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სწორედ ამ ძალისხმევის შედეგია, რომ ირმის სულადობამ ბორჯომის ნაკრძალში 1999 წლიდან, როდესაც აქ სულ 37 ირემიღა იყო შემორჩენილი (მოზღვავებული უკანონო **ნადირობის** შედეგად და არა მგლის პოპულაციის ზრდის გამო), წლევანდელი მონაცემების მიხედვით თითქმის 100 სულს მიაღწია. ამგვარად, საქართველოში WWF-ის აღნიშნული პროექტების შედეგს არა მგლის პოპულაციის გაზრდა, არამედ ირმის, და შესაბამისად სხვა გარეული ჩლიქოსნების სულადობის მკვეთრი მომატება წარმოადგენს.

აქვე ავღნიშნავთ, რომ პროექტის *"მსხვილი მტაცებლების კონსერვაცია საქართველოში"* ფარგლებში WWF-ის მიერ უკვე ჩატარებულია ანალოგიური კვლევები სხვა მსხვილი მტაცებლების - ჯიქის (ანუ კავკასიური ლეოპარდის), მურა დათვის, და მათი მსხვერპლის პოპულაციების მდგომარეობის შესაფასებლადაც. სწორედ ამ სამუშაოთა შედეგს წარმოადგენს ის, რომ დღეისათვის ჩვენი წარმომადგენლობის მიერ ხორციელდება სამი მსხვილი რეგიონული პროექტი, რომლის მიზანს კავკასიაში ირმის, ნიამორისა და ჯიქის კონსერვაცია წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პროექტის ფარგლებში (ანუ WWF-ის საკუთარი სახსრებიდან გამოყოფილი თანხებით და არა სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტით) 1997-1999 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიათ: შეძენილი იქნა ავტომანქანები, ცხენები და უნაგირები, კარვები, ღუმელები, თბილი ტანისამოსი და ჩექმები, მოხდა უზრუნველყოფა საწვავითა და საკვებით, გარემონტდა მცველთა თავშესაფრები, შეკეთდა ხიდები, თხრილები და ბილიკები, მოეწყო ბარიერები და შესასვლელები, დაიდგა ნიშნები, დაფინანსდა 400-მდე ანტიბრაკონიერული საპატრულო რეიდი და სხვ. გარწმუნებთ, რომ ჩვენ მიერ გაწეული დახმარება ამ დაცულ ტერიტორიებში შექმნილი მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გამოსწორებასა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გაუმჯობესებას ემსახურებოდა, და არ ისახავდა მიზნად მგლის პოპულაციის ზრდის ხელშეწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ მგელი კავკასიისათვის არ არის იშვიათი სახეობა, WWF-ი არ ეთანხმება თქვენს მოსაზრებას მისი უმოწყალოდ ამოჟლეტვის თაობაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებულ ყველა სახეობას თავისი ნიშა და საჭირო ფუნქცია აქვს შესაბამისი ეკოსისტემების ფუნქციონირებაში სადაც მგელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვიმედოვნებთ, რომ მგლის მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო, უფრო დაწვრილებით ინფორმაციას თქვენს მიერ უსაფუძვლოდ დადანაშაულები NACRES-ის წარმომადგენლები მოგახსენებენ საპასუხო სტატიაში (აქვე ავღნიშნავთ, რომ თქვენ მიერ მოყვანილი რიცხოვნობის მაჩვენებელი, - 10.000 მგელი, მეტად გადაჭარბებულია; 10.000 მგელი არათუ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში არ ბინადრობს).

ბატონ მალხაზ ძნელაძესთან დაკავშირებით გატყობინებთ, რომ მან ფონდში მუშაობა 2000 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და შესაბამისად ის ამ პროექტის არათუ დაწყებას, არამედ დამთავრებასაც კი არ შესწრებია. შესაბამისად, ჩვენი აზრით მისი მოხსენიება იმ კონტექსტში, რომელშიც ის იყო მოხსენიებული სრულიად აშკარად ემსახურებოდა ცილისმწამებლურ მიზანს.

და ბოლოს: მიგვაჩნია, რომ სანამ რომელიმე არაპროფესიონალი (და რა თქმა უნდა, პროფესიონალიც) გადაწყვეტს საჯაროდ დაესხას თავს რომელიმე ორგანიზაციას ან პიროვნებებს, აუცილებელია მყარი ინფორმაციული ნიადაგი, ანუ ე.წ. ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც მოვლენების ობიექტურად გაშუქებაში დაეხმარება ავტორს. სამწუხაროდ, თქვენ, ბატონო ოთარ, საჭიროდ არ ჩათვალეთ სტატიისათვის მზადების პერიოდში წვეოდით WWF-ს (ან თქვენს სტატიაში მოხსენიებულ NACRES-s და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) და გაგერკვიათ, ის საკითხები რომელთა დამახინჯებულად და არაკომპეტენტურად გაშუქებამ უდავოდ შეცდომაში შეიყვანა სტატიის მკითხველი და გვაიძულა ამ წერილით მოგვემართა თქვენთვის.

თქვენ სტატიაში ბრძანეთ: *"ახალგაზრდა ჟურნალისტებო და იურისტებო, ახლა თქვენი ჯერია, გამოიძიეთ სამინისტროს, ზოოლოგიის ინსტიტუტის, WWF-ის და სხვა უწყების რამდენმა თანამშრომელმა მოითბო ხელი მგლისაგან ათეულ ათასობით შინაური პირუტყვისა და ისედაც გადაშენების პირას მისული გარეული ჩლიქოსნების განადგურების ფასად."* WWF-ი უკვე დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობს მედიასთან და ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალისტების გარკვეული ნაწილი კარგად იცნობს ფონდის მოღვაწეობას საქართველოში, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველას: ჩვენი ოფისის კარი ღიაა ნებისმიერისათვის, ვინც გარემოს დაცვით საკითხებზე მოისურვებს ინფორმაციის ან კონსულტაციის მიღებას ჩვენთან მომუშავე ექსპერტებისაგან.

ბოლოსიტყვაობა: ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისისათვის ასე თუ ისე გასაგებია არაპროფესიონალისა და საქმეში ჩაუხედავი პირის მხრიდან წამოსული უსაფუძვლო ცილისწამება და ბრალდებები, მაგრამ გაუგებარია ისეთი აკადემიური დონის გაზეთის რედაქციის, როგორიც არის "24 საათი", პოზიცია - რაც იმაში გამოიხატა, რომ პიროვნებათა და ორგანიზაციების ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი მძიმე ბრალდებებით სავსე ცილისმწამებლური სტატია გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ფაქტების ელემენტარული გადამოწმების გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იმედს გამოვთქვამთ, რომ ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ დაუდევრობას და არა წინასწარგამიზნულ ქმედებას.

ფეხთან ტარება

გავიხსენოთ ძაღლის თანდაყოლილი მიდრეკილებები.

გარეულ ცხოველებს სჩვევიათ ერთმანეთის გვერდიგვერდ, ბელადის უკან მიყოლებით სიარული. ეს წესი ძაღლსაც აქვს შემორჩენილი. ძაღლების დიდი ნაწილი ღამით, ან შებინდებულზე თვითონვე არ სცილდება გვერდიდან ადამიანს, განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს თითოეულ გაფაჩუნებას, ყნოსავს არემარეს. მოკლედ, გაფაციცებით იცავს პატრონს.

მონადირე ძაღლისაგან ჩვენ მოვითხოვთ, ბრძანებაზე - "ფეხთან!" (ან "გვერდზე", "გვერდით") მშვიდად დადიოდეს პატრონის გვერდით საბელითა თუ უსაბელოდ, ისე, რომ ნახევარი კორპუსით უსწრებდეს წინ, მეტით არა. ეს წესი იმდენად ზუსტად უნდა იქნეს დამუშავებული, რომ ძაღლმა ამგვარი სიარული ფრინველის აფრენის, კატის გამოხტომის, კურდღლის წამოვარდნის შემდეგაც კი მშვიდად გააგრძელოს, ვიდრე პატრონი არ მიუშვებს. თოკის გარეშე ფეხთან თავისუფალი სიარულისას იდეალური სურათია: ძაღლი პატრონის სამოსს ოდნავ ეხება, ზუსტად მიჰყვება მოძრაობის ტემპს, იმეორებს ყველა მიბრუნებ-მობრუნებას და წარბშეუხრელად ემორჩილება.

უდავოა, ძაღლის "ფეხთან" სიარული არა მხოლოდ ნადირობის დროს არის აუცილებელი, არამედ ყველგან - ქალაქის ქუჩებში, ეზოში თუ გზატკეცილზე. გარდა ამისა, ამგვარი სცენები მუდამ კეთილგანწყობას იწვევს გამვლელებში. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ცუდად გაზრდილი ძაღლის გამო არაერთხელ და ორჯერ მომხდარა უსიამოვნება, როცა ძაღლი მიჩვეული არ არის ფეხთან სიარულს და ნაცვლად ამისა, მაგალითად, შინაურ ფრინველებს დასდევს სოფელში.

შეიძლება მნიშვნელოვნად გავამარტივოთ ფეხთან სიარულის შესწავლა, თუ გონივრულად დავიწყებთ ამ საქმეს. სულ მცირე ასაკიდან ლეკვს თანდათან ისე მივაჩვევთ საყელურსა და საბელს, რომ არ გავაღიზიანებთ და არ გადავღლით. ლეკვი ადვილად შეიყვარებს ერთსაც და მეორესაც, ვინაიდან ეცოდინება, რომ საბელის შებმის შემდეგ გარეთ გაიყვანენ, ცოტას გაატარ-გამოატერებენ და მერე სათამაშოდ გაუშვებენ.

ამ სახის წვრთნა ყოველდღე უნდა ხდებოდეს. ფეხთან შეუფერხებელ სიარულს ადვილად მივაღწევთ, თუ ოთხი თვის ლეკვის საბელით ფეხთან ტარებისას არ გამოვტოვებთ მის მიერ დაშვებულ არც ერთ შეცდომას და სავალ გზაზე განგებ მოვუწყობთ "საცდურებს". ლეკვი ისეთ ადგილებში უნდა ვატაროთ, სადაც ბევრი კატაა (ან მტრედი). უნდა ვატაროთ ხშირ ტყეში, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით. თუ ლეკვი ხეს გამოედება ან განზე გაიწევს, რაიმე ფრინველისკენ ან ცხოველისკენ გაიქაჩება, ყოველი ასეთი დარღვევის დროს მკაცრად ვუბრძანოთ - "ფეხთან" და სიტყვა ჯერ დამთავრებულიც არ უნდა გვქონდეს, რომ საბელით ძლიერად მოვქაჩოთ. პარფორსი შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლეკვი ძალიან ჯიუტი, გაუზრდელი და ღონიერია.

პარფორსის ("ჩხვლეტია" საყელურის) დანიშნულებაა ტკივილის მიყენება. თუ იგი არასწორადაა გაკეთებული და პარფორსის ეკლები ვერ ჩხვლეტენ ძაღლს, მაშინ მისი გამოყენება სრულიად უაზრო ხდება. პარფორსი ჩვენითაც შეგვიძლია დავამზადოთ. ამისათვის საჭიროა 3,5 სმ დიამეტრის ხის ექვსი ბურთულა. ბურთულები მძივებივით უნდა იყოს ასხმული გაპოხილ ზონარზე. ისინი 5-5 სანტიმეტრით დავაცილოთ ერთმანეთს - ნახვრეტის თავსა და ბოლოში ზონარი გავუკვანძოთ. ბურთულებში 12-12 პატარა ლურსმანი ჩავარჭოთ, რომელიც 1,5 სმ-ით იქნება ამოშვერილი. სულ ეს არის - ოღონდ, ლურსმნის წვერები უნდა დავაბლაგვოთ. გამოცდილი მწვრთნელის ხელში ასეთი პარფორსი აბსოლუტურად შეუფერხებლად მოქმედებს.

სასურველი შედეგის მისაღებად პარფორსის გამოყენება სულ რამდენჯერმე შეიძლება გახდეს საჭირო.

დაუშვებელია, ძაღლი სულ პარფორსით ვატაროთ, მას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში - ხანმოკლე წვრთნის, არასასურველი მოქმედების გადასარჩევად და ა.შ. თუ გამოვიყენებთ. როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებულად ჯიუტ, უმეტეს შემთხვევაში ცუდი პატრონის მიერ გაფუჭებულ ძაღლთან, მაშინ კი შეიძლება, ხანგრძლივადაც ვიმუშაოთ პარფორსით. მაგრამ პარფორსს რომ არ მივაჩვიოთ (რაც შეასუსტებს ზემოქმედების ეფექტს), უნდა გავუკეთოთ ორივე საყელური - ერთი ჩვეულებრივი და ერთიც "ჩხვლეტია". სატარებლად ჩვეულებრივი საყელური უნდა გამოვიყენოთ, ხოლო პარფორსი მხოლოდ იმ დროს ვიხმაროთ, როდესაც ძაღლი ჯიუტობს, არ გვიჯერებს, ვთქვათ, წინ გარბის და ა.შ.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას - უმეტესწილად ასეა, ძაღლს საბელს ავუშვებთ თუ არა, ბრძანებას აღარ უცდის, ერთი სული აქვს, წინ როდის გავარდება. ბრძანების გარეშე საბელახსნილი ძაღლი პატრონს რომ გვერდიდან არ მოშორდეს, საჭიროა: პარფორსის რგოლს გავუყაროთ ბოლოებში გაუკვანძავი გრძელი ზონარი, ზონარის ორივე ბოლო ხელში ისე ავიღოთ, რომ პარფორსი არ დაიჭიმოს. როდესაც საჭირო იქნება, ზონარის ერთ ბოლოს გავათავისუფლებთ და ძაღლს ნებაზე მივუშვებთ. ძაღლი უნდა ვატაროთ საბელითა და ჩვეულებრივი საყელურით. თუ საბელის შეხსნის შემდეგ ძაღლი ადგილს მოწყდა, უნდა ვუბრძანოთ - "ფეხთან" და მაშინვე მოვქაჩოთ გრძელზონრებიანი პარფორსით. რაც უფრო ენერგიულად ჩავატარებთ პირველ წვრთნას, მით უფრო სწრაფად დავამყარებთ დისციპლინას.

წიგნიდან
"ძაღლების წვრთნა და გეშვა"

კვირის პროგრამა

ორშაბათი 1.12

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "ჯაშუში" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი "სურვილების ტბა". მთ. რ-ში: ბილი ზეინი, ჯოან სევერანსი.

პირველი არხი

07.30 ალიონი პროფილაქტიკა **17.15** რამპა **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.00** "იმღერე რამე" **21.35** შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე **22.00** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" **23.25** კრიმინალური ქრონიკა **23.35** მხ. ფილმი "ხელმეორედ ქორწინება"

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "უკან დედამიწაზე" მთ.რ-ში: კრის როკი, რეჯინა კინგი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ზრავო" "ჯიპერს კრიპერსი" მთ.რ-ში ჯინა ფილიპსი, ჯასტინ ლონგი. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "გლადიატორი" **14.10** მხ. ფილმი "გმირი" **16.10** მხ. ფილმი "უბრალოდ კოცნა" **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "პაემანი უნახავად" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "24 საათი"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "მჭიდრო კავშირი" **21.00** ვმესტე **21.30** მოგზაურობა სასტიკვეთში **22.10** მხ. ფილმი "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება"

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი " დივერსანტი" **15.00** მხ. ფილმი "სეიფების მძარცველი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ხმელთაშუა ზღვა" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სახის გარეშე"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "მარტოხელები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფ."სამი მამაკაცი და ჩვილი"

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 13.15, 14.15, 17.50, 20.15** მუსიკა **10.30** რუს. სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" **11.20** მულტფილმი "ქალთევზა" **12.15** დოკ. სერიალი "ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები" **13.40** "ბელისიმო" - მზია ნიორაძე **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მხ. ფილმი "საჩუქარი" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა, მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-3ნ. **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** "ღამის მატარებელი". **00.30** მხ.ფილმი "გატაცება 60 წამში"

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 16.50, 17.20, 01.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** დროება **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.00, 14.00, 15.45, 17.00, 18.00** ქრონიკა **13.30** სერიალი "უკიდეგანო ზღვარი" **14.05** სერიალი "კლონი" **15.15** მხ. ფილმი "ლოს-ანჯელესური აბბაზი" **17.25** მეტეო **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.00, 21.00, 22.00, 00.40** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" მე-18 ს. **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **22.50** მხ. ფილმი "მხიარული აღდგომა" **00.50** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** დრამა "მარვინის ოთახი" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** ქართული ფილმი "თოვლიანი იცინის" **13.50** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "სიყვარული როუეიდან" **16.20** მულტფილმი "ქალთევზა 3" **17.35** სათავგადასავლო ფილმი "დაკარგული სამოთხე" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.25** ბოევიკი "მაგარი ბიჭები" **21.55** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** კომედია "ბუმერანგი" **02.50, 05.50** მუსიკა **03.40** ისტორიული ფილმი "პირველი რაინდი"

VII არხი

09.15 "აჩიკუდა" **09.35** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.20** მელოდია **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** "ტალავერი" - განმეორებით **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.10** მობილურები **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.00** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - " მე თვეში მივფრინავ". საფრანგეთი. მელოდრამა. რეჟ: კლოდ ბერი. როლებში: კატრინ დენევი, ჟან-ლუი ტრენტინიანი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **01.00** ტექნიკა - აუდიო-ვიდეო-ტელე

ОРТ

07.00 "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Мишель Пфайфер в фильме "Фрэнки и Джонни" 12.20** "Ералаш" **12.40** Следствие ведет Колобков **13.20** Город женщин **14.10 Маргарита Терехова в фильме "Давай поженимся" 16.20, 02.10** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 21.00** Жди меня **22.00** Время **22.30 Боевик "Родина ждет". 5-я с. 23.40** Криминальная Россия. "Казаки-разбойники". Часть 1-я **00.10** "Театр кукол" **00.40** "Искатели". "Государева дорога" **01.10** "Русский экстрим" **01.40** Премьера. "Две жизни". Док. фильм **02.30 Боевик "Полицейский" 04.20 Худ. фильм "В поисках Бобби Фишера" 06.05 Сериал "Убойная служба"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Эдди Мерфи в комедии "ЗОЛОТОЙ РЕБЕНОК" 11.35** В Городке **11.45, 14.45, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести недели. **15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА"** **20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 23.00 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 00.00** Вести+ **00.20** "Дежурный по стране". Михаил Жванецкий **01.15** Народный артист **01.40** Всемирный день борьбы со СПИДом. Гала-концерт "Даже не пробуй!" **02.45 Элвис Пресли в комедии "ВЕСЕЛЬЕ В АКАПУЛЬКО" 04.25** Дорожный патруль

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.50** Евгений Стеблов в программе "Растительная жизнь". **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд. **11.00** Сегодня утром. **11.25** "Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** "Сегодня" **13.35 Худ. фильм "ФОТО" 15.30** По праву **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** "Внимание: розыск!" "Третий вариант" **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ" 01.10 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"**

სამშაბათი 2.12

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეკროსტოკი **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "მატრიცა 2: გადატვირთვა". მთ. რ-ში: კიანუ რივზი, ლოურენს ფიშბერნი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.05** მხ. ფილმი "ხელმეორედ ქორწინება" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "სტივის ხერხები" **16.40** დოკ. სერიალი "უსასრულოდ მრუდე" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** "სათავეებთან" **22.10** სერიალი "ფორსაიტების საგა" მე-9ს. **23.25** კრიმინალური ქრონიკა **23.35** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი" 1-ლი ს

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ოვანის ფსკერზე" მთ.რ-ში მიშელ პფაიფერი, ტრიტ უილიამსი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ზრავო" "ჯიპერს კრიპერსი-2" მთ.რ-ში ჯონათან ბრეკი, ბილი ბრაუნი. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "24 საათი" **14.10** მხ. ფილმი "პაემანი უნახავად" **17.10** მხ. ფილმი "საყვარელი გოგონა" **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" 1-ლი ს. **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "დროის მანქანა" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ღამის ლექსიკონი"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ნაწვიმარზე" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "ცოლი წავიდა"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სახის გარეშე" **15.00** მხ. ფილმი "სახელმწიფოს მტერი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "დათვი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე"

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "სამი მამაკაცი და ჩვილი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მოსწავლე" **00.55** მუსიკა

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-3ნ. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ტრანსი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 00.35** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** სპორტ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდეგანო ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ყველაფერი ამ ბიჭის შესახებ" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მძაფრსიუჟეტიანი კინო "ღალატი"

არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ისტორიული ფილმი "პირველი რაინდი" **11.40** მუსიკა **12.20** ბოევიკი "მაგარი ბიჭები" **13.50** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "ჰერჯოგი დიუკი" **15.30** დოკუმენტური ფილმი **16.20** მულტფილმი "ველური გედები" **17.15** ფილმი-კატასტროფა "დაშვება შეუძლებელია" **18.40** მუსიკა **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** ფანტასტიკა "ღვთისგან გზავნილი არ არის" **21.50** გალერეა **23.00** Пресс-папье **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** თრილერი "სიყვარულის ზღვა" **02.50, 05.45** მუსიკა **03.40** კომედია "აფიორა"

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "შზაფი ". კომედია . რეჟ. რონ ჯოვარდი. როლებში: ტომ ჯენქსი, დერილ ჯანა. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

ОРТ

07.00 "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Боевик "Родина ждет". 5 с. 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20** Город женщин **14.10 Борис Галкин в фильме "Ожидание полковника Шалыгина" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.10** "Магия. Разоблачения" **22.00, 00.30** Время **22.30 Боевик "Родина ждет". 6 с. 23.40** Тайны века. "Зашифрованная война". 1-я с. **01.00** "На футболе" **01.30** "Сканер" **02.20** Предвыборный **триллер "Последние теледебаты" 04.05 Фильм "Во имя любви" 05.40 Сериал "Полтергейст-IV" 06.30** "Шутка за шуткой"

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** "Не скуЧАЙ!" **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание" **13.50 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 23.00 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 00.00** Вести+ **00.20** Премьера. "Смерть по разнарядке" **01.15** Народный артист **01.40 Джон Войт, Эрик Робертс в фильме Кончаловского "ПОЕЗД-БЕГЛЕЦ" 03.55** Дорожный патруль. **04.10** Агентство одиноких сердец. **04.35 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.50 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** "Их нравы" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** "Сегодня" **13.35** "Делайте ваши ставки..." "Профессия - репортер". **13.55 Худ. фильм "ЕСЛИ МОЖЕШЬ, ПРОСТИ..." 15.35** По праву **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания. **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол. Лига Чемпионов. "Галатасарай" (Турция) - "Ювентус" (Италия).** Прямая трансляция. **02.10** Гордон. **02.55** Кома: это правда

ოთხშაბათი 3.12

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "მოახლე". მთ. რ-ში: ჯენიფერ ლოპესი, რეიფ ფაინსი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი" **11.15** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.35** "ზღვარი" **15.15** მხ. ფილმი "გიჟები სტადიონზე" **16.40** დოკ. სერიალი "კვალდაკვალ" **17.05** "მსოფლიოს ქალაქები" **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "მათი შვილები" **22.20** სერიალი "ფორსაიტების საგა" მე-10ს. **23.25** კრიმინალური ქრონიკა **23.35** მხ. ფილმი "ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან"

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მეტიჩარა" მთ.რ-ში რიზ უიზერსპუნი, მეთიუ ბროდერიკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ზრავო" "ღალატი" მთ.რ-ში ჯეიმს რემარი, ერიკა ელენიაკი. **02.00** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "ღამის ლექსიკონი" **14.10** მხ. ფილმი "უბრალოდ კოცნა" **17.10** მხ. ფილმი "პაემანი უნახავად" **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" მე-2ს. **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "შოუ იწყება" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ოსკარი"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "დაკარგულ ბავშვთა სამყარო" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "რემბო-3"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე" **15.00** მხ. ფილმი "ეპიდემია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ტაქსი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მართალი ტყუილი"

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მოსწავლე" **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ჩემი ბრალი არ არის"

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ტრანსი" **13.15** "ცხელი ცხრიანი" **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი. "რინგო სტარი" **23.45** მოკლ. მხ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი "1914 წლის მშვენიერი ზაფხული"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 16.50, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" 1-ლი ს. **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდეგანო ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** ეროვ. საკალათბურთო ასოციაცია: ორლანდო-ნიუ ორლეანი **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.25** მულამბები **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტბულვარი **22.50** მხ. ფილმი "მარლენი"

არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "აფიორა" **11.35** დოკუმენტური ფილმი **12.20** ფანტასტიკა "ღვთისგან გზავნილი არ არის" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** ფანტასტიკა "ღვთისგან გზავნილი არ არის" (გაგრძ) **14.15** კომედია "ბანზაი" **15.55** მუსიკა **16.20** მულტსერიალი **16.55** თრილერი "ფანატი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.10** კომედია "სახლი თავდაყირა" **21.55, 02.30** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა "ცეკვები ლუნასის დროს" **03.40** ბოევიკი "ციხე" **05.25** დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.10 მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** მობილურები **10.50** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **11.50** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **12.40** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.20** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.10** მობილურები **22.35** "კინოკლუბი " - "ადგილების გაცვლა". კომედია . რეჟ. ჰონ ლენდისი,. როლებში: ედი მერფი, დენ ეკროიდი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **01.00** აუდიო-ვიდეო-ტელე

ОРТ

07.00 "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Боевик "Родина ждет" 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20** Город женщин **14.10 Аристарх Ливанов в детективе "Человек, который брал интервью" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.00** "Магия. Разоблачения" **22.00, 00.30** Время **22.30 Премьера. Алексей Гуськов в фильме "Раскаленная суббота". 1 с. 23.40** "Спецназ" **01.00** "Гении и злодеи". Ялмар Шахт - банкир Гитлера **01.30** "Крылья" **02.20 Питер О'Тул в комедии "Бодрость духов" 04.05 Боевик "Тени воинов: Атака на остров дьявола" Сериал "Полтергейст-IV" 06.30** "Шутка за шуткой"

РТР

